ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №34 (1735) | 7 — 13 სექტემბერი. 1999 წ. | ● ფასი 50 თეთრი

## ენერგეტიკა იძირება! იძირება საქართველო!

მე-11 გვერდი

## ავხსნათ ტაბუ ილიას მკვლელობის ორგანიზა-ტორთა საიდუმლოს

მეორე გვერდი

## საპარლამენტო არჩევნების ბედს უმუშევრები გადაწყვეტენ

მე-12 გვერდი

## საბაჟოდან ფინანსთა სამინის-ტრომდე

მეშვიდე გვერდი

## მარშალი ჟუკოვი ბერძნების ოჯახიდან უშვილებიათ...

მე-12 გვერდი

## „სახალხო“ „ზვიადისტებს“ „შეეკრა“...



მე-2 გვ.

## ტრისტან ბერიანიძე: პარლამენტში შესვლას ქვეყნის სასიკეთო საქმეთა საკეთებლად ვაპირებ...



მე-4 გვ.



მე-3 გვ.

## ჯემალ გოგიტიძე:

ყოველდღე მიძლიერდება ეჭვი...

გენერალური პროკურატურა არის ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში მოწყობილ-დაგეგმილი ტერაქტებისა

## ისლამი კავკასიაში და საქართველო რა საფრთხე ელის საქართველოს

მეორე გვერდი

## ვინ არის დაინტერე-სებული "ჯეოსელის" გაკოტრე-ბით?

მე-10 გვერდი

## საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება შეგვიძლია!

მეოთხე გვერდი

## „სატელეფონო ტერორი“ სახალხო ფრონტის ოფისში

მეხამე გვერდი

ელექტრონული ვერსია http:// www.opentext.org.ge/sakartvelo

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### „ცოდვიანი“ რუსეთი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში, რომლის დროსაც იგი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა მინისტრს და მოლაპარაკება გამართა მათთან, ახალი არაფერი მოჰყოლია (როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე), უწინარესად, რუსეთის მხრიდან. პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრისას მხარეებმა მიმოიხილეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა (უკვე მერამდენედ). ივანოვმა დააფიქსირა მოსკოვის „მარადიული“ პოზიცია კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე. ამასთანავე მან მიანიშნა (ორაზროვნად) ოფიციალურ თბილისს და ქართულ მასმედიას, რომ ყველა კონფლიქტს თავისი სპეციფიკა აქვს და აფხაზეთის კონფლიქტიც მისი გათვალისწინებით უნდა მოგვარდეს.

ქართულმა მხარემ შეცვალა თავისი პოზიციები „დიდი რუსეთის“ მიმართ და მას ყველა ცოდვა გაუხსენა, რაც კი საქართველოს მიმართ ჩაუდენია, მაგრამ, რად გინდა, შეაყარე კედელს ცერცვი...

### გარიცხვები, გარიცხვები ...



ქალბატონმა მანანა არჩვაძემ „მრგვალი მაგიდის“ რიგებიდან მისი პრესმდივანი, ასევე ქალბატონი, ნანა ჩაჩუა გარიცხა. ეს ყველასათვის მოულოდნელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ „მრგვალი მაგიდიდან“ გარიცხვა და მოღალატედ გამოცხადება უცხო ხილი არ არის. ეს გადაწყვეტილება მიიღო „საქართველოს ეროვნულმა ფრონტმა — რადიკალური კავშირი“. ქ-ნ მანანა არჩვაძის განცხადებით, მისი პრესმდივნის წასვლა ამ უკანასკნელის უწესო საქციელმა გამოიწვია. კერძოდ, იმან, რომ ჩაჩუა აქციის მონაწილეებს (მოგეხსენებათ, კოლხურ კოშკში ზვიადისტები შიმშილობენ „ხუნტის“ გადადგომის მოთხოვნით) შიმშილობის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა.

ქ-ნ ნანას, ალბათ, შეეცოდა მოშიმშილეები, ველარ გაუძლო მათ საცოდაობას და შიმშილობის შეწყვეტა სთხოვა. ეროვნულმა ფრონტმა თუ ასე ტყაპა-ტყუპით გარიცხა მისი წევრები, ვინლა დარჩება მის რიგებში, საინტერესოა.

### ამბოხების მიზეზი „ენძელაა“

პოლიციისა და მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიაში, ალბათ, უპრეცენდენტო შემთხვევა მოხდა. ჯავახეთში, ნინოწმინდაში, მოსახლეობა პოლიციას აუჯანყდა. ნაჯახებით შეიარაღებული ხალხი პოლიციის შენობაში შეიჭრა. თითქმის ერთსაათიანი შეხლა-შემოხლისა და ცემა-ტყეპის შედეგად 16 პოლიციელი და მათი შეფი დაშავდა. პოლიციას ჩხუბის დროს იარაღი არ გამოუყენებია, რადგან „თავდამსხმელები“ ქალებიც და ბავშვებიც იყვნენ.

ამბოხების მიზეზებზე პროკურატურა ჯერ არაფერს ამბობს, თუმცა, არის ვერსია, რომ მეამბოხეები პოლიციას ვინმე „ენძელამ“ მიუსია, რომელიც მომავალ არჩევნებში ნინოწმინდიდან აპირებს კენჭისყრას. ეს ინციდენტი მას იმისთვის სჭირდებოდა, რომ შიშისა და ზეწოლის ქვეშ ჰყოლოდა ადგილობრივი სამართალდამცავები. იგი შეძლებული პიროვნებაა და ნინოწმინდელ გაჭირვებულ მოსახლეობას ხშირად ეხმარება.

ენძელა (ყვავილზე გვაქვს ლაპარაკი) თუ აქამდე გაზაფხულის მომასწავებელი და მახარობელი იყო, ნინოწმინდაში მან სხვა დატვირთვა შეიძინა. ასე რომ, ენძელა შეიძლება იყოს არა მარტო ყვავილი, არამედ დიდი მასშტაბის ცემა-ტყეპის მიზეზიც.

### პრეზიდენტის ჩეჩენი შვილი

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე, კითხვაზე, რა სტატუსით მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი, ვახა არსანოვმა ბრძანა — ბატონმა შევარდნაძემ მიმიღო, როგორც ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი და როგორც შვილიო.

აქამდე გვეგონა, რომ ჩვენს პრეზიდენტს მარტო ქართველი შვილები ჰყავდა, მაგრამ ამ წუთისოფელს რას გაუგებ, თურმე ჩეჩენი შვილიც ჰყოლია. ღმერთმა გვიმრავლოს შვილები!

### „რამ შემქმნა ადამიანად...“



ვირუსებსა და ეპიდემიებს ახლა კიდევ ერთი და ყველაზე საშიში მიემატა — ციმბირის წყლული. რუსთავსა და გარდაბნის რაიონში ყოველ დღე მატულობს ავადმყოფთა რიცხვი. ხშირად ინფექციის წყაროა ნიადაგი, სადაც დაავადებული საქონელია დამარხული. ასეთ მიწასთან შეხებაც კი დასნებოვნებას იწვევს, რადგან ვირუსი ნიადაგში დიდხანს ძლებს და დაახლოებით 50 მეტრის რადიუსზე ვრცელდება. ამ ადგილზე ამოსული ბალახიც კი საშიშია.

ბოტულიზმით დაშინებულებმა, ჯერ იყო, კონსერვების ჭამა მივატოვეთ, მერე ამებიოზისგან დატერორებულებმა წყლის სმასაც თავი დავანებეთ. ახლა ხორციც, ყველიც და რძის ნაწარმიც უნდა დავივიწყოთ და ბოლოს ისლა გვრჩება, ვაჟასავით დავიწყოთ მოთქმა: „რამ შემქმნა ადამიანად?“

გაგრძელება მესამე გვერდზე

## ინტერვიუ

# „სახალხო“ „ზვიადისტებს“ „შეეკრა“

## „მოქკავშირს“ არჩევნებში მარტო დევიდ კოპერფილდი თუ უშველის



**— ბატონო გიორგი, რა გახდა მიზეზი, ბათუმურ ალიანსს რომ გვერდი უქციეთ რაღაც ეტაპზე და ერთობის ძებნა ბასილია-ბათიაშვილის პარტიასთან დაიწყეთ?**

— ერთი ფაქტი მეორესთან კავშირში არ ყოფილა, ბათუმურ ბლოკში არ გავწევრიანდით იმ მიზეზის გამო, რომელიც არასდროს არავისთან საუბარში არ დაგვიმალავს. ეს გახლავთ ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება პოლიტიკისადმი, კონკრეტული თემებისადმი. ბლოკში ჩვენ მოვითხოვდით, წინასწარ გაგვესაზღვრა ჩვენი მუშაობის ტაქტიკა უმრავლესობაში მოსვლის შემდეგ და ამის საფუძველზე შეგვეკრა მძლავრი გაერთიანება, რომელსაც დაშლის საფრთხე აღარ დაემუქრებოდა, რადგან პოლიტიკური პირობებით ვიქნებოდით ერთმანეთთან შედუღაბებული. ჩვენ პარტნიორებს მიაჩნდათ, რომ ამას საარჩევნო პროცედურის შემდეგაც მოვასწრებდით. ჩვენთვის ეს მიუღებელი და დაუშვებელი იყო. გადავწყვიტეთ ამ პარტნიორობაზე უარი არ გვეთქვა, მაგრამ ჩვენი, როგორც სუბიექტის როლი მაქსიმალურად შეგვენარჩუნებინა და ცალკე სიით გავსულიყავით.

პოზიციების გადასინჯვის საშუალება ბევრჯერ გვქონდა და დავრწმუნდით, რომ სწორედ ასე იყო საჭირო და გადაწყვეტილება სწორი გახლდათ.

რაც შეეხება ბასილია-ბათიაშვილთან ურთიერთობას, ეს კონსულტაცია გახლდათ ერთ-ერთი იმ მრავალ კონსულტაციათა შორის, რომლებიც გაიმართა სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან თუ დაჯგუფებასთან. ეს არის ჩვეულებრივი, ნორმალური პროცესი. ყველა შენს კოლეგაში ქვეყნის ინტერესების გულშემატკივარს უნდა ხედავდე სხვა იდეოლოგიური ბაზისის მქონე ორგანიზაცია იქნება თუ შენი მომიჯნავე იდეოლოგიისა. ეს ჯგუფის აღიარებს მემარჯვენე მიმართულებას თავის საქმიანობაში და უფრო მეტი თანხვედრა იყო იდეოლოგიური თვალსაზრისით პოზიციებს შორის, მაგრამ როგორც დაინახეთ თვით ამ ორგანიზაციის სიმტკიცე არ აღმოჩნდა ძლიერი, შიგნითვე გაიყვნენ ორი ერთზე შეხედულებების აცილების გამო. საერთოდაც ეს ბუნებრივი პრობლემა ყველა ახლადშექმნილ ორგანიზაციას აქვს. ჩვენ სხვა მრავალ ორგანიზაციასთანაც გვქონდა მოლაპარაკებები, დაწყებული ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი ორგანიზაციებით, დამთავრებული სულ ახლახან შექმნილი ორგანიზაციებით.

**— „მოძრაობა ქართული სახელმწიფოსათვის“ შექმნის დღიდან შევარდნაძის საყრდენ ძალად მოინათლა. „სახალხოსათვის“ ეს პრობლემას წარმოადგენს?**

— ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ გაგვერკვია, მართლა რა ამოძრავებდა და რითი სუნთქავდა ესა თუ ის ორგანიზაცია. ეს არის თუ არა შევარდნაძის საყრდენი საკუთარითვალით უნდა დაგვენახა და გვეგრძნო. აქამდე, სამწუხაროდ, საქმე არ მისულა. ბოლომდე არ გახსნილან ურთიერთობაში, ერთი პერიოდი გარკვეული პოზიციის მომენტი იყო ჩვენს ურთიერთობაში და ორგანიზაციის გაყოფაც სწორედ მაშინ მოხდა, ასე რომ სიღრმეებს ვერ ჩავწვდით.

**— ბოლო დროს გავრცელებულ ხმებს თუ ვერწმუნებით, თოფაძის პარტიასთან ეძებთ ერთობას?**

— მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით თოფაძის პარტიასთან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი გვერ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ისლამი კავკასიაში და საქართველო

## ქრისტიანობისა და ისლამის დაპირისპირების ისტორიული ფესვები

საქართველო გეოგრაფიულად სხვადასხვა რელიგიის შემხვედრ გზაშესაყარზე მდებარეობს. იგი თავისი ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის მანძილზე ბევრჯერ მოქცეულა ორი ძირითადი რელიგიის — ქრისტიანობისა და ისლამის შეჯახებათა ეპიცენტრში. მათი დაპირისპირება სხვა ფაქტორებთან ერთად არაერთხელ გადაზრდილა სახელმწიფოთაშორის სისხლისმღვრელ ბრძოლებში და მსხვერპლადაც ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს.

მრავალრიცხოვან მუსულმანთა მოძალებას აუნაზღაურებელი ზიანი მიუყენებია ჩვენი ქვეყნისათვის, როგორც ეკონომიკის, ისე სულიერი ცხოვრების სფეროში. თუმცა, საბედნიეროდ, წელში საბოლოოდ არასოდეს გაწყვეტილა, ეროვნული მხნეობა შეუნარჩუნებია, მართლმადიდებლური პოსტულატების მეოხებით ქართული ხასიათი სიძნელეებთან ბრძოლის, ამტანობის და განუმეორებელი მხნეობის თვისებებით გაუმდიდრებია.

ქრისტიანობისა და ისლამის ურთიერდაპირისპირება განპირობებულია არა მარტო იმით, რომ ეს ორი რელიგიური მიმართულება აბსოლუტურად განსხვავებულია თავისი არსით, მოძღვრების, როგორც ასეთის, მთავარი დებულებებით, არამედ იმითაც, რომ ქრისტიანობა საქართველოში ყოველთვის გვევლინებოდა საერო ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირურთიერთობაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა, როცა სამშობლოს დაცვის ინტერესები იწევდა წინა პლანზე. ქართულ ეკლესიას თავისი არსებობის მანძილზე როგორც სულიერ მოძღვარს, არასოდეს შეურცხვენია თავი. ჩვენი მიმტევებლობა, მენტალიტეტი მეტ-ნაკლებად მართლმადიდებლური მოძღვრების დამსახურებაა.

ისლამი, პირიქით, გამოირჩევა თავისი შეურიგებლობით ქრისტიანობისადმი, რეაქციულობით და მორწმუნეთათვის მკაცრი მოთხოვნებით, სხვა აღმსარებლობის მორწმუნეთა მიმართ სიძულვილით. მას ეს თავისებურებანი მრავალგზის გამოუმჟღავნებია მთელი სისასტიკით.

კავკასიის რეგიონში ქრისტიანობისა და ისლამის დაპირისპირება გამოწვეულია იმითაც, რომ საქართველოს ისტორიულად თვალი დაადგა მეზობლად მდებარე ორმა მუსულმანურმა სახელმწიფომ — თურქეთმა და ირანმა. ისინი ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ ჩვენი სამშობლოს კუთხეების მიტაცებით და საქართველოს თავიანთ ვასალად გადაქცევაში.

ამ ორ რელიგიას შორის დაპირისპირების ისტორიული ფესვები ბოლო ორასი წლის განმავლობაში თითქოს შენელდა. ვამბობთ თითქოს, რადგან აქა-იქ თავს იჩენს თუ არა ისლამის მოძღვრების მთავარი თავისებურების ხელსაყრელი პირობები, მუსულმანები „ღირსეულად“ ამჟღავნებენ თავიანთ თვისებებს: ქრისტიანებს შეუბრალებლად ხოცავენ, ჭრიან თავებს, სვამენ მათ სისხლს და სხვ. ამის დასადასტურებლად მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადენილი ქმედებებიდან. ფაქტობრივად დადგენილია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დროს განსაკუთრებული სისასტიკით ქართველების მიმართ გამოირჩეოდნენ მუსულმანი აფხაზები და მათ დასახმარებლად მოსული იგივე აღმსარებლობის ადიღეელები, ჩეჩნები და სხვები.



### ისლამური მოძრაობის თანამედროვე ტენდენციები

ისლამი, როგორც რელიგიური მოძღვრება VII საუკუნიდან არსებობს. იგი უმთავრესად გავრცელებულია აფრიკის, აზიისა და ევროპის კონტინენტებზე მდებარე ქვეყნებში. ისლამის მიმდევართა რიცხოვნობა 800 მილიონს აღემატება. თვით ისლამის მოძღვრებაში ორი ძირითადი მიმართულებაა: სუნიზმი და შიიზმი. სუნიტები ისლამის მოძღვრების მთავარი წიგნის „ყურანის“ გარდა, აღიარებენ სუნის „წმინდა გადმოცემებსაც“. შიიტები ნაწილობრივ ცნობენ „ყურანის“ უმთავრეს დებულებებს და ემყარებიან იმ გადმოცემებს, რომლებიც დაკავშირებულია ისლამის პირველშემქმნელის მუჰამედის სიძისა და მისი ახლობლების სახელებთან.

ისლამის უმთავრესი იდეა არის არაბული სამყაროს რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანება. ეს იდეა ჩადებულია „ყურანში“. ეს იდეა საუკუნეების მანძილზე, როგორც მუსულმანური აღმსარებლობის ძირითადი ლოზუნგი, არასოდეს მოხსნილა დღის წესრიგიდან. თუმცა დროდადრო, ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით, ძლიერდებოდა ისლამის მთავარი იდეის ქადაგება, ძლიერდებოდა ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება ისლამის დროშით მილიონობით ადამიანის რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

ამჟამად, როცა მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება, ისლამურ ქვეყნებში იქმნება სხვადასხვა ორგანიზაციები, საზოგადოებები, მოძრაობები და გაერთიანებები, კვლევითი ცენტრები, ლობისტური ჯგუფები და სხვ. უფრო მეტიც, ზოგიერთ სახელმწიფოში გათვალისწინებულია რელიგიური საქმეების ორგანოები. ისინი ისლამის პრინციპების პროპაგანდასთან ერთად იკვლევენ მუსულმანთა ეროვნული ინტეგრაციის საკითხებს.

ისლამის მოძღვრების საერთო პროპაგანდის ფონზე განსაკუთრებით გამოიკვეთა რეაქციული ისლამის (ფუნდამენტალიზმის) ხასიათი და თავისებურებანი. ბოლო დროის მონაცემებით, ფუნდამენტალიზმის სამსახურშია 19 გაზეთი, ათობით ჟურნალი, 51 რადიოსადგური, 20 სატელევიზიო არხი და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები. არაზუსტი ცნობებით ისლამის პროპაგანდის ამ მიმართულებას მხარს უჭერს 2500 საზოგადოება, 500 ფონდი, 1000 კომპანია, 500 სასწავლებელი (გაზ. „ჰურიეთი“, 10.06.97წ.).

ისლამური მოძრაობა ბოლო წლებში სულ უფრო აშკარად ისახავს მიზანს — აალორძინოს ისლამი ისტორიულ საზღვრებში. ამ მიზანს უკავშირდებიან პოლიტიკური ძალები და გაერთიანებები. სპეციალური სამსახურები გვევლინებიან იმ ორგანოების ფუნქციებით, რომლებიც ისლამის ფაქტორის ზრდას უზრუნველყოფენ საგარეო ფაქტორების შესაბამისი სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. ისლამური მოძრაობის ლიდერები თავიანთ გამოსვლებში არ მალავენ საბოლოო განზრახვას: შეიქმნას ისე-

გაგრძელება მეხუთე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ი ნ ტ ე რ ვ ი უ

### ჯემალ გოგიტიძე: ყოველდღე მიძლიერდება ეჭვი...

# გენერალური პროკურატურა არის ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში მოწყობილ-დაგეგმილი ტერაქტებისა



**— ბატონო ჯემალ, თქვენი ოპონენტები ბათუმური ალიანსის შექმნის დღიდან წინასწარმეტყველებდნენ მის უდღეურობაზე და იმედოვნებდნენ, რომ ეს დროებითი გაერთიანება არჩევნებამდე ვერც კი მიაღწევდა. სიახლეს ხომ არ უნდა ველოდოთ ამ თვალსაზრისით?**

— რატომღაც საქართველოში ცუდ ტონად აღიქვამენ, რომ ადამიანები მეგობრდებიან. ზოგიერთს ნებისმიერი გაერთიანება აღიზიანებს. მე კი პირიქით ვფიქრობ: თუკი ბევრი პარტია შეთანხმდება და საერთო აზრამდე მივა განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, თუკი შესაძლებელი იქნება, თითოეული მათგანის პოზიციათა კორექტირება მოხდეს და არცერთი მათგანის მოსაზრების იგნორირებას ადგილი არ ექნება, ამას რა სჯობს.

გამოთქვამს ზოგი რწმენას, რომ ეს კავშირი დაიშლება. არადა, დაშლას კი არ უნდა შევუწყოთ ხელი, პირიქით...

7%-იანი ბარიერი დააახლოვებს პარტიებს და პოლიტიკური სპექტრიც დაიხვეწება, პოლიტიკურ პარტიათა რიცხვი შემცირდებაო ამბობდნენ და ამას მხარს უჭერდა მმართველი ძალა. მაშინ რატომ უკვირს ვიღაცეებს, რომ გაერთიანდა რამდენიმე პარტია, რომელთა შორის არის დემოკრატიული აღორძინების კავშირი?

**— თუკი მმართველ ძალას პოლიტიკური სპექტრის დახვეწის მიზნით სურდა 7%-იანი ბარიერის შემოღება, მაშინ გამოდის, მათ ქვეყანას ერთგვარად დიდი სამსახური გაუწიეს?**

— რეალურად ბარიერის 7%-მდე აწევა სულ სხვა რამე ემსახურებოდა. „მოქალაქეთა კავშირმა" ხელოვნურად შექმნა სატელიტი პოლიტიკური ორგანიზაციები — პარტიები, რომლებსაც შემდგომ გარკვეული ამბიციები გაუჩნდათ. 5%-იანი ბარიერი კი ისეთი ზღუდე გახლდათ, რომლის დაძლევის შესაძლებლობები არსებობდა, და ისინი მმართველ პარტიასთან ურთიერთობის გარეშეც შესაძლოა შესძლებდნენ ამას. აი, 7%-ს კი ნამდვილად ვერ გადალახავდნენ საკუთარი ძალებით და იძულებულნი იქნებოდნენ „მოქკავშირთან" ერთად ებრძოლათ გამარჯვებისათვის.

**— იქნებ, უფრო კონკრეტულად უპასუხოთ დღევანდელი გადასახედიდან რამდენად მყარია ბლოკი „საქართველოს აღორძინება"?**

— როცა ჩვენი ბლოკის სიმყარეზე ან მის სიმყიფეზე ვსაუბრობთ, უნდა გულახდილად ითქვას, შეუძლებელია, რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია რაღაც დონეზე მუდმივ ცვალებადობას არ განიცდიდეს. მაგრამ დღეს მყარად არის გარანტირებული, რომ ბლოკ „საქართველოს აღორძინების" რიცხვს რომელიმე პარტია არ გამოაკლდება, მე ვფიქრობ, პირიქით, ეს რიცხვი გაიზრდება.

**— ბოლოს და ბოლოს, გაარკვიეთ თუ არა, რა პოზიცია გააჩნია მამუკა გიორგაძეს? რამ განაპირობა, რომ მან ალიანსის ძებნა სხვაგან დაიწყო?**

— ჩემთვის დღემდე მართლა გაურკვეველია ბატონი მამუკას პოზიციები. საარჩევნო ბლოკში იგი ჩვენთან არ არის, მაგრამ პოლიტიკურ ალიანსში, რომელიც თავიდანვე შეიქმნა, ხელშეკრულება გაფორმებული გვაქვს. ჩემთვის ჯერჯერობით გაუგებარია, რატომ დააყენა სახალხო პარტიამ მთლიანობაში საქმე ამგვარად. მე ვფიქრობ, რომ ინდივიდუალობა არის ყველაზე ნიშანდობლივი ფორმა პოლიტიკაში არსებობისა, რომლის დაკარგვამაც გარკვეულად შეიძლება შეაწუხოს ნებისმიერი პოლიტიკური პარტია, ჩვენს პოლიტიკურ ალიანსში და საარჩევნო ბლოკში მსგავსი რამ გამორიცხულია, ყველა სუბიექტი, რომელიც პარლამენტში არჩევის შემდეგ დაფიქსირდება, თავის ინდივიდუალობას ინარჩუნებს.

**— სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ინფორმაციით რუსეთს ბათუმის პორტის ხელში ჩაგდების მიზნით დესტაბილიზაციის შექმნა სურს ამ რეგიონში და ჩეჩენი „ბოევიკების" შეყვანას ცდილობს. აჭარის მხარეს თუ გააჩნია ამის შესახებ ინფორმაცია?**

— საქართველოს პირველი არხით გამოდის სხვა სახელმ-

გაგრძელება მეექვსე გვერდზე

# ავხსნათ ტაბუ ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა ვინაობას

## (ილია მეფის ოხრანკის აგენტებს არ მოუკლავთ)

30 აგვისტოს შესრულდა ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის 92 წლისთავი. ტერორს, როგორც პოლიტიკური მოწინააღმდეგის თავიდან მოცილების ავანტიურისტულ მეთოდს დიდი ხნის ისტორია აქვს. მას იყენებდნენ როგორც ძველი დროის დესპოტი მეფეები, ასევე ჩვენი დროის დიქტატორები. ამ მეთოდს ყველაზე უფრო მიმართავდა შუა საუკუნეებში კათოლიკეთა „იეზუიტების ორდენი", ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ჯერ კომუნისტები და შემდეგ 30-იანი წლებიდან ფაშისტები. ოღონდ, კომუნისტების თვალთმაქცობა სხვათაგან განსხვავებით ის იყო, რომ ისინი თეორიულად უარყოფდნენ ბრძოლის ამ მეთოდს — საქმით კი, გაგიხარია, სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ ყველაზე მეტი აქტივობით. ამის რეციდივებს საქართველოში დღესაც ვხედავთ მთელი რიგი გაუხსნელი პოლიტიკური მკვლელობების სახით. კომუნისტების შავ საქმეთა შორის ერთ-ერთი უსაზიზღრესია ილიას მკვლელობა. აქაც, როგორც ყოველთვის, მათი ვერაგობა ის იყო, რომ ტერორი თავად ჩაიდინეს და ბრალს კი 70 წლიანი კომუნისტური მმართველობის დროს მეფის ოხრანკას სდებდნენ. ცილისწამების ამ ფაქტს დღესაც მიგვანიშნებს წიწამურთან დადგმულ ობელისკზე ყოვლად უსამართლო წარწერა — დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მეფის ოხრანკის აგენტებმა მოკლესო. ვაი, უსირცხვილო სირცხვილო!

ერთი სიტყვით, რა ხდება? იმის მიუხედავად, რომ ეროვნული ხელისუფლების დროს, როცა მართლის თქმის პრინციპს გზა გაეხსნა და ამის საფუძველზე მესანიშნავი საგამოძიებო მასალა გამოქვეყნდა ალ. სიგუას და ვ. გურგენიძის მონოგრაფიების სახით ილიას მკვლელობის ნამდვილ ორგანიზატორთა ვინაობის გამომჟღავნებით, ხელისუფლებაში უკანმობრუნებულ კომუნისტებს არა და არ სურთ ბრალეულობის აღიარება, რისი დასტურიც ის მკრეხელური წარწერაა, რომელიც დღესაც „ამშვენებს" აღნიშნულ ობელისკს.

მაინც რას გვაუწყებენ ხსენებულ ნაშრომთა ავტორები ილიას მკვლელობის შესახებ? იმას, რომ ილიას მკვლელობა მოაწყო ქართველ მარქსისტთა „მესამე დასმა" სოფელ ბახვში (გურიაში) გამ-



ართულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომელსაც სხვებთან ერთად ესწრებოდა და ხელს აწერდა იოსებ ჯუღაშვილიც, — რომ მკვლელობა ფილიპე მახარაძის პირდაპირი დავალებით განახორციელეს წითელრაზმელმა ბანდიტებმა — გიგლა ბერბიჭაშვილმა, გიორგი ხიზანიშვილმა, პავლე ფშავლიშვილმა, გიორგი მოძღვრიშვილმა და „იმერელმა ბიჭმა„ ანუ სერგო ორჯონიკიძემ, რომელთაც დიდი დახმარება გაუწიათ მეეტლე თედო ლაბაურმა თავდასხმის ადგილას ეტლის შეჩერებით, — და რომ მკვლელობა მოხდა ეროვნულ ნიადაგზე, ანუ როგორც მაშინდელმა გამოძიებამ დაადგინა — „ილია ჭავჭავაძე მსხვერპლი გახდა პარტიათა შორის ბრძოლისა".

საქმე ის გახლდათ, რომ ილიას „თერგდალეულთა დასი" და ქართველ მარქსისტთა „მესამე დასი" სულ სხვადასხვა პოლუსებზე აღმოჩნდნენ თავიანთი მიმართულებებით. ილიას იდეალი იყო უცხოთა ბატონობიდან საქართველოს განთავისუფლება. იგი ეთაყვანებოდა საქართველოს წარსულ დიდებას და ამ დიდების აღდგენას ელტვოდა განახლებული წესწყობილებითა და როგორც თავად ამბობდა, „შრომისა ახსნით". მისი სამოქმედო ლოზუნგები იყო: ძმობა-ერთობა-თავისუფლება და ენა-მამული-სარწმუნოება, რაც უნდა განხორციელებულიყო მისი უპირველესი დებულებით — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!" ამის საწინააღმდეგოდ, რუსულ იმპერიულ სოციალიზმს აყოლილი ჩვენი ტვინთხელა მარქსისტები ბრმად აღიარებდნენ რა მარქსის ყოვლად რეაქციულ მოძღვრებას ერების შერწყმისა და კაცობრიობის გაერთნაირების შესახებ, პირველ რიგში თავის საკუთარ სამშობლოს უპირისპირდებოდნენ, ანუ ვაჟას სიტყვები რომ გავიმეოროთ, რომელნიც მან ილიას საფლავზე წარმოსთქვა — უარყოფდნენ ენას, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც-კი, რაც იყო თვით საქართველოს კვლა.

ამგვარად, ქართველი ერის მომავალი განვითარების ირგვლივ ორი ძალა დაუპირისპირდა ერთიმეორეს — ეროვნული და ანტიეროვნული. ქართველი მარქსისტებისათვის ილია იყო ის „რეაქციული" ძალა, რომელიც თავისი ეროვნული იდეალებით, ხელს უშლიდა მათ,

გაგრძელება მერვე გვერდზე

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

მეორე გვერდიდან

### ჯანმრთელობის ცნობა — შიმშილობისათვის

ქ-ნ მანანა არჩვაძემ „ჰუმანური" მეთოდებით გადაწყვიტა კოლხურ კოშკში მიმდინარე შიმშილობის გაგრძელება. ის ამიერიდან თითოეული მოშიმშილისაგან ჯანმრთელობის ცნობას მოითხოვს. კატეგორიულად დაუშვებელია ისეთი ადამიანების შიმშილობა, რომლებიც დაავადებულნი არიან დიაბეტით, კუჭის წყლულით, გასტრიტით და ა. შ. ამასთანავე, მოშიმშილეს შეუძლია მხოლოდ 20 დღე იშიმშილოს. ქ-მა მანანამ ერთგვარი უნდობლობა გამოუცხადა პოლიკლინიკებს და კოლხურ კოშკში მოიწვია ექიმთა ბრიგადა, რომელიც ადგენს, თუ ვისთვის შეიძლება შიმშილობა და ვისთვის — არა.

ვინაც სრულიად ჯანმრთელი ბრძანდებით, მაგრამ გაწუხებთ ზედმეტი წონა, შეგიძლიათ კოლხურ კოშკში 20-დღიან დიეტაზე (შიმშილობის) „დაჯდეთ".

### მოსალოდნელი სიურპრიზი „მოქკავშირისაგან"

საარჩევნო სიების შედგენა გრძელდება. ბათუმურმა ალიანსმა ოფიციალურად გააფორმა ბლოკის შექმნა. ბლოკის საარჩევნო სიაში 40% „აღორძინებას" ერგო, 25% — სოციალისტებს, 20% — ტრადიციონალისტებს, 10% — „XXI საუკუნეს".

მოქალაქეთა კავშირიც ადგენს სიებს და რამდენიმე დღის შემდეგ გახდება ცნობილი მისი შემადგენლობა, რაც „მოქკავშირის" მტკიცებით, ერთგვარი სიურპრიზიც კი გახდება ამომრჩევლისათვის.

„მოქკავშირისგან" ისეთ სიურპრიზებს და საოცრებებს ვართ მიჩვეული, ახალი, იმაზე მეტი რა უნდა გააკეთონ, საინტერესოა.

### საპონი — „ცოდვათა წინააღმდეგ"



სინდისის ქენჯნა ადამიანისათვის დიდი ტვირთია. მისგან თავის დაღწევა კი ახლა ძალიან გაიოლდა. როგორ? როგორ და ლოს-ანჯელესში მაღაზიის დახლებზე გამოჩნდა ახალი საპონი, რომელიც არა მარტო ბაქტერიებს აცილებს, არამედ — სირცხვილის გრძნობასაც. საპნის მწარმოებლები ირწმუნებიან, რომ ახალი საპონი 99% სინდისის ქენჯნას აცლის, რომელიც რაიმე საქციელის ჩადენის შემდეგ გრჩება. მთავარია, საპნის ქაფმა მთლიანად დაფაროს მთელი სხეული. თუ ტყუილის თქმა ან უწმაწური სიტყვების ხმარება გიყვართ, საპონი შეგიძლიათ გამოიყენოთ კბილის პასტის ნაცვლად.

# „სატელეფონო ტერორი" სახალხო ფრონტის ოფისში



გასულ პარასკევს, დილის საათებში, სახალხო ფრონტის თავმჯდომარის კაბინეტს „სატელეფონო ტერორი" მოუწყვეს, ანუ ბ-ნ ნოდარ ნათაძეს სატელეფონო აპარატი მოპარეს. ესე ამბავი „საკვირველი" ისევე გაუხსნელი დარჩებოდა, როგორი გაუხსნელიც დარჩა მანამდე გაზეთ „საქართველოს" რედაქციიდან ორჯერ კომპიუტერული ტექნიკის ქურდობის ფაქტები, მაგრამ ამჯერად ოფისის დამლაგებელმა იყოჩაღა და ქურდიც გასკვანჭა. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეჭვმიტანილის სახით დამლაგებელმა თეთრებში ჩაცმული ხანდაზმული ქალბატონი წარმოგვიდგინა და ცელოფანის პარკში ჩადებული ნივთმტკიცებაც, ანუ ტელეფონის აპარატი გვიჩვენა. ხანდაზმულმა ქალბატონმა, რა თქმა უნდა, იუარა, აღშფოთდა კიდეც და საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად საკუთარი წარსულივე მოიშველია — ომის ვეტერანი, მრავალი საბრძოლო ორდენის კავალერი ვარო და ამ „არგუმენტების" გასამყარებლად ხელჩანთიდან ფოტოალბომიც დააძრო, სადაც ომის ვეტერანებთან ერთად ეს ქალბატონიცაა გადაღებული და... მათთან ერთად საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტიც.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გული აგვიჩუყდა, შეგვებრალა ნაომარი ქალბატონი და ლამის ცრემლებიც ჩამოგვცვივდა, მაგრამ, ამავე დროს, სიბრაზისაგან გული ყელში მოგვებჯინა: რა დღეში ჩააგდო ეს ხანდაზმული, ნაომარი, განაწამები ადამიანები იმ კაცმა, რომელიც მათთან ერთადაა ფოტოზე აღბეჭდილი გაღიმებული სახით...

**თვითმხილველები**

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

## არჩევნები

# საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება შეგვიძლია!

თუმცა შევარდნაძის და „მოქალაქეთა კავშირის" ხელისუფლებამ ძალიან დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას ობიექტების განიავების, მათი ჯართად გაყიდვის, საგარეო სესხების ჩაჯიბების, ფლოტის გაყიდვის, ჩალის ფასად ჩატარებული „პრივატიზებისა" და სხვა მაქინაციების საშუალებით, ჩვენი ეკონომიკის გამოჯანსაღება პატიოსანი და ერთგული ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ შესაძლებელია. მისი გაჯანსაღება მოხდება სამ ეტაპად:

**I ეტაპი**

მოხდება საქართველოს ქონების განიავების **შეჩერება**. ამისთვის

ა) შეჩერდება საგარეო სესხების აღება ყველა სხვა ფორმით გარდა სავსებით გამჭვირვალე (საჯარო) ფორმისა: წინასწარ ცხადდება, **ვისგან** აიღება (სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო გარანტიით) საგარეო სესხი, **რას** ჰხმარდება იგი, **რა ვადებში** და **ვისი პასუხისმგებლობით**. ეს გამჭვირვალეობა (საჯაროობა) გრძელდება სესხის გახარჯვისა და გადახდის მთელი დროის მანძილზე;

ბ) შეწყდება მსხვილ ობიექტთა პრივატიზაცია სხვაგვარად, თუ არ ასეთივე გამჭვირვალე (საჯარო) ფორმით; წინასწარ გამოქვეყნდება (წელიწადში ორჯერ) მსხვილ ობიექტთა პრივატიზაციის სტრატეგიული გეგმა. გამოქვეყნდება აგრეთვე ანგარიშები მომხდარი დარღვევების და დამრღვევთა მიმართ განხორციელებული სასჯელების შესახებ (ქონების კონფისკაციის ჩათვლით).

შეიცვლება სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის დანიშვნისა და კონტროლის წესი.

**II ეტაპი** (იგი იწყება პირველის პარალელურად)

ა) ძირფესვიანად შეიცვლება საქართველოს კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების სტიმულირების მიზნით. გამარტივდება გადასახადები, შემცირდება მათი პროცენტი და გაფართოვდება (ამის შედეგად) საგადასახადო ბაზა.

ბ) შინაგან ბაზარზე საქართველოს მწარმოებელთა ხელშეწყობის მიზნით გატარდება **ზომიერი პროტექციონისტული პოლიტიკა.** სასურსათო სახელმწიფო შესყიდვებში უპირატესობა მიეცემა შინაური წარმოების პროდუქტებს. გაძლიერდება პასუხისმგებლობა ეკოლოგიურად ნაკლოვანი (ჯანმრთელობისათვის მავნე) სურსათის შემოტანაზე.

გ) შეიქმნება (შეძლებისდაგვარად) იაფი კრედიტის სისტემა წარმოების სტიმულირებისათვის. შეიქმნება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მასალებით (საწვავი, სასუქები, შხამ-ქიმიკატები...) წარმოების მომარაგების კონკურენტუნარიანი სისტემა (სისტემები) მონოპოლისტური მაფიების განსადევნად ბაზრიდან.

**III ეტაპი**

საქართველო ორიენტაციას აიღებს მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (ღვინო, ხილი და ხილის კონსერვი) და მეცნიერებატევადი სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის განვითარებაზე, ამასთან ერთად — **თავისი შინაგანი მოხმარების მაქსიმალურად დაკმაყოფილებაზე საკუთარი პროდუქციით.** საქართველოსთვის არაა აუცილებელი, რომ იყოს ზეგანვითარებული მსოფლიოს სანედლეულო და სამომსახურეო დანამატი (როგორც ამას დღევანდელი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს). **საქართველოს დაახლოება დასავლეთთან დაემყარება არა ეკონომიკური ნიველირების (დაქვემდებარების) კურსს, არამედ ფრთხილი და გონივრული სტრატეგიული თანამშრომლობის კურსს.**

**IV ეტაპი**

ეკონომიკის გაჯანსაღების II ეტაპის განხორციელებისთანავე შესაძლებელი გახდება საბიუჯეტო ხარჯების გაღება სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული მიმართულებებით. ესენია:

ა) თავდაცვა და უშიშროება

ბ) ჯანდაცვა, სოცდაცვა და განათლება

გ) ინვესტიციების პროგრამა (ინფრასტრუქტურის განვითარება)

დ) სახელმწიფოს ვალდებულებათა თანდათანობითი მოხდა მოქალაქეთა წინაშე (მეანაბრეთა დაკმაყოფილების ჩათვლით, პროპორციული სისტემით, მრავალწლიანი პროგრამის ფორმით).

**საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე.**

**რას მოუტანს საქართველოს სოფელს ხელისუფლების შეცვლა**

ყველამ ვიცით, რომ შევარდნაძისა და „მოქალაქეთა კავშირის" პოლიტიკა არის **საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული და ფსიქოლოგიური ნგრევის პოლიტიკა** იმ მიზნით, რომ ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას. მაგრამ მათ მიერ დანგრეული ეკონომიკის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუ ხელისუფლების სათავეში მოვლენ ქვეყნის ერთგული და პატიოსანი ადამიანები.

ჩვენი გზა საქართველოს სოფლის გამოყვანისა ეკონომიკური კრიზისიდან შემდეგია:

1. გატარდება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცვის პოლიტიკა. სახელმწიფო თავისუფლად შეისყიდის მოსახლეობის მიერ წარმოებულ ძირითად პროდუქტებს და გადაიხდის ფასს, რომლის მინიმუმი შეფარდებული იქნება მსოფლიო ფასებთან (შეისყიდება მარცვლეული, მზესუმზირა, ყურძენი, მატყლი და სხვა, საკონსერვო და გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენის შემდეგ — აგრეთვე ხილი და ბოსტნეული). საორიენტაციო მიზანია, რომ სოფლის მეურნის ოჯახის შემოსავალი იყოს არანაკლები 200 ლარისა (100 დოლარისა) თვეში.

2. საქართველოს ხელისუფლება საკანონმდებლო და საბაჟო პოლიტიკით დაიცავს საქართველოს შიდა ბაზარს იაფი, მაგრამ უხარისხო (მავნე) პროდუქტების შემოტანისაგან, მათ შორის — დაკონსერვებული პროდუქტების შემოტანისაგან; ხელს შეუწყობს საქართველოში გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენას. ამ გზით შესაძლებელი გახდება როგორც სახელმწიფოს მიერ, ისე კერძო ფირმათა მიერ პომიდვრის, კიტრის, ხილის და დასაკონსერვებლად გამოსადეგი სხვა პროდუქციის მასობრივი შესყიდვა.

3. უზრუნველყოფილი იქნება იაფი (ანუ დაბალპროცენტიანი) სესხი 2-5 წლის ვადით სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის (3-10 წელიწადში), ანუ აღიკვეთება საქართველოსთვის მოცემული საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო სესხების გაცემა **ქრთამების** საფუძველზე (როცა გლეხს ბანკში „ატოვებინებენ" მისაღები თანხის 25-50 პროცენტს). მექრთამეობის ამ სახის აღკვეთა შევარდნაძისა და „მოქალაქეთა კავშირის" ხელისუფლებას არც უნდა და არც შეუძლია, რადგან მათი გუნდი უპატიოსნო ადამიანებისგან შედგება. ეს შეუძლია მხოლოდ ეროვნული მიმართულების (სულისკვეთების) ხელისუფლებას, რადგან ქვეყნის ბედზე მხოლოდ ის ფიქრობს.

4. ეკონომიკური და იურიდიული საშუალებებით (ხოლო უკიდურეს შემთხვევაში — სათანადო სასჯელის გამოყენებითაც) დაითრგუნება **მაფიების** საქმიანობა, რომლებიც ხელოვნურად ზრდიან საწვავის, სასუქების, შხამ-ქიმიკატების და სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი სხვა მასალების ფასებს, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მისი სათადარიგო ნაწილების ფასებს. კერძო ფირმების შეუფერხებელი მუშაობის პარალელურად იმუშავებს სპეციალური სახელისუფლო სტრუქტურა ამ აუცილებელი მასალების შეძლებისდაგვარად იაფად შემოტანის (ან წარმოების) მიზნით.

***გახსოვდეთ: შევარდნაძისა და „მოქალაქეთა კავშირის" ხელისუფლებას არ შეუძლია არც სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებისათვის ხელის შეწყობა (რადგან იგი მორჩილად ასრულებს უცხო ქვეყნის დავალებას, რომ ეს მეურნეობა დაანგრიოს), არც ამ დარგის განთავისუფლება მექრთამეობისა, მაფიებისა და სხვა წურბელებისგან, რადგან ისინი მისი ერთადერთი სოციალური საყრდენი არიან. ეს შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვინც ქვეყნის ინტერესებს საკუთარზე წინ აყენებს და ვინც საქართველოს გადარჩენისა და თავისუფლებისათვის იბრძვის.***

**საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე**

**ნოდარ ნათაძე**

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი**

**თამარ ჩხეიძე**

**ეროვნულ-რადიკალური პარტიის თავმჯდომარე**

**გურამ გოგბაიძე**

## ინტერვიუ

# ტრისტან ბერიანიძე: მე პარლამენტში შესვლას ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების საკეთებლად ვაპირებ...

**გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის წევრთან, აპარატის უფროსთან ტრისტან ბერიანიძესთან.**



**— ბატონო ტრისტან, დეპუტატობის კანდიდატად კენჭს ახალგორში რატომ იყრით?**

— მე ვაპირებ მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატად დასახელებას ახალგორის საარჩევნო ოლქში სახალხო ფრონტიდან. აქ იმიტომ გადავწყვიტე, რომ, ჯერ ერთი, კარგად ვიცნობ ახალგორის პრობლემებს. მეორეც პარლამენტში შესვლით ვაპირებ ჩემთვის სავსებით ნათლად გარკვეული მიზნების განხორციელებაში მონაწილეობას. მათ შორის იგულისხმება ოსეთის პრობლემა, რომელიც უშუალოდ ეხება ახალგორის რაიონს. ამომრჩეველთან შეხვედრისას მე ამომწურავად გავაცნობ მათ ჩვენი პარტიისა და პირადად ჩემს სხვა მიზნებსაც (რომელიც თითქმის არ განსხვავდება პარტიის მიზნებისაგან), შემდეგ მათი გადასაწყვეტია, ამირჩევენ თუ არა.

**— წინასაარჩევნო პროგრამას რაც შეეხება, რას გვეტყვით?**

— მე პირველ რიგში მინდა შევეხო საგადასახადო სისტემას. ბიუჯეტის შეუვსებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ხშირად ასახელებენ არა მარტო მაღალ გადასახადებს და მოუქნელ საგადასახადო სისტემას, არამედ გადასახადის გადამხდელის დაბალ საგადამხდელო კულტურას. ეს მთლად ასე არ არის. გადასახადის გადამხდელის წარმოდგენაში (გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად) იგი გადასახადს საკუთარ სახელმწიფოს კი არ უმალავს და ამით დანაშაულს ჩადის, არამედ იგი გადასახადს უმალავს სახელმწიფო მოხელეს და ამით შემოსავალს უზოგავს საკუთარ თავს. მის წარმოდგენაში ეს ქვეყანა მისი კი არ არის (გადასახადის გადამხდელის) არამედ სახელმწიფო მოხელესია, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მხოლოდ გამდიდრების მიზნით მივიდა და არა სახელმწიფო ინტერესების (მაშასადამე, გადასახადის გადამხდელის) დასაცავად და განსახორციელებლად. ამიტომ ის ყველა საშუალებით ცდილობს საკუთარი შემოსავალი არ გაუნაწილოს სახელმწიფო ბიუჯეტს და თვითონ დაიტოვოს რაც შეიძლება მეტი, რადგან არავითარი სურვილი არ აქვს, მისი ნაშრომ-ნაამაგარის გარკვეულ ნაწილს ვინმე ქურდბაცაცა სახელმწიფო მოხელე დაეპატრონოს. აქედან დასკვნა ასეთია, რომ გადამხდელის დაბალი საგადამხდელო კულტურა არაფერ შუაშია და როგორც იტყვიან, ძაღლის თავი ხელისუფლების კორუმპირებულობაში მარხია. რაც ნაკლებია კორუფცია ხელისუფლებაში, მით მეტია ქვეყანაში საგადამხდელო კულტურა, ე.ი. გადასახადის გადამხდელიც. ამიტომ ამომრჩეველმა არჩევანი უნდა გააკეთოს არა ასარჩევის (კანდიდატის) მიერ სხვადასხვა ცრუ დაპირებების ან მოქრთამვების მიხედვით, არამედ კანდიდატთა პატიოსნების მიხედვით. ჩემი ერთ-ერთი მიზანია ისეთი საგადასახადო ნიხრებისა და სისტემის შემოღებაზე მუშაობა, რომელიც მაქსიმალურად შეზღუდავს კორუფციას აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

**— კანონებს რაც შეეხება, ახლანდელმა პარლამენტმა ბევრი კანონი მიიღო, რომელმაც სამართლებრივად დაარეგულირა ესა თუ ის სფერო ...**

— დიახ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პარლამენტის უმრავლესობის პოლიტიკურ ორიენტაციას და შეხედულებებს, პარლამენტმა ვერაფერი გააკეთა ქვეყნისათვის ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრობლემებზე, როგორიცაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოს ტერიტორიიდან რუსის ჯარის გაყვანა. არაფერს ვამბობ ესენგედან საქართველოს გამოსვლის შესახებ, რამეთუ ვინც ესენგეში შესვლას დაუჭირა მხარი, ყველა პარლამენტში ზის. ამ პრობლემის მოგვარება მოქკავშირს 1995 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში არც კი ჰქონდა შეტანილი. მათ მაშინ ამომრჩეველთა მოსატყუებლად უფრო სარფიანი ცრუ დაპირება გამოიყენეს — ერთ მილიონ სამუშაო ადგილს შეპირდნენ და წამოაგეს კიდევაც მოსახლეობა ანკესზე.

ბევრ, ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან კანონებში, რომლებიც ამ პარლამენტმა მიიღო, ხშირ შემთხვევაში არ იგრძნობოდა კანონით დასარეგულირებელი საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და ხშირად საპარლამენტო უმრავლესობაც და უმცირესობაც ამა თუ იმ კანონის თვითმორგებას ახორციელებდა. ამის ნათელი მაგალითებია კანონები: ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, პარლამენტის არჩევნების შესახებ. საქართველოს კანონი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, საკრებულოების არჩევნების შესახებ და სხვა. განსაკუთრებით მინდა შევჩერდე კანონზე რეკლამის შესახებ. პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში, სიგარეტზე და მაგარ სპირტიან სასმელებზე რეკლამა თითქმის აკრძალული იყო, მაგრამ პარლამენტის უმრავლესობამაც და უმცირესობამაც მხარი დაუჭირა ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე საკვები ნივთიერებების რეკლამას (სიგარეტი, სპირტიანი სასმელები), იმ საბაბით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური პრობლემები შეექმნებოდათ ტელეკომპანიებს, ჟურნალ-გაზეთებს და სარეკლამო სააგენტოებს. სინამდვილეში კი მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი სიგარეტისა და სპირტიანი სასმელების იმპორტიორებს და ამით საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესებას, რასაც, თავის მხრივ, ნორმალურ ქვეყანაში, ნორმალური ხელისუფლების პირობებში, მოსდევს ბიუჯეტიდან დიდძალი თანხების გამოყოფა ჯანდაცვის სფეროსათვის.

**— ცხინვალის პრობლემა ახსენეთ. ეს საკითხი, აფხაზეთის პრობლემასთან ერთად, დღევანდელი საქართველოს სატკივარია ...**

— მე არ ვისაუბრებ ცხინვალის პრობლემების სიმწვავეზე, მისი გადაჭრის გზებზე და ამჟამინდელი ხელისუფლების უმწეობაზე ამ პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, რადგან ამის შესახებ ჩვენს პარტიას ბევრჯერ განუცხადებია. მე შევეხები ცხინვალის პრობლემასთან დაკავშირებულ ერთ, ასე ვთქვათ, ფაქტობრივ მდგომარეობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ შევარდნაძის ხელისუფლებისგან არსებობს სიტყვიერი თანხმობა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ავტომაგისტრალებზე იმოძრაონ ცხინვალის თვითმარქვია ხელმძღვანელების მიერ შემოღებულ სანომრენიშნიანმა ავტომობილებმა. უფრო მეტიც, ცხინვალის ახლო-მახლო (ქალაქ გორიდანაც კი), მაცხოვრებლები ავტომობილებს ცხინვალში აფორმებენ სიიაფის გამო. ამ ნომრიანი მანქანები თავისუფლად გადაადგილდებიან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ავტო-საგზაო ინსპექცია მათ არც აჩერებს, არა თუ უკრძალავს გადაადგილებს. აღნიშნულ ფაქტობრივ მდგომარეობას მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანი შეიძლება ჰქონდეს — შეაგუოს საქართველოს ყოვლისმომსწრე მოსახლეობა იმ ფაქტს, რომ საქართველოში არსებობს ოსეთი და შემდგომში ამ ხელისუფლებას (თუკი ისინი არჩევნების შემდგომ ისევ ხელისუფლებაში იქნებიან) გაუადვილდეს ამ ფაქტის იურიდიული გაფორმება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ ელირსებიან ისევე, როგორც საკუთარი კეფის დანახვას.

**— მასმედიასთან რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— უნდა გითხრათ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებების გაშუქების მიხედვით, ჩვენი პარტიისადმი მასმედიის დამოკიდებულება ასე გამოიყურება — ობიექტური კეთილგანწყობილი, შეგნებულად არაფრისმთქმელი და მტრული. ამჯერად შევჩერდები მხოლოდ მტრულ დამოკიდებულებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის პირველი და მეორე არხები. არადა, აღნიშნული არხები სახელმწიფოს არხებია და ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. ამიტომ პირველ რიგში ისინი არიან ვალდებულნი, რომ იყვნენ ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების მიმართ ზედმიწევნით ობიექტურნი, სამართლიანნი და საბიუჯეტო სახსრებს არ ახარჯავდნენ მხოლოდ და მხოლოდ მოქკავშირისა და მათი ძალად მაცხონე ლიდერების ეკრანზე წარმოჩენას. ბიუჯეტს ხომ ყველა ერთად ავსებს: ხელისუფლების მომხრეც და მოწინააღმდეგეც. აღნიშნული არხების სხვამხრივ შეფასებისგან ამჯერად თავს შევიკავებ, მაგრამ ერთს კი დავსძენ — ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველოში არ ჩამოყალიბდეს ისეთი საღი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხელს შეუწყობდა მოქალაქეებში ეროვნული და სახელმწიფოებრივი შეგნების ამაღლებას და განმტკიცებას. ამას ის კარგად აკეთებს აღნიშნული არხების მეშვეობით. სახელმწიფო ტელევიზია შესანიშნავი ნათელი მაგალითია საბიუჯეტო სახსრების, სახელმწიფო ქონებისა და სახელმწიფო თანამდებობების არა სახელმწიფო ინტერესების, არამედ ვიწრო, პარტიულ და პიროვნულ, ხშირ შემთხვევაში, ანტისახელმწიფოებრივი ინტერესების გამოყენებისა.

**— ცოტა რამ თქვენს შესახებ...**

— ვარ 43 წლის, პროფესიით ინჟინერი, სამართალმცოდნე. 1988 წლიდან დღემდე ვარ საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი. მყავს მეუღლე, რომელიც ახალგორის რაიონიდანაა და ორი ვაჟი. ჩვენი გვარის ძირი ქსნის ხეობიდანაა, კერძოდ, ცხრაზმულას ხეობაში, სოფ. დადიანეთიდან, საიდანაც 30-იანი წლების ბოლოს პაპაჩემი გორის რაიონის სოფ. გორიჯვარში გადმოსახლდა.

**— დაბოლოს, თუ პარლამენტში გიხილეთ, რას გვპირდებით?**

— ერთი რამ მინდა ვთქვა. მე პარლამენტის წევრობა არ მსურს გამდიდრებისთვის ანდა უკვე შეძენილი სიმდიდრის გარანტირებული დაცვისათვის, არც სახელისა და დიდებისათვის მჭირდება პარლამენტარობა. მე იქ შესვლას ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების საკეთებლად ვაპირებ.

**ამრიტა ჯანაშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეორე გვერდიდან

თიანებისთვის მზად არ იყვნენ. საბოლოოდ ჩვენ გავერთიანდით ორგანიზაცია „დიდგორთან", რომელიც არის ყველაზე დიდი გაერთიანება ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერ ორგანიზაციათა შორის: ამ ორგანიზაციას სათავეში უდგანან ისეთი ავტორიტეტები, როგორიც არიან გიგი ოჩიაური, ნოდარ წულეისკირი, ხოშტარია და სხვები. ჩვენ შევიტანეთ განაცხადი... ამ გაერთიანებით ჩვენი ძალები გაორმაგდა და ჩვენი ამომრჩეველი 300000-ს გადააჭარბებს.

**— ნინოწმინდაში პოლიციასა და მოსახლეობას შორის მომხდარი ინციდენტით განსაკუთრებულად დაინტერესდა სახალხო პარტია. თქვენ სპეციალურად ჩახვედით იქ. რამ გამოიწვია თქვენი ასეთი ყურადღება?**

— მე ძალიან დიდ სიფრთხილეს მოვითხოვ ყველა პოლიტიკური პასუხისმგებელი პირისაგან, როცა ამ თემაზე იქნება საუბარი.

ინციდენტი, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელია. მხედრიონის პერიოდის შემდეგ მე ვერ ვიხსენებ ასეთ მძიმე შემთხვევას პოლიციელებსა და უფორმოებს შორის დაპირისპირებისას, თანაც ამგვარი მძაფრი ფორმით გამოვლენილს. მე მგონია ცხელ გულზე სითრხილეს ბევრმა ულალატა და საქმეს სხვა მიმართულება მიეცა. სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებმა დასკვნები ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე გააკეთეს, რამაც უფრო დაძაბა და გაამძაფრა ვითარება. სახალხო პარტიის დამოკიდებულება ყოველთვის გულშემატკივრული იყო ასეთ სიტუაციაში და პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული. აქ კი დაინტერესება იმითაც იზრდებოდა, რომ ნახსენები იყო ჩვენი პარტიის ზოგიერთი წევრის და მხარდამჭერის სახელი ამ ინციდენტთან დაკავშირებით, ადგილობრივი სტრუქტურების წარმომადგენლები მყავს მხედველობაში. საკმაოდ სოლიდური შემადგენლობით გავემგზავრეთ ადგილზე ვითარების გასაცნობად. მანამდე მე მქონდა საუბრები შს მინისტრთა, სხვა პასუხისმგებელ პირებთან, რომ მიმეღო სრულყოფილი ინფორმაცია. ჩემთან ერთად ჯგუფში იყვნენ ქალბატონი მარიკა ბალდავაძე (ომბუდსმენის მოადგილე), თენგიზ შარმანაშვილი (მართლწესრიგის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პარლამენტში, იუსტიციის საბჭოს წევრი), დავით ჭეიშვილი (დეპუტატი). გვახლდნენ ტელევიზიის I არხის ჟურნალისტები. ჩვენი ინტერესი და შეშფოთება გაზარ-

# „სახალხო" „ზვიადისტებს" „შეეკრა"

## „მოქკავშირს" არჩევნებში მარტო დევიდ კოპერფილდი თუ უშველის

და იმ გარემოებამაც, რომ „რუსთავი 2"-ის არხით გადაიცა, თითქოს ამ ტელეარხის კორესპონდენტს საფრთხე შეექმნა და პოლიცია იძულებული გახდა 15 მანქანით გამოეცილებინა. გაუგებარი გახდა, რაში დასჭირდა მოსახლეობას ჟურნალისტთან დაპირისპირება, რომელიც ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას აპირებდა. ბევრი რამ ეჭვებს ბადებს. მე არ მინდა, ძიებაზე ზეწოლა მოვახდინო, კანონი არასდროს დამირღვევია და არც ახლა ვაპირებს, მაგრამ კითხვების დასმით უფლება ალბათ მაქვს. მე მოვუწოდებ ყველას, კეთილგონიერება გამოიჩინონ თავისი პროფესიული საქმის აღსრულების დროს.

ადგილზე გაირკვა, რომ დაპირისპირების საბაბი გახდა თვითნებური საქციელი პოლიციელისა, რომელმაც მოსახლეობას ყოველგვარი უფლების გარეშე ჩამოართვა საშემდგომო სამუშაოების ჩასატარებლად კუთვნილი საწვავი, რამაც აღშფოთება გამოიწვია. ძალიან ხშირად იმეორებდნენ სოფლის წარმომადგენლები რუსულ სიტყვას „ნიკაპილას", რაც გაჯერებას ნიშნავს ქართულად. ამას მოჰყვებოდა უამრავი ბრალდება, როგორც ადგილობრივი მმართველობის, ისე ადმინისტრაციული ხელისუფლების, პოლიციის მისამართით.

ყველაზე ხშირად ხსენებული სიტყვა იყო იქ ადგილობრივი მაფია, რომელიც ყველაფერს ითვისებს, ყველაფერს თავის მიზნებისთვის იყენებს და მოსახლეობას აზის თავზე. მე ვიმეორებ მოსახლეობის სიტყვებს. ისინი არ მალავენ არც თავის ვინაობას. ყველაფერი დაფიქსირებულია ვიდეო კამერაზე. ყოველივე ამას ემატება უამრავი დანაშაულის გაუხსნელი ფაქტი და დამნაშავეებისათვის შეგნებულად ხელის დაფარება.

არანაირი აგრესია არ გვიგრძვნია ჩვენ. ისინი შეგვხვდნენ როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს და მხოლოდ შემდეგ გაიგეს, რომ სახალხო პარტიიდან ვიყავით.

**— ბატონო გიორგი, თქვენი განაყოფი პარტია ედპ „აღორძინებას ბრალს სდებს, „მოქკავშირთან" ალიანსში. და მაგალითისათვის ნავსადგურის ამბის ჩაფარცხვას იშველიებს. ბლოკში გაერთიანებისგან თავშეკავება ხომ არ იყო განპირობებული რაიმე საეჭვო ინფორმაციით ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ედპ ამ შემთხვევაში ტექნიკურად ცდილობს გათამაშებას — ორი დროის ერთმანეთთან დაკავშირებას. წინა არჩევნების წინ პერიოდში დლა შემდგომ ერთ წელიწადს „აღორძინება" და „მოქალაქეები" ალიანსში იყვნენ, მაგრამ ედპ ცდილობს ამ სკანდალური მოვლენების ფონზე მოვლენები არიოს და დღევანდელობაში გადმოიტანოს. ასე ვთქვათ დრო წაშალოს. ალიანსი წარსულ დროშია ნახსენები, ჩაფარცხვა დღევანდელ დროში, ეს დიდ მოგებას აძლევს, რადგან ასეთი გათვლა აქვს გაკეთებული, არც „აღორძინება", არც მოქალაქეები. მაგრამ ყველასთვის ნათელია და ყველა დეტალიდან კარგად ჩანს, რომ ედპ მოქკავშირთან თანხმობით მუშაობს. მოქკავშირი ერთგვაროვანი არ არის და როცა ედპ ცდილობს ალიანსებზე აზრს მიმდინარეობს მისცეს, დაკონკრეტება დასჭირდება, ვისთან არის აბაშიძე ალიანსში, შევარდნაძესთან თუ ჟვანიასთან, რადგან ერთად ორივესთან ალიანსში ყოფნა მე გამორიცხულად მიმაჩნია.

**— არჩევნების წინ ხშირად აკეთებენ პროგნოზს, რა იქნება არჩევნების შემდეგ, ანუ რომელი ძალა რა თანაფარდობით მოვა პარლამენტში. არსებობს ვარაუდი, რომ 7%-იანი ბარიერი, რომელიც მოქალაქეებთან „თამაშით" მოიპოვა ედპ-მ, საბოლოოდ გადაულახავ ზღუდედ აღიმართება მის წინაშე, ანუ სარიშვილი მოატყუეს... როგორია მისი შანსები?**

— ედპ-ს არათუ შანსი აქვს, არამედ დარჩენილია იგი პარლამენტს გარეთ. წინასწარ შეიძლება ამგვარი მყარი პროგნოზის გაკეთება. იგივე შეიძლება ითქვას „ლეიბორისტებზე", რომლებიც დროზე ადრე „გაყიდეს" მოქალაქეებმა. ეს ამბავი დააჩქარა თბილისის საკრებულოში დატრიალებულმა მოვლენებმა.

**— რამდენად რეალურია, რომ „საქართველოს" აღორძინება უმრავლესობით მოვა პარლამენტში? მათ ამის პრეტენზია გააჩნიათ...**

— კითხვას ასე ნუ დავსვამთ. მე ვიტყოდი, რომ ოპოზიციური ძალები მოვლენ ხელისუფლებაში. მოქალაქეთა კავშირი ნამდვილად დამარცხდება. მათ არანაირი შანსი არ დარჩათ, რომ შეინარჩუნოს დღევანდელი მდგომარეობა. მე არ ვიცი, მართალა, რა მექანიზმი უნდა მოიგონოს მან ამ გაყალბებისა, რომ რაღაც შედეგს მიაღწიოს. ერთადერთი დევიდ კოპერფილდი თუ უშველის, რომელსაც შეუძლია ყუთების გაქრობა და მისი სხვა შიგთავსის გაჩენა.

**— წინასაარჩევნოდ სკანდალების რიცხვი თანდათან იზრდება. სკანდალური შედეგით დაგვირგვინდა შევარდნაძის ფონდის პრეზიდენტის ნუგზარ ფოფხაძის ზვიად ცეცხლაძესთან მეგობრობის გამჟღავნება.**

**რატომ ილტვიან დღევანდელი პოლიტიკოსები ხმამაღლა გააცხადონ, რომ ცეცხლაძესთან მეგობრობენ?**

— რატომ არის მიზეზიო ბრძანებთ და არის მიზეზი... ყველა ცალკეულ კითხვასთან დაკავშირებით არის მიზეზი. ზვიად ცეცხლაძე არის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა ქართულ პოლიტიკაში. მეორე — ზვიად ცეცხლაძესთან მეგობრობა მართლა საამაყოა, რადგან დადებითად ახასიათებს იმ პიროვნებას, ვისაც აქვს უფლება თქვას ცეცხლაძის მეგობარი ვარო. იგი გახლავთ მართლაც უნიკალური თვისებების მატარებელი კაი, მართლაც ქართველი მთელი სიგრძესიგანით.

რაც შეეხება საკითხის პოლიტიკურ მხარეს, რომელიც ცეცხლაძის და ფოფხაძის მეგობრობას დაუკავშირდა, რა თქმა უნდა, სერიოზულია. რადგან „მოქალაქეებისთვის" გამარჯვება არის ისეთი რამ, რომელმაც შეიძლება გზად ყველაფერი წაშალოს, მათ შორის ისეთი წმიდათა წმინდაც, როგორიც არის მეგობრობა. მე მინდა გითხრათ, რაც მოქალაქეებმა გააკეთეს, ბუნებრივი და ლოგიკური რომ იყოს, მაშინ იგივე დამოკიდებულება უნდა გვქონოდა მე და ჩემს მეგობრებს მამუკა გიორგაძისადმი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ზვიად ცეცხლაძის კანტრკუნტად წარდგენს ღონისძიებაში, რითაც შეიძლება პარტიული ხმების დაკარგვის საშიშროება შექმნილიყო.

**— რას იტყვით იმაზე, რომ ბათუმური კოალიცია რუსეთის ჯარისათვის სამშვიდობო მანდატის გაგრძელებას მიესალმა?**

— არა მგონია ერთგვაროვანი დამოკიდებულება ყოფილიყო ამ თემისადმი. ჩვენ როცა ბლოკში არ გავწევრიანდით, მოგახსენეთ მიზეზი — ძირითადი პოლიტიკური თემებისადმი დამოკიდებულება არ იყო ჩამოყალიბებული.. ერთ-ერთი მთავარი თემა რუსეთთან ურთიერთობა, რუსეთის პოლიტიკასადმი დამოკიდებულება გახლდათ. პოზიციები ამასთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა, ამიტომ მიჭირს მეტ-ნაკლებად ზუსტი პასუხი მოგვეც. აქ საუბარია არა სტრატეგიულ დამოკიდებულებაზე რუსეთის ბაზებისადმი, არამედ ტაქტიკაზე. შესაძლოა ბათუმური ბლოკიდან ვიღაცის ტაქტიკა დაემთხვა მოქალაქეთა კავშირის ტაქტიკას.

**— ხელისუფლებამ და მოქკავშირმა ომალოს ამბების შემდეგ ჯერ ხმაური ატეხა, რომ რუსეთის სამშვიდობო ჯარები გასულიყო, შემდეგ დამფრთხალი კურდღლებივით გაინაბნენ, ბოლოს კი მანდატიც გაუგრძელეს. რამდენად გამართლებულად მიგაჩნია ეს გადაწყვეტილება?**

— თქვენს კითხვაში არის თავისთავად პასუხი და ეს ბუნებრივი პასუხია. მოქკავშირმა იცის საზოგადოების დამოკიდებულება რუსეთის ჯარებთან დაკავშირებით და ცდილობს ერთის მხრივ ამ დამოკიდებულებას დაასხას წყალი და თავის სასარგებლოდ შეატრიალოს, მეორეს მხრივ, იცის რუსეთის დამოკიდებულება მათი ნებისმიერი ნაბიჯისადმი და ცდილობს, მათ დამოკიდებულებას შეუნთოს ცეცხლი და გაალვივოს. ეს ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. ამიტომ ჩაცვივდნენ ასეთ მძიმე მდგომარეობაში. ამიტომ მიიყვანეს ქვეყანა შიმშილისა და სიცივის უფსკრულთან. ეს არის სახე იმ კონგლომერატისა, რასაც მოქკავშირი ჰქვია. არ შეიძლება ყველაფერში უკან მიგდიოდეს საქმე, თუ მისი გაკეთების რაღაცა სურვილი და უნარი გაგაჩნია. ფაქტია, რომ ყველა დარგი, ყველა სფერო იძირება დღეს, ვერც ტერიტორიებს ვიბრუნებთ, ვერც რუსეთის გავლენას ვაღწევთ თავს. მოქალაქეთა კავშირი კი გამუდმებით ცდილობს, ორი აგური, რომელიც ხელში უჭირავს, სხვაგან ისროლოს, მაგრამ ყოველთვის მაინც მაგათ ხვდებათ.

**მანანა ლოგჯანიძე.**

*მეორე გვერდიდან*

თი პირობები, რომ საერთოდ ალიკვეთოს ანტიისლამური ძალების მოქმედება.

**როგორი მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით კავკასიაში და მის მიმდებარე მუსულმანურ სახელმწიფოებში?**

ირანში ფუნქციონირებს სახელმწიფო სადაზვერვო სისტემა. მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ის არის, რომ წარმართოს ისლამური საქმიანობა, გააანალიზოს გაწეული მუშაობა და დასახოს შესაბამისი ღონისძიებანი. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ირანი ერთ-ერთი აქტიური ქომაგია ფუნდამენტალიზმის თვალსაზრისით მთელ მსოფლიოში.

თურქეთი ისლამური სახელმწიფოა. იგი, მართალია, არ არის ფუნდამენტალისტური რესპუბლიკა, მაგრამ აქ მოქმედებენ ორგანიზაციები, რომელთა ლიდერები დაჟინებით მოითხოვენ იმ კურსის გატარებას, რომელიც მიზნად ისახავს დიდი თურანის აღორძინებას. თურქეთის ნავთობსადენის კომპანიის მეთაურმა მ. გოკნელმა გაზეთ „თურქიშ დაილუ ნეფსი"-სათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა: **„ჩვენ უთუოდ შევეჯახებით კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში საკუთარი პოზიციების დაკარგვის საფრთხეს. თურქეთმა უნდა გადახედოს თავის პოლიტიკას კავკასიაში"** („სვ. გრ." კავკასია, 28.09.976.).

რა თქმა უნდა, „პოზიციების დაკარგვის საფრთხე" და „შეჯახება" გულისხმობს ისლამური მოძრაობის მთავარ მიზანდასახულობას. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ თურქეთის ზედა ეშელონის წარმომადგენლები არაერთგზის გამოთქვამენ დიდი თურანის აღდგენის დაუცხრომელ სურვილს.

ჩრდილო კავკასიაში, სადაც ძირითადად ისლამური აღმსარებლობის ხალხები ცხოვრობენ, ფართო მასშტაბით წარმოებს ისლამის რეაქციული მიმართულების პროპაგანდა, შექმნილია შესაბამისი ორგანიზაციები და საზოგადოებები. მაგალითად, დაღესტანში ფუნქციონირებს „ჯამაათულ მუსლიმის" პარტია, ჩეჩნეთში „ისლამური გზა", „ისლამის ნაცია", „ისლამის უმი". ეს უკანასკნელი გამოირჩევა განსაკუთრებული რადიკალური შეხედულებებით. მისი ლიდერია მ. უდუგოვი.

# ისლამი კავკასიაში და საქართველო

## ქრისტიანობისა და ისლამის დაპირისპირების ისტორიული ფესვები

ორი წლის წინ ჩატარდა „ისლამის ნაციის" პირველი კონგრესი გროზნოში. კონგრესის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის მითითებული, რომ ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანაა ისლამის ერის შექმნა: „ჩვენ ვართ ისლამის ერი. ჩვენ უნდა გავაერთიანოთ თუნდაც ჩრდილო კავკასიის მუსლიმანები", — ნათქვამია ერთ-ერთი დელეგატის გამოსვლაში („სვ. გრ.", კავკასია, 28.08.976.).

უფრო მეტიც, საუდის არაბეთიდან ჩეჩნეთში შეგზავნეს 200 ვაჰაბიტი. მასობრივი საშუალებებისთვისაც კი გაურკვეველი დარჩა, თუ ვინ არიან ისინი: სასწავლებლად გაგზავნილი ჩეჩენი ახალგაზრდები, თუ საუდის არაბეთის მოქალაქეები, რომელთაც საპატიო მისია აკისრიათ — პროპაგანდა გაუწიონ რეაქციულ ისლამს მოსახლეობაში.

ისლამურ მოძრაობას აშკარად ემჩნევა იმის მცდელობა, რომ ზეგავლენა იქონიონ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ამ მიზნით ჩამოყალიბებული აქვთ საერთაშორისო გაერთიანებები: მსოფლიო ისლამის ლიგა, მსოფლიო საქველმოქმედო ორგანიზაცია, დახმარების ისლამის სააგენტო, ისლამური ახალგაზრდობის მსოფლიო ასამბლეა, ისლამურ მიმართულებებს შორის დაახლოების ასოციაცია, რომელსაც შტაბბინა თეირანში აქვს.

ისლამური მოძრაობის პოლიტიკურ მისწრაფებებზე მეტყველებს შემდეგი ფაქტებიც. „ისლამის ნაციის" კონგრესმა გამოთქვა პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ისლამურ სამყაროს გაერო-ში რეალური ხმა არა აქვს, ამიტომ, ვიდრე



გვიან არ არის, დასავლეთი და აღმოსავლეთი პოლიტიკური ასპექტით უნდა გათანასწორდნენო.

რვა განვითარებადი ისლამური სახელმწიფოს (თურქეთის, ეგვიპტის, ირანის, ბანგლადეშის, ნიგერიის, ინდონეზიის, მალაიზიისა და პაკისტანის) მაღალჩინოსანთა ერთ-ერთ შეკრებაზე კრიტიკული შეფასება მიეცა აშშ-ის პოზიციას ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის მოგვარებაში.

რეაქციული ისლამი მიზნად ისახავდა ჯიჰაიდს (საღვთო ომს). ამ მიზანს ემსახურება 30-მდე ორგანიზაცია. რადიკალები აშკარად ლაპარაკობენ, რომ ისლამს საზღვრები არ გააჩნიაო. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ მუსულმანები ხშირად გვევლინებიან ე. წ. ბოევიკებად ცხელ წერტილებში და ტერორისტებად.

კავკასიაში ისლამური მოძრაობის გაძლიერების შესახებ საგულისხმო პუბლიკაციებია ჟურნალში „კავკაზ", რომელიც ბაქოში გამოდის რუსულ ენაზე. ამ ჟურნალის 1997 წლის მეორე ნომერში დაბეჭდილია „ისლამის ნაციის" პირველ კონგრესზე მიღებული დეკლარაცია „კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ". ამ ცივილიზებული სულისკვეთებით გაჟღენთილ სათაურიან ტექსტში ვკითხულობთ: **კონგრესი მიზნად ისახავს დაუპირისპირდეს ყველა ძალას, რომელიც კავკასიაში მოქმედებს ისლამური მოძრაობის გასანადგურებლად. თუმცა კონკრეტულად ამ ძალების შესახებ მითითება არ ჩანს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ იგულისხმება ქრისტიანულ-დემოკრატიული ძალები.**

„ისლამის ნაციის" პარტია მხარს უჭერს თურქეთში მიმდინარე პროცესებს რადიკალური ისლამის გასაძლიერებლად. „ისლამის ნაციას" მართებულად მიაჩნია, — ნათქვამია დეკლარაციაში, — თურქეთის ისლამური პარტიის ლიდერის ერბაქანის (ამჟამად ექს-პრემიერი — ვ. ქრ.) მოქმედების არსი. კერძოდ, ის, რომ იგი ქმნის გეო-ს მსგავს საერთაშორისო ისლამურ სტრუქტურას" (გვ. 38).

თურქეთში ფუნქციონირებს ისლამისტთა სექტა „ნურჯულუქი". იგი ფართო მასშტაბის მუშაობას ეწევა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო სისტემა. ეს სისტემა საფუძვლად უდევს სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებს, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს „ყურანის" დოგმების შესწავლა და ახალგაზრდობის მომზადება რეაქციული ისლამის პრინციპებით. აღნიშნული საგანმანათლებლო სისტემის საფუძველზე სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ფუნქციონირებს 236 სკოლა, 5 უნივერსიტეტი, ენების შემსწავლელი 8 ცენტრი და სხვ.

კავკასიაში თურქული სკოლების გახსნას ხელს უწყობენ სამთავრობო სტრუქტურები და ბიზნესმენები. ეს ხელშეწყობა გამოიხატება იმით, რომ აფინანსებენ, ისლამისტური სექტიდან არჩევენ მასწავლებლებს სასწავლებლისათვის და თითქმის აშკარად, მიზანმიმართულად წარმართავენ სკოლების მუშაობას. როგორც ჩანს, თურქე-

*გაგრძელება მეშვიდე გვერდზე*

მე-3 გვერდიდან

# სუფთა ხელები

## ჯემალ გოგიტიძე: ყოველდღე მიძლიერდება ეჭვი...
## გენერალური პროკურატურა არის ინიციატორი საქართველოში მოწყობილ-დაგეგმილი ტერაქტებისა

წიფოს წარმომადგენელი, ამას აფიქსირებს და ეს ყველასთვის ცნობილია, ქვეყნის პრეზიდენტისათვისაც. მეორეც, არანაირი პრობლემა არ არსებობს ბათუმის პორტში და იქ თავისუფლად შეიძლება ნების-



მიერი სავაჭრო ოპერაციის განხორციელება თუნდაც რუსი ბიზნესმენების მიერ, ამიტომ დესტაბილიზაციის აუცილებლობას მე ვერ ვხედავ, მაგრამ მინდა დავადასტურო ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ადრეც ვაცხადებდით, თბილისის შემოგარენში მართლაც არიან უცხო ქვეყნის შეიარაღებული რაზმები. ეს ხალხი ხელისუფლებას იმისათვის სჭირდება, რომ როგორც კი დარწმუნდება, არჩევნების გაყალბებას ვერ ახერხებს, დესტაბილიზაციას გამოიწვევს. დესტაბილიზაციისათვის ადგილები მრავალია და მათ შორის ყველაზე მისაღები აჭარის საკითხით მანიპულირება გახლავთ.

**— ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ბრალს გდებთ, რომ ხელისუფლებას და ბათუმურ ბლოკს შორის არსებობს რეალური ფარული მოლაპარაკება და მაგალითისათვის ნავსადგურის საქმის ჩაფარცხვას იშველიებს...**

— საიდან იგონებს ეს ხალხი ამდენ ჭორებს ამ ალიანსის შესახებ? ალიანსი მოქალაქეთა კავშირთან თვითონ აქვს ედპ-ს. გაიხსენეთ 7%-იანი ბარიერის საკითხი როგორ აქტიურად დააყენა ედპ-მ და როგორ აქტიურად დაუჭირეს მხარი „მოქალაქეებმა". რაც შეეხება ნავსადგურის საქმეს, არავითარ ჩაფარცხვას ადგილი არ ჰქონია, გამოძიება დღესაც მიმდინარეობს, ბევრი საეჭვო -დეტალი ზუსტდება და ნურც ის დაავიწყდება ვინმეს რომ ბათუმის ნავსადგურის საკითხი წინა პლანზე სწორედ აჭარის მხარემ წამოსწია.

**— ბატონო ჯემალ, თავის დროზე აჭარის მხარემ ბრალდება წამოაყენა, რომ გაყიდული გემების შესახებ არსებულ დოკუმენტაციაში ფიგურირებს პრეზიდენტის, ვაჟა ლორთქიფანიძის და ოთარ ფაცაციას სახელები. აქედან გამომდინარე, რამდენად მიზანშეწონილად გეჩვენებათ, საზღვაო სანაოსნოში შექმნილი მდგომარეობის შესწავლაზე გენერალურ პროკურატურასთან ერთად სამთავრობო კომისიაც რომ იმუშავებს სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით?**

— ჯერ გენერალურ პროკურატურაზე ვისაუბროთ. გენერალური პროკურატურა აბსოლუტურად პოლიტიზირებულია. ესეც რომ არ იყოს, უნდობლობის გამოცხადებისათვის ჩვენის მხრიდან აბსოლუტურად საკმარისია რაც განაცხადა ხაჩიშვილმა. გენერალური პროკურორი ესწრებოდა იმ საუბარს რომელზეც ხაჩიშვილს აძლევდნენ დავალებას ასლან აბაშიძის ფიზიკური განადგურების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მას გააჩნია რეალური საბუთები. როცა ხაჩიშვილმა მოითხოვა შეხვედრა ჩვენს რომელიმე წარმომადგენელთან, უარი უთხრეს, ეს დღემდე არ განხორციელდა. ყოველდღე მიძლიერდება ეჭვი, რაც უნდობლობის საფუძვლის ქმნის გენერალური პროკურორისადმი, რომ იგი არის ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში განხორციელებულ-დაგეგმილი ტერაქტებისა. ვიდრე არ შეგვახვედრებენ ხაჩიშვილს, მანამდე ეს აზრი ყოველთვის იარსებებს...

**— ნავსადგურის თემას დავუბრუნდეთ...**

— რაც შეეხება ნავსადგურს და სახელმწიფო მინისტრს, ვაჟა ლორთქიფანიძეს, იქნებ, კიდევაც სურდეს სიმართლის დადგენა. მაგრამ თუ მათი ხელწერის გაბათილებას შეეცდებიან, ამის უკან უზარმაზარი ძალა დგას და ამას უბრალოდ ვერ შეძლებენ. მათ ამის პოლიტიკური ნება არ გააჩნიათ. და, რა თქმა უნდა, არც სურვილი ექნებათ, რომ საკუთარი თავი დაისაჯონ. ასეთი რამ წარმოუდგენელია, მით უფრო საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან, როცა სკამის გულისთვის მთელს საქართველოს ლამისაა ომი გამოუცხადონ, ოღონდ როგორმე სკამი შეინარჩუნონ.

**— აჭარაში უზანაძეში მომხდარი მკვლელობის გახმაურება რას უკავშირდება, სწორედ არჩევნების წინ რომ გამოჟონა?**

— აქ გამოსაყონი არაფერია. ამის შესახებ ყველაფერი კარგადაა ცნობილი. ეს იყო ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც წინასწარ დაიგეგმა, რათა განადგურებულიყო ასლან აბაშიძე. თუკი აბაშიძემ დაახალა ამ კაცს პისტოლეტი, თვითონ საიდანღა დაიჭრა, შეიძლება კაცმა ხალხის თანდასწრებით საკუთარი თავიც დაიჭრას?

**— ბატონო ჯემალ, თქვენთან დაპირისპირებული ნათესავები მოწყობილები ბრალად გდებენ, რომ მათი შვილის მკვლელს ხელს აფარებთ და პარლამენტის წინ საპროტესტო აქციას მართავდნენ, რამ აიძულათ შეეწყვიტათ აქცია?**

— უკეთესი იქნებოდა გეკითხათ, რამ აიძულა ისინი აქ მოსულიყვნენ და მოეწყოთ ეს აქცია. ეს ჩემთვის ტკივილიანი თემა გახლავთ. ბავშვი მართლაც დაიღუპა, მაგრამ ავარიაში და არა ისე და ისეთ გარემოებებში, . როგორც ისინი ყვებიან. მოწმეები ამისა არსებობენ. მე არანაირი მოწვევა გენერალური პროკურატურიდან არ მიმიღია. ნებისმიერ დროს მზად ვარ, ჩვენება მივცე. პირიქით, მე შეურაცხყოფილი ვარ. დეპუტატი რომ არ ვიყო, უფრო რადიკალურ ნაბიჯებს გადავდგამდი. უბრალოდ შეუძლებელია ამ ხნის მანძილზე ამდენი შეურაცხყოფის ატანა. ეს სერიალები დაგეგმილია ჟვანიას, სურმანიძის და შარაძის მიერ. სპეციალურად აყვირებენ ამ გასაცოდავებულ ხალხს, მათი უბედურებებით იხანგრძლივებენ სიამოვნებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, და სულაც არ არიან დაინტერესებული რომ სიმართლე დადგინდეს.

საქმე რაშია? ეს ხალხი აცხადებს, რომ შვილი მოუკლეს. მაშინ ნება უნდა დართონ, რომ ჩატარდეს გვამის ექსგუმაცია. მათ კი უარი განაცხადეს ექსპერტიზის ჩატარებაზე. მათ სიმართლე არ აინტერესებთ, უბრალოდ სურთ, როგორმე პოლიტიკურ ასპექტში გადაიტანონ ეს ყოველივე. ამ ხალხს იყენებს, როგორც გითხარით, ჟვანია, შარაძე და სურმანიძე. ნახეთ საშვთა ბიუროში, ვისთან აფორმებენ ისინი საშვებს, როლები როგორ აქვთ განაწილებული?

**— ბატონო ჯემალ, ისევ არჩევნების თემას დავუბრუნდეთ და ალიანსის სიმაგრესიმყარეზე ვისაუბროთ. ბათუმური კოალიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის — ტრადიციონალისტთა კავშირის თანდათანობითი რღვევა ახლადშექმნილ ბლოკს არ დააზარალებს? მოგეხსენებათ გახშირდა „ტრადიციონალისტების" მიერ პარტიის რიგების ხმაურით დატოვების შემთხვევები. თუ გავრცელებულ ხმებს ვენდობით, ქუთაისში ტრადიციონალისტებმა, რომ იტყვიან, საკმაოდ მოიკოჭლეს.**

— ვერ დაგეთანხმებით, ეს ბატონი შაშიაშვილის სურვილი გახლავთ უბრალოდ და, ალბათ, მისი განცხადებაც. არანაირი საფრთხე ალიანსს არ ემუქრება, უკვე გითხარით, რომ კავშირი საკმაოდ მყარია და არჩევნებში სერიოზულ წარმატებულ შედეგებს უნდა ველოდოთ.

**მანანა ლოგუაშიძე**

# პრობლემა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მოქმედება შეწყვიტა ბევრმა საბჭოთა სამსახურმა. მათ შორის შემნახველ-გამსესხებელმა სალარო-ბანკებმა, სადაც საქართველოს მოქალაქეებს შეტანილი ჰქონდათ თავიანთი დანაზოგები.

საქართველოში თითქმის არ არსებობს ოჯახი, სადაც ერთიორი საბჭოთადროინდელი მეანაბრე არ იყოს. მათი რიცხვი 2 მილიონს აჭარბებს. ძირითადად ეს არის საშუალო ფენა. მათ შორის, მარტოხელა უმწეო ადამიანები, რომლებმაც თავიანთი (ჭირის დღისათვის) ნაგროვები თანხები შეიტანეს სახელმწიფო სალაროებში. მშრომელები, რომლებმაც წლების მანძილზე ტონობით მოწეულ ჭირნახულს: ყურძენი, ხილი, თამბაქო, ჩაი, ციტრუსი — აბარებდნენ სახელმწიფოს, თანხები კი გროვდებოდა სალაროებში; ბევრს დაზღვეული ჰყავდა შვილი, შვილიშვილი, საკუთარი თავი; არიან ადამიანები, რომელთაც ბინათმშენებლობისათვის სოლიდური თანხები შეიტანეს სახელმწიფო ორგანიზაციებში, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შემონახული აქვს 30%-იანი გაუფასურებული ობლიგაციები. ვაუჩერებით კი მოტყუებულია მილიონობით ადამიანი;

არიან ისეთებიც, რომლებმაც შექმნეს საქველმოქმედო ფონდები და მიღებულ მოგებას უნაწილებდნენ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მარტოხელა ადამიანებს. ერთ-ერთი მათგანია ბიზნესმენი ვალერი დათუაშვილი, რომელმაც 90-იან წლებში გურჯაანში სახ. ბანკთან შექმნა ფონდი, ჩარიცხა შიგ 90 მილიონი რუსული რუბლი და კახეთის 240 სოფლის მარტოხელა ადამიანს გაუწია (თვეში დაუნიშნა 1000 რუბლი) დიდი დახმარება. ბანკთან დადებული ხელშეკრულებით აღნიშნული ფონდი არ ექვემდებარებოდა გაკოტრებას და ინფლაციას. სახელმწიფო ვალდებული იყო აღედგინა ფონდი და ჩაერიცხა მასში ერთი მილიონი ამერიკული დოლარი. მართალია, ვ. დათუაშვილს მთავრობამ და პარლამენტმა უარი ვერ უთხრა, მაგრამ არც აღნიშნული თანხა ჩაურიცხა და ფონდიც არ იქნა აღდგენილი.

ემზარ გრიგოლია, რომელმაც სახალინზე და ხაბაროვსკში (იყო ტრესტის მმართველი), 40-60 გრადუსიან ყინვებში მუშაობის შედეგად დააგროვა 450 ათასი რუბლი — 560 ათასი აშშ დოლარი და

## სრულიად საქართველოს მეანაბრეები

შეიტანა „გაერთიანებულ ქართულ ბანკში". ამ საქმესთან დაკავშირებით ე. გრიგოლიამ რამდენიმე სასამართლო პროცესი მოიგო, რომლის ძალითაც მისთვის აღნიშნული თანხა უნდა დაებრუნებინათ. ამასთან, გამოვიდა პრეზიდენტის 1997 წლის 8.XII № 716 ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს თანხის ინდექსაციას. ე.ი. ერთი მანეთის შემსყიდველუნარიანობის შენარჩუნება ინფლაციურ პერიოდში. ე. გრიგოლიას კი უთხრეს: „ყველა მეანაბრემ თავისი თანხა მთლიანად რომ მიიღოს, ხომ დაცარიელდა საქართველოს ხაზინა"! აი, ასეთ პატივს სცემს საქართველოს მთავრობა, პარლამენტი და პრეზიდენტი კანონის უზენაესობას.

90-იან წლებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და სამოქალაქო ომის პერიოდში საქართველოში შეიქმნა ე.წ. „ბანკები", რომელთა მესვეურებმა კარგად ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით, ხელისუფლების მფარველობით და ხალხი გაძარცვეს. ზოგიერთი პარლამენტარი კი დაფინანსებასაც იღებდა მათგან.

ამავე პერიოდში ცოლ-ქმარ თეიმურაზ და ნანა ლომთაძეების დისშვილმა კონსტანტინე ტრაპაიძემ, რომელსაც 5 წლის მანძილზე აშშ ქართული ბიზნესის ალორძინების საერთაშორისო საზღვრების წარმომადგენლის თანამდებობა ეჭირა, ქუთაისში დააარსა „ოქროს საწმისი", „გოლდენ ??". თავდაპირველად გახსნეს სასურსათო მაღაზიები ქუთაისსა და თბილისში. „დავითი და კონსტანტინე", სადაც მოქალაქეებს შეჰქონდათ თანხები ამერიკულ დოლარებში. სამაგიეროდ, ყოველი თვის ბოლოს იღებდნენ



შეტანილი თანხის ჯერ 10%-ს, შემდეგ 7%-ს სასურსათო პროდუქტებს და საოჯახო საქონელს. ამასთან, ძირითადი თანხა მეანაბრეს ენახებოდა და ნებისმიერ დროს შეეძლო გაეტანა.

„ოქროს საწმისის" ქველმოქმედებამ უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ბევრმა ქუთაისელმა, მათ შორის ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ თავი გადაირჩინა.

1994 წელს დამფუძნებლებმა დაიწყეს მოსახლეობისაგან თანხების მიღება დოლარებში. ჯერ 10%, შემდეგ 7% სარგებლის გადახდით.

როგორც ირკვევა, ამ დროისათვის დამფუძნებლები სოლიდურ კაპიტალს ფლობენ, დასავლეთ საქართველოს რაიონებში და ქუთაისში შეიძინეს და აღადგინეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი. მათ შორის საწარმოები. იწყება მათი ამუშავება და გაფართოება. ზოგიერთი მათგანი მოგვიანებით ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა „მიითვისა".

1995 წელს აღნიშნული ფირმა გარდაიქმნა ვაშინგტონის საერთაშორისო კორპორაციის ფილიალად, შეიქმნა შ.პ.ს „ოქროს საწმისი". საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 5 მილიონ დოლარს, თითოეულის ა. ტრაპაიძე, თ. ლომთაძე, ნ. ლომთაძე 35%.

ბევრმა ქუთაისელმა მეანაბრემ ბინა გაყიდა და აღებული თანხა შეიტანა „ოქროს საწმისში" 1996 წლისათვის. ვ. ტრაპაიძის და ლომთაძეების ქონება კიდევ უფრო გაიზარდა, არა მარტო საქართველოში, არამედ აშშ-ში. ამერიკაში არსებული ქონება გადაღებულია ფირზე და ბევრმა ქუთაისელმა ნახა იგი.

დამფუძნებლებმა, სახელმწიფოსათვის რომ არ გადაეხადათ, მიმართეს თაღლითობას. მოსახლეობის მიერ შემოტანილი თანხები გააფორმეს, როგორც „შემოწირული". მეანაბრეებზე გასცეს ბარათები, სადაც აღნიშნულია „შემოწირული" თანხის ოდენობა და იქვე (ცალკე გრაფაში) გატანილი სარგებლის რაოდენობა. ბოლოს, მეანაბრის ხელმოწერა.

საგადასახადო სამსახურმა ადრევე გამოავლინა აღნიშნული დარღვევა და წარუდგინა იგი თ. შაშიაშვილს, რომელმაც დაფარა დანაშაული. თ. შაშიაშვილს ლომთაძეებისათვის ხელი რომ შეეშალა, ბევრი მეანაბრე გადაურჩებოდა გაუბედურებას.

კარიერის მაძიებელი, აღზევებული „აკადემიკოსი" და ბიზნესმენი თ. ლომთაძე თ. შაშიაშვილისათვის უკვე საშიში შეიქნა. ამიტომ მან ტელეეკრანიდან გამოაცხადა, რომ „ოქროს საწმისი" გაკოტრდა. ზღვა ხალხი ერთბაშად მიაწყდა სალაროებს.

„ოქროს საწმისის" „მოღვაწეობის" ფინალის შესახებ თბილისელმა მეანაბრეებმა გაცილებით გვიან შეიტყვეს. ლომთაძეები შეგნებულად დიდხანს არ ამხელდნენ მას, რის გამო ბევრ თბილისელს 1997 წლის დეკემბრის ბოლომდე შეჰქონდა თანხა „ოქროს საწმისში". ამიტომ მეანაბრეების გარკვეულ ნაწილს სარგებელი საერთოდ არ მიუღია. სწორედ მათ ინტერესებს იცავს პრეზიდენტის № 250 დადგენილება, რომლის ძალითაც მეანაბრეები, რომლებსაც სარგებელი არ მიუღიათ, სრულად მიიღებენ თავიანთ თანხას, ხოლო ვინც სარგებელს იღებდა, მათ დაექვითებათ მიღებული პროცენტი. ასე რომ, მეანაბრეთა გარკვეული ნაწილი ბევრს ვერაფერს მიიღებს.

1998 წლის თებერვალში საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნით მოსამართლე მამუკა ჭოხონელიძემ (ჩუღურეთის რაიონი) ყადაღა დაადო „ოქროს საწმისის" თბილისის ქონებას. მოგვიანებით ყადაღა დაედო „ოქროს საწმისის" ქუთაისის ქონებასაც.

ნანა ლომთაძე დათანხმდა გაგვეყიდა „ოქროს საწმისის" თბილისში არსებული ქონება და აღებული თანხა გაგვენაწილებინა თბილისელ მეანაბრეთა შორის. მაგრამ გენერალური მინდობილობა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელზე კი არ გასცა, არამედ ლაშა ლომთაძეზე, რომელიც ყასიდად აწარმოებდა მოლაპარაკებას ჩვენს მიერ მოძებნილ კლიენ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ისლამი კავკასიაში და საქართველო

## ქრისტიანობისა და ისლამის დაპირისპირების ისტორიული ფესვები

მეხუთე გვერდიდან

თის ინტერესებში შედის კავკასიაში მისი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის გაძლიერება. საქმე იქამდე მიდის, რომ აღნიშნული სკოლები გადააქციონ „აკადემიებად“, რათა ავტორიტეტი, პოპულარობა მოიპოვონ ადგილობრივ მოსახლეობაში და ამ გზით რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა მიიზიდონ სასწავლებლებში.

ამრიგად, ისლამური მოძრაობის თანამედროვე ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ ისლამისტური ფუნდამენტალიზმი მტკიცედ იკიდებს ფეხს კავკასიაში და ჩვენი პლანეტის სხვა რეგიონებში. ფუნდამენტალიზმს ისლამურ სახელმწიფოებში წინ ელობება განვითარების ცივილური ფორმები, მაგრამ მათი ძალისხმევა ვერ გამოირჩევა ორგანიზებულობით, ქრისტიანულ ქვეყნებში კი, რელიგიური ალმსარებლობის პლურალიზმის გამო, საერთოდ ყურადღება არ ექცევა ფუნდამენტალიზმთან ბრძოლის საკითხებს.

### ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესები და საქართველო

საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, როგორც უკვე აღინიშნა, მკვეთრად გააქტიურდა ისლამური მოძრაობა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ჩრდილო კავკასიაში, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების შეფერილობით ფაქტობრივად აშკარა მიზანმიმართული სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს ისლამის ფუნდამენტალისტური სახელმწიფოს წარმოქმნისათვის. დაღესტანის რამდენიმე სოფლის საფუძველზე ბოევიკებმა უკვე გამოაცხადეს ასეთი სახელმწიფო; ჩეჩნეთმა კარგა ხანია მოიპოვა ნახევრად დამოუკიდებლობა. მათ მაგალითს ბაძავენ ინგუშეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში.

**რა გავლენას იქონიებს კავკასიაში მიმდინარე პროცესები საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე მართებული იქნება მკითხველს გავახსენოთ ორი გარემოება:

1. საქართველოში სეპარატისტული მოძრაობის შედეგად დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. რამდენიმე წელია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება თავის უფლებამოსილებას ვერ ახორციელებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე, გამოდევნილია იქიდან ასი ათასობით ქართველი ეროვნების მოსახლეობა; ადგილებზე ტარდება ან ჩატარდა არჩევნები არსებული რეჟიმის განსამტკიცებლად და ეგრეთწოდებული ხელისუფლების ლეგიტიმურობის მიზნით.

2. საქართველოში ცხოვრობენ მუსულმანური ალმსარებლობის მიმდევრები. მათ შორის ჩეჩნები, ლეკები, აზერბაიჯანელები და ქართველებიც. ისინი ძირითადად კომპაქტურად ცხოვრობენ პანკისის ხეობაში, ყვარლის რაიონში, ქვემო ქართლის მხარეში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ზოგიერთი დასახლებული პუნქტი უშუალოდ ესაზღვრება ჩეჩნეთსა და დაღესტანს. ბუნებრივია, მოსახლეობას აქვს მიმოსვლა და კავშირურთიერთობა თანამოძმეებთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესებს არა ნაკლებ განიცდიან ჩვენი მუსულმანი თანამოქალაქენი. თუ გავითვალისწინებთ ისლამური მოძრაობის საბოლოო მიზნებს, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, ბოევიკთა რიგებში იმყოფებოდნენ საქართველოში მცხოვრები ცალკეული მუსულმანური ალმსარებლობის პირები.

ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ მუსულმანთა შორის არიან სუნიტებიც და შიიტებიც. სარწმუნო მონაცემებით, დმანისის რაიონის ზოგიერთ სოფელში აღნიშნული ისლამური მიმართულების მიმდევრები გვერდი-გვერდ ცხოვრობენ. ამასთან, არცთუ იშვიათად დავა-კამათი აქვთ იმ რელიგიური პრინციპების შესახებ, რომლებითაც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. არ გამოვრიცხავთ, რომ მსგავსი ვითარება იყოს მარნეულის, ბოლნისის და სხვა რაიონების აზერბაიჯანელთა შორისაც.

ჩვენი აზრით, აღნიშნული გარემოებანი, თუ ამას დავუმატებთ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირესაც, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ წარმატებულად დაინერგოს ისლამის რეაქციული იდეები, ფუნდამენტალისტური პოსტულატები და პრინციპები.

ისლამური მოძრაობის ვაჰაბისტურმა მიმართულებამ, რომელიც ჩრდილო კავკასიაში შეიარაღებული ბრძოლებით ცდილობს დამკვიდრებას, აშკარა საფრთხე შექმნა საქართველოსათვის. უკვე მომხდარი ფაქტები ცხადყოფს, რომ შესაძლოა მოვლენების განვითარებამ ხელი შეუწყოს დაძაბულობის ესკალაციას როგორც რუსეთთან საერთოდ, ისე ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან.

ამა წლის 9 აგვისტოს დაღესტანის მიმდებარე საქართველოს ტერიტორია — მთა-თუშეთი — დაბომბეს თვითმფრინავებმა. ერთ კვირაზე მეტი დრო დასჭირდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრივ ამ ფაქტის აღიარებას და მობოდიშებას — პილოტებმა დაუშვეს შეცდომაო. უნებლიე შეცდომა შეიძლება ერთმა პილოტმა ჩაიდინოს და არა ორმა, როგორც ადგილი ჰქონდა სოფელ ომალოსა და მისი მიდამოების დაბომბვის შემთხვევაში.

ფაქტების გაანალიზებას სხვა დასკვნებამდე მივყავართ. ჯერ ერთი, აგვისტოს პირველ რიცხვებში, როცა მთა-თუშეთში საქართველოს პრეზიდენტი იმყოფებოდა, თვითმხილველთა მტკიცებით მაშინაც გამოჩნდა საქართველოს საჰაერო სივრცეში თვითმფრინავი.

მეორე: ცნობილი იყო, რომ ფოთში შემოდიოდა აშშ-ის სადესანტო გემი, რომლის მიზანი იყო სწავლების ჩატარება ქართველ მედესანტეებთან ერთად (ეს სწავლება, მართლაც, ჩატარდა 14 აგვისტოს). 9 აგვისტოს მომხდარი ფაქტი ძალიან ჰგავს თავისებურ მუქარას რუსეთის მხრიდან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა სტეპაშინმა აშშ-ში ყოფნისას თამამად წაიტრაბახა: რუსეთი ავად კი არ არის, არამედ კვლავაც შეუძლია თანაბარუფლებიანი პარტნიორობაო. როგორც ამბობენ, სტეპაშინი თავის თამამ განცხადებას შეეწირა. დაგვიანებული მობოდიშებაც აღნიშნული მუქარის დაფარვის მცდელობაა.

მესამე: იქნებ ბომბდამშენის თვითმფრინავების პილოტები სულაც მოსყიდული პიროვნებებია იმ მიზნით, რომ საქართველო როგორმე ჩაითრიონ „კავკასიურ ომში“, რომელიც დღითი დღე საბრძოლო ხასიათით სულ უფრო ძლიერდება.



მეოთხე: ვაჰაბისტების დამარცხების შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ ისინი გამოდევნონ საქართველოს საზღვრებისაკენ და ბოლოს თავშესაფარი ჩვენს ქვეყანაში პოვონ, რა თქმა უნდა, ისლამური ალმსარებლობის თანამოძმეებთან.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი ფაქტიც. 1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე ტერორისტული აქტის მცდელობისას მონაწილეობდა ჩეჩნეთის მოქალაქე, რომელიც აქციის დროს დაიღუპა. გამომძიებლები არ დაინტერესებულან იმით, თუ ისლამური მოძრაობის რომელ მიმართულებას ეკუთვნოდა დაღუპული ჩეჩენი. ჩვენი ვარაუდით, რაკი ტერორისტული აქტისათვის წვრთნა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, იგი უთუოდ ფუნდამენტალისტი იყო. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ რეაქციულ-რადიკალისტი ისლამისტები აქტიურად მონაწილეობენ ტერორისტულ აქტებში. ვაჰაბისტებთან ბრძოლის ახლანდელ პროცესშიც ხომ რუსეთის ხელისუფალთა მხრივ ხშირად გაისმის: ისლამის რეაქციული მიმართულების მიმდევრები დამარცხების მერე ტერორისტულ აქტებზე გადავლენო.

ამრიგად, ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესები არც ერთ შემთხვევაში არ მოუტანს სიკეთეს საქართველოს: ან კიდევ უფრო გაამწვავებს ურთიერთობას რუსეთთან, ან ჩრდილო კავკასიაში მძლავრი ისლამური სახელმწიფოს წარმოქმნით სულაც ახალი პრობლემები გაჩნდება.

### რა საფრთხე ემუქრება საქართველოს?

ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რაც ბოლო დროს შეიარაღებულ ბრძოლებში გადაიზარდა ეგრეთწოდებულ მოჯაჰიდებსა და რუსეთის ხელისუფლების ძალებს შორის, ნათლად მეტყველებს, რომ ისლამური მოძრაობა ძალას იკრებს კავკასიაში ახალი ისლამური სახელმწიფოს წარმოსაქმნელად. ამ მოძრაობის ლიდერებმა დაღესტანში დაიკავეს რამდენიმე სოფელი, შექმნეს სახელმწიფოებრიობის პრეცენდენტი და მეზობელი ქვეყნების მთავრობებს მიმართეს კიდეც, არ ჩაერიონ პროცესებში. რა თქმა უნდა, არც რუსეთია გულხელდაკრეფილი. შეტევითი ბრძოლების ახალ-ახალ ეტაპებს გეგმავს და ადვილი წარმოსადგენი არ არის საბოლოო შედეგებიც.

რა საფრთხე ემუქრება საქართველოს? ამ კითხვის პასუხი ცალსახაა. რუსეთში შექმნილი ვითარება მდგომარეობას გაართულებს საქართველოშიც. ვთქვათ, რუსეთის ფედერაციამ დაიწყო დაშლა და ჩვენი ქვეყნის უშუალო მოსაზღვრედ წარმოიქმნა მუსულმანური სახელმწიფო. ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით იგი ისლამური ფუნდამენტალიზმისა იქნება. დემოკრატიული გზით განვითარებადი ქვეყნისათვის მასთან ურთიერთობა ალბათ იოლი არ უნდა იყოს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სულ უფრო გაძნელდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რანაირ განსხვავებასაც უნდა ვხედავდეთ აფხაზეთ-სამაჩაბლოსა და ჩრდილო კავკასიის რომელიმე ავტონომიას შორის, პოლიტიკური თვალსაზრისით მსგავსება მეტ-ნაკლებად უთუოდ მოიძებნება და საქართველოში არსებულ სეპარატისტულ რეჟიმებს ხელს შეუწყობს დამკვიდრებაში.

2. ისლამისტურ სახელმწიფოს თავისი გავლენისათვის ჩვენს ქვეყანაში ადვილად შეუძლია მოძებნოს დასაყრდენი. ერთი მხრივ იმით, რომ აქ ცხოვრობენ ისლამური ალმსარებლობის ხალხები — აზერბაიჯანელები, ჩეჩნები, ლეკები, მუსულმანი აფხაზები და სხვ. და, მეორეს მხრივ, საქართველოში უკვე ფუნქციონირებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც ფაქტობრივად თურქული უნივერსიტეტია. თანაც იგი თურქეთში არსებულ ისლამური სექტის „ნურჯულუქის“ მიერ საზღვარგარეთ გახსნილ ხუთ უნივერსიტეტთა რიგებს მიეკუთვნება.

საქართველოში მოქმედებს კიდევ სამი თურქული სკოლა: დემირელის სახელობის კოლეჯი, დაწყებითი სკოლა და შიჰრანის სახელობის ლიცეუმი. აღარაფერს ვამბობთ იმ ასობით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესახებ, რომლებშიც ოფიციალურად თუ არაოფიციალურად მიმდინარეობს ისლამის მოძღვრების სწავლება. რა მიმართულებისაა იგი? გამორიცხული არ არის, რომ „ნურჯულუქის“ საგანმანათლებლო სისტემის ელემენტები მაინც იყოს გამოყენებული. ეს სისტემა კი თავისი შინაარსით და მიმართულებით ფუნდამენტალისტური სულისკვეთებისაა.

ისლამისტური სახელმწიფო ქრისტიანობისადმი ისტორიული დაპირისპირების გამო უთუოდ შეეცდება თავისი გავლენის გაძლიერებას რელიგიური თვალსაზრისითაც. მით უფრო იმ პირობებში, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას თავისი შინაგანი პრობლემები გააჩნია: სხვადასხვა სექტების მომრავლება და მათი აშკარა გავლენის ზრდა მრევლზე, თვით ეკლესიაში დაპირისპირება მსოფლიო ეკლესიისადმი დამოკიდებულების საკითხში და სხვ.

3. დესტაბილიზაცია რუსეთში გავლენას მოახდენს ჩვენს ქვეყანაზეც. გავიხსენოთ ფინანსური კრიზისის გავლენის შედეგები, რამაც გამოიწვია პენსიების, სოციალური დახმარებებისა და ხელფასების არა მარტო დაგვიანებით გაცემა, არამედ საქართველოს ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დავალიანებებიც, რაც მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას.

4. საქართველო არც იმ შემთხვევაში აღმოჩნდება უკეთეს მდგომარეობაში, თუ რუსეთი ცეცხლითა და მახვილით დაძლევს თავის შინაგან პრობლემას. რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ შევიწროებული მოჯახიდები შეეცდებიან უკან დახევით შემოაღწიონ საქართველოში, პანკისის ხეობაში, ყვარლის რაიონის ლეკებით დასახლებულ სოფლებში. აქ მათ ალბათ გამოუჩნდებიან თანამგრძნობნი და მფარველები თანამოძმეთა სახით. კიდევ უარესი რამ არის მოსალოდნელი თუ ბოევიკები საქართველოს იმ რეგიონებში შეაღწევენ, სადაც ჯერჯერობით სეპარატისტული რეჟიმები არსებობს.

5, ჩვენს ქვეყანას, ცხადია, არც იმ მხრივ აკლია სირთულეები, რომ რუსეთისა და დასავლეთის ინტერესები ერთმანეთს ეჯახება სამხრეთ კავკასიაში, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე ყელში ამოუვიდა ხელისუფლებასაც და მოსახლეობასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საქართველოს ორმხრივი საფრთხე ემუქრება: უნებურად არ აღმოჩნდეს ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესებში ჩათრეული. ღმერთმა ნუ ქნას და ასე რომ მოხდეს, ძალზე ძნელია იმ შედეგების გათვალისწინება, რაც სასიკეთოდ არ წაადგება წინასაარჩევნო ციებ-ცხელებით გაბრუებულ საქართველოს. ამიტომ ყოველმხრივ მოზომილი გონივრული ნაბიჯების გადადგმა მართებს ხელისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოებრიობის ინტერესების დასაცავად და შემდგომ განსამტკიცებლად.

**ვახტანგ ძრისტესიაშვილი**

# საბაჟოდან ფინანსთა სამინისტრომდე

აქციზური მარკების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე გაზეთ „საქართველოში“ (ისევე, როგორც სხვა გაზეთებში) გამოქვეყნებული წერილების თაროზე შემოდებამ იმ ორგანოების მიერ, რომელთაც სათანადო რეაგირება ევალებოდათ, ვითარებათა გამო, კიდევ ერთხელ გადამაწყვეტინა ამ საკითხზე მორიგი პუბლიკაციის მომზადება — ვინძლო, პროფესიულმა სინდისმა ამჯერად მაინც შეაწუხოთ და „სათაროედ“ აღარ გაიმეტონ იგი.

„ვითარებაში“, რომელზეც მოგახსენეთ, ჟურნალისტ მევლუდ ბანცაძის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (1999წ. 2 სექტემბერი, №234) გამოქვეყნებულ წერილს (სათაურით — „ეგებ, ამჯერად საბაჟოსთვისაც მოეკითხათ“) ვგულისხმობ, რომელმაც არა მარტო საბაჟოს ზოგიერთ მუშაკთა საეჭვო უპრინციპობა აჩვენა, არამედ — საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 27 მაისის №130 ბრძანებაში საყრდენად გამოყენებული „ფაქტის“ სიყალბეც.

კერძოდ, სიგარეტის იმპორტიორი ფირმა „სთრაიქის“ დირექტორმა თალალ აზიზ მუჰამედმა ა. წ. 10 მაისს აქციზური მარკების სამსახურს მიმართა წერილით, რომელშიც იმით ხსნიდა სხვა ფირმის („ტაო+“-ის) მიერ „სთრაიქის“ კუთვნილი აქციზური მარკებით, საბერძნეთიდან მარკირებული სიგარეტის შემოტანას, რომ „ჩვენი მარკები ერთმანეთში აერიათ იქაურ მწარმოებლებსო.“

ფინანსთა სამინისტროში გადამოწმების გარეშე დაუჯერეს ბ-ნ თალალ აზიზის ამ განცხადებას და ზემოთ ხსენებულ ბრძანებაში ჩაწერეს: „თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორი ფირმების „ტაო+“-სა და „სთრაიქის“ მიერ მოხდა მათი კუთვნილი აქციზური მარკების არევა“. ამ ფორმულირებით ჩათვალეს, რომ „სთრაიქს“ არ დაურღვევია „საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ“ დებულების მე-5 პუნქტი: „დაუშვებელია აქციზური მარკების მესამე პირზე გადაცემა“.

ახალა ვნახოთ, რისი მოძიება და საზოგადოებისათვის გაცნობა შეძლო ჟურნალისტმა მევლუდ ბანცაძემ.

ფირმა „ტაო+“-ს თავისი კუთვნილი აქციზური მარკები საბერძნეთში 10 აპრილს გაუგზავნია პირველად და საბაჟოზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაც (№1872) შეუვსია მისი გატარებისას, „სთრაიქის“ კუთვნილი აქციზური მარკებით მარკირებული სიგარეტების პარტია კი 9 აპრილს უკვე მიული იქედან. ამჯერად, თავი დავანებოთ იმ საკითხის გარკვევას, თუ როგორ მოახერხა ფირმა „ტაო+“-მა სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია (№4534) შეევსო და სხვისი მარკები „თავისად“ გაესაღებინა საბაჟოს მუშაკებთან, ან შეამჩნიეს თუ ვერა მათ კანონის დარღვევის ეს ფაქტი.

მთავარია პასუხი გაეცეს კითხვას: როგორ უნდა არეულიყო ერთმანეთში „სთრაიქის“ და „ტაო+“-ის აქციზური მარკები, როცა ამ უკანასკნელს 10 აპრილამდე ისინი ჩატანილიც არ ჰქონდა საბერძნეთში? ამის შემდეგ ხომ აშკარაზე აშკარად ჩანს, რომ ფირმა „სთრაიქის“ დირექტორმა თალალ აზიზ მუჰამედმა შეგნებულად იცრუა ოფიციალურ ორგანოებში 10 მაისს შეტანილ განცხადებაში, ხოლო ფინანსთა სამინისტრომაც შეგნებულად დაუკრა კვერი ამ სიყალბეს?

რასაკვირველია, ჩანს, მაგრამ მათზე, ალბათ, ისევე მოხდება კანონიერი რეაგირება, როგორც გაზეთ „საქართველოში“ ა. წ. 27 ივლისი-2 აგვისტოს ნომერში მოყვანილ ფაქტზე: საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 მაისის №355 ბრძანებულების დარღვევით ფირმა „სთრაიქმა“ ორჯერ შეიტანა უაქციზო სიგარეტი აფხაზეთის ტერიტორიაზე და არძინბას სეპარატისტული რეჟიმის მეშვეობით რეალიზაციაში გაუშვაო.

როგორც ჩანს, ტყუილად არ წერდა საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე გაზეთ „საქართველოში“ (1999წ. 3-9 აგვისტო, №29):

„ის, რომ საქართველოს ეკონომიკას სახელმწიფო სტრუქტურებთან შეზრდილი მაფიები ღრღნიან, სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან ეჭვს არ იწვევს ... ყოველი დოკუმენტი, ცნობა, მინიშნება თუ სხვა სახის ინფორმაცია გამოქვეყნებულ უნდა იქნას, ვინაიდან მუდამ არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ ამ მონაცემის არმონაწილეობა შესაბამისი სფეროს მაკონტროლებელ ინსტანციათა საქმიანობის პროცესში ისევ და ისევ მაფიების ზემოქმედების შედეგია“.

დარწმუნებული ვარ, რომ ბატონ ნოდარ ნათაძის ამ სიტყვებს „არასამართლიანად“ მიიჩნევდნენ ადრესატები, თუმცა, მის გასაბათილებლად ნაბიჯიც არ გადაუდგამთ — დოკუმენტიც გამოქვეყნდა, ცნობაც და მინიშნებაც, მაგრამ „მაკონტროლებელ ინსტანციათა საქმიანობის პროცესში“ მათი მონაწილეობის ნიშან-წყალიც არ ჩანს.

ამის მიზეზად კი სხვა რა უნდა იგულისხმოს მკითხველმა, თუ არა ის, რაც საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ზემოთ მოყვანილი ციტატის დასასრულსაა ნახსენები? მითუმეტეს, რომ საქმით არავინ ცდილობს საპირისპირო აზრის შექმნას.

**თამაზ ძველაძე**

# ავსხნათ ტაბუ ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა ვინაობას

*მესამე გვერდიდან*

ქართველი ხალხის მოქცევაში მარქსისტულ-კოსმოპოლიტურ მრწამსზე. ისინი ჯერ ამ ძალის სახელის გატეხვას შეეცადნენ საგურამოელ გლეხებთან ილიას დამოკიდებულების ირგვლივ ცრუ ბრალდებების შეთითხვნით. ცილისწამებლის არენად იქცა ფილიპე მახარაძის სრულ გავლენაში მოქცეული ჟურნალი „მოგზაური". ისინი როგორც „დიდ ბოროტებას", განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ილიას „მემამულეობას", რაც ფაქტიურად ცოლის მზითევს წარმოადგენდა და რომლის შემოსავალსაც იგივე ეროვნულ საქმეს ახმარდა — დიახ, ილია ამ მამულიდან მიღებული შემოსავლით უმასპინძლდებოდა ქართველი ერის კეთილ სტუმრებს — არტურ ლაისტს, მარჯორი უორდროპს და მრავალ მიმსვლელ-მომსვლელთ. გარდა ამისა, შენ ქართველი კაცის ავი ბუნება მითხარი — მეტოქისადმი ქიშპი და ცილისწამება, თორემ ილიას მამული ხომ ერთ პატარა ბალჩადაც-კი არ გამოჩნდებოდა ლევ ტოლსტოის მამულთან შედარებით, სადაც ნახევარი საქართველო ჩაეტეოდა. მერედა გაგიგონიათ რომელიმე რუსისაგან აუგი ტოლსტოიზე „მემამულეობის" ბრალდებით? არა, რა თქმა უნდა! ჩვენ, ქართველები ვართ მხოლოდ ასეთი ბედოვლათები, დღესაც რომ იმეორებენ უწიგნური ბრიყვები ფილიპესნაირი ნაძირალების ჩაძახილს — „ილია წყალს არ აძლევდა საგურამოელ გლეხებსო!"

და აი, როცა ქართველმა მარქსისტებმა ამ ცილისმწამებლობითაც ვერაფერი დააკლეს ილიას დიდ ავტორიტეტს, მისი გზიდან ჩამოცილებისათვის მიმართეს ანგარიშსწორების უკიდურეს მეთოდს — ტერორს. და ეს მარტო მეფის დროის გამოძიებით როდი დადასტურდა! იგი დადასტურდა მაშინაც, როცა ხელისუფლებაში „მესამე დასელთა" მოსვლის დღიდან ილია ჭავჭავაძე არნახული დევნის საგნად იქცა. აი, რას ამბობდნენ მაშინ ამ ფაქტთან დაკავშირებით: „ილია ჭავჭავაძე მესამე დასელებმა ორჯერ მოკლეს: ერთხელ ფიზიკურად — 1907 წელს, მეორედ კი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა დიდი მწერლის ნაწერები აკრძალული წიგნების სიაში შეიტანეს და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებიდან ამოიღესო".

მეფის სასამართლომ ილიას მკვლელობის ექვს მონაწილეთაგან ოთხ მათგანს, ვისი დაჭერაც შეძლო, ჩამოხრჩობა მიუსაჯა. სასჯელს გადაურჩნენ გიგლა ბერბიჭაშვილი და სერგო ორჯონიკიძე — მათ ირანს შეაფარეს თავი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ორივენი აღზევდნენ თავიანთი ცოდნის შესაბამისად. სერგო ორჯონიკიძის კარიერისტული ბიოგრაფია ყველასათვის ცნობილია. გიგლა ბერბიჭაშვილი კი ბოლოს ვაგზლის ქუჩაზე მდებარე სამტრესტის ღვინის სარდაფის გამგედ მუშაობდა ფილიპე მახარაძის უშუალო წარდგინებით და სახელმწიფო პენსიასაც ღებულობდა ილიას მოკვლისათვის კვლავაც ფილ-



იპეს დახმარებით.

ილიას მკვლელობის დღეებში დიდი კამათი და შეხლა-შემოხლა იყო თურმე მთელს საქართველოში, ყველგან ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე იყო ლაპარაკი და ყველა იმას გაიძახოდა — ილია მარქსისტებმა მოკლესო. თვით ილიას მტერ-მოყვარე პეტრე გელეიშვილი იგონებს: „იმ დღეებში ეტლით მივდიოდი გოლოვინის პროსპექტზე. უცებ მეეტლე შემეკითხა: „შენ მარქსისტი ხომ არა ხარ? არა, ბატონო, მარქსისტი არა ვარ. ჰო, მაშ კაი კაცი ყოფილხარ! რატომ მეუბნები ამას? — ვეკითხები მე. რატომ და ამბობენ — ილია მარქსისტებმა მოკლესო, გვარებსაც ასახელებენ. ვის გვარებს ასახელებენ? — ვეკითხები და მეეტლეც მპასუხობს — ვიღაც მახარაძეს, ორჯონიკიძეს, ბერბიჭაშვილს, ჯუღაშვილს და კიდევ სხვებსო." მაშასადამე, სტალინის სახელი, როგორც ილიას მკვლელობის ერთ-ერთი თანამზრახველისა, მაშინვე ფიგურირებდა ხალხში. და აი, ილიას მკვლელობიდან კარგა ხნის გავლის შემდეგ, სტალინი ავალებს საქართველოს ცეკას პირველ მდივანს, ლავრენტი ბერიას, რომ სასწრაფოდ დაწერონ წიგნი ილიას მკვლელობის შესახებ და გაასამართლონ კიდეც დამნაშავე პირები. ბერია კი თავისთან იძახებს კოტე გორდელაძეს და ალ. სიგუას, ამცნობს მათ სტალინის დავალებას და თან დასძენს — წიგნს დაწერს კოტე გორდელაძე, ხოლო ალ. სიგუა დაეხმარება მას საჭირო მასალების მიწვდითო. ამავე დროს საქმის კურსში შეჰყავს ისინი ასეთი განცხადებით — „მე მიკვირს, ძალიან მიკვირს, რად უნდა სტალინს ილიას მკვლელების აღმოჩენა და გასამართლება, როდესაც მთავარი მკვლელი ერთი ჩემთან პრეზიდენტის სავარძელში ზის — ფილიპე მახარაძე და მეორე კი მას გვერდით უზის — სერგო ორჯონიკიძეო."

კოტე გორდელაძემ შეასრულა ეს დავალება, ოღონდ ისე წარმოადგინა საქმე, თითქოს ილიას მკვლელები ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე კი არ ყოფილან თურმე, არამედ მეფის ოხრანკის აგენტები, რის გამოც ბერიამ ტექსტი დაუწუნა და მისი აქ ყოფნის პერიოდში გორდელაძის წიგნი არ გამოცემულა. სასამართლო პროცესი კი, როგორც მკითხველისათვის ცნობილია, გაიმართა 1941 წელს. იმის გამო, რომ ამ პროცესზე გიგლა ბერბიჭაშვილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაოსნად ფილიპე მახარაძეს ასახელებდა, ცეკამ გამოყო ერთი კაცი და ადვოკატ ხონელიძისა და პროკურორის შემადგენლობით ეახლნენ სახლში ფილიპე მახარაძეს საქმის გასარკვევად. ფილიპე ავად იყო იმ დროს და ლოგინში იწვა. როდესაც მოახსენეს თუ რას ამბობდა გიგლა ბერბიჭაშვილი სასამართლო პროცესზე და ვის ასახელებდა მკვლელობის ორგანიზატორად, ამაზე ფილიპე მახარაძეს განუცხადებია „ჩვენ, მესამე დასელებმა, კომუნისტებმა, დავადგინეთ ილია ჭავჭავაძის მოკვლა, ვინაიდან ილია იყო ერთადერთი დიდი პიროვნება, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებას. როდესაც ჩვენ ილია ჭავჭავაძის მოკვლა დავადგინეთ, ფრაქციის ყველა წევრმა იცოდა და დადგენილებაზეც ხელი ჰქონდათ მოწერილი. ეს იცოდა თვით სტალინმაც, რომელიც მაშინ არაფერს არ წარმოადგენდა. მან დადგენილებას ხელი მოაწერა და ბაქოში წავიდა. ახლა კი, როდესაც ევროპაში ქართველმა ემიგრანტებმა წერილები დაწერეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ, სტალინს უნდა ამ საქმიდან სუფთად გამოვიდესო."

სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს ფილიპე მახარაძის თანაბრალდება სტალინის მიმართ და ის მიზანიც, რაც ამ შემთხვევაში სტალინს ამოძრავებდა. ამის ნათელსაყოფად დაგისახელებთ მეორე ფაქტსაც, სტალინმა რომ გაითამაშა: როცა ოქტომბრის კონტრრევოლუციური გადატრიალების შემდეგ ევროპაში გახიზნულმა რუსის ინტელიგენციამ, ლენინის სიკვდილისა და სტალინის გაბელადების შემდეგ განგაში ატეხა ემიგრანტულ პრესაში, რომ ასმილიონიან რუსეთს კავკასიელი ველური დააჯდა თავზეო, სტალინმა ამ ბრალდების განეიტრალების მიზნით მწერალთა I საკავშირო ყრილობაზე მალაქია ტოროშელიძეს დაავალა, რომ ვრცელი მოხსენებით წარმოეჩინა ოცსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის ჩათვლით. ეს დავალება შესრულდა. მაგრამ სტალინს, როგორც სჩანს, დიდხანს აწვალებდა ფიქრი იმის შესახებ, რომ ილიას ვერაგული მკვლელობა, რომელიც მესამე-



დასელი კომუნისტების თაოსნობით განხორციელდა, მარად გასაიდუმლოებული ვერ დარჩებოდა და მკვლელობის თანამდგომთა შორის ადრე თუ გვიან მისი სახელიც წარმოჩინდებოდა. სწორედ ამ თვალსაზრისით, და არა ილიას თაყვანისმცემლობით, როგორც ამის შთაგონებას ცდილობს მწერალი ელ. მაღრაძე, სერგო ქავთარაძის მოგონებებს რომ გადმოგვცემს — სტალინმა კრემლში თავის ბინაზე მიიწვია —„ძველი მეგობრები": პეტრე კაპანაძე, სერგო ქავთარაძე, ვასო ეგნატაშვილი და გიორგი ელისაბედაშვილი. მოპატიჟებულ სტუმრებს მან სადილი გაუმართა, რომლის დროსაც, სრულიად მოულოდნელად დაუსვა მათ კითხვა: „თქვენი აზრით, ვინ უფრო დიდი პიროვნებაა — ილია თუ მეო?" ვინ შებედავდა ილიაო, შენო — უთხრეს. „ეჰ, მე თქვენ მაინც უფრო პირამთქმელნი და გონიერად განმსჯელნი მეგულებოდით, — ილია ჭავჭავაძეს სამწერლო-სამოქმედო ასპარეზი ჰქონდა პატარა, მისმა გონებრივმა შემართებამ საქართველოს ვიწრო ჩარჩოებში ფრთები სათანადოდ ვერ გაშალა, იგი არწივად იყო დაბადებული და საქართველოს ვიწრო შემოგარენში სული მოეხუთა, თორემ მსოფლიოს პრეზიდენტად გამოადგებოდაო".

დიდებული შეფასებაა, ილიას რომ შეეფერება სწორედ ისეთი, უკეთესს ვერაფერს იტყვი. მაგრამ, ეს ხომ იუდას ამბორია, გამიზნული იმ აზრის შესაქმნელად, რომ ამ სიტყვების ავტორი როგორ იქნებოდა გარეული ილიას მკვლელობაშიო?! დიახ, ეს ასეა, თორემ, სად იყო სტალინი, ათეული წლების მანძილზე, ტალახში რომ სვრიდნენ ილიას და საფლავიდან ამოღებასაც რომ ლამობდნენ ქართველი ბოლშევიკები? თუ სტალინს ასეთი სიმპათიები ამოძრავებდა ილიას მიმართ, და ასე აფასებდა მას, რატომ ხმა არ ამოიღო მახარაძისა და მის მსგავსთა გარეწართაგან ილიას დასაცავად, ვიდრე თვით არ დასჭირდა ქართული ეროვნული მწერლობის ეს უდიდესი ავტორიტეტი რუსი ოპონენტების იმ აზრის გასაბათილებლად, რომ იგი კავკასიის ველური ტომის ველური შთამომავალი კი არა, დიდი რუსთაველისა და დიდი ილიას „გვარ-ტომის" წარმომადგენელი იყო?

დიახ, როცა დასჭირდა, სტალინმა იმის დასამტკიცებლად, რომ ცივილიზებული საქართველოს გვარ-ტომს ეკუთვნოდა, დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილიც აიძულა საქართველოს ცეკას მეშვეობით, რომ ჯუღაშვილისათვის ქართული ძირი გამოეძებნა. რა უნდა ექნა მასობრივი კაცთაკვლის ჟამს, როცა ისედაც ბეწვზე ეკიდა ივ. ჯავახიშვილის ბედი, — მითუმეტეს, რომ მას წინ ედო დიდი და საპატიო საქმე — ეროვნული ისტორიის უამრავი პრობლემების მეცნიერულად გაშუქების საქმე? ამიტომ მან, პირველად და უკანასკნელად თავის მოღვაწეობაში, კომუნისტ-ინკვიზიტორთაგან თავდასახსნელად დაუშვა ერთადერთი სიყალბე და შეაკოწიწა ვერსია, რომ ჯუღაშვილის გვარეულობის ფუძე — ჯუღა, კახეთში მდებარე სოფლის — ჯუგაანის სახელწოდებიდან უნდა იყოს ნაწარმოებიო.

მოკლედ — ილიას მკვლელობის თაოსნები იყვნენ მესამედასელი კომუნისტები სტალინის ჩათვლით. დროა ეს ითქვას მთელი საქართველოს გასაგონად პარლამენტის დონეზე, — დროა ასევე წინამურთან დადგმულ ობელისკზე წაიშალოს მკრეხელური წარწერა და ნაცვლად დაიწეროს მასზე, რომ ილია მოკლეს ქართველმა მესამედასელმა მარქსისტებმა!

**მიხეილ მჭედლიშვილი**

# იცნობ მეზობელს, ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!

*გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №32*

შემდგომში იგივე დაგვიდასტურა საქართველოში მომუშავე რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთმა კომპეტენტურმა სამხედრო სპეციალისტმა და ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირებისა და ქვეყნის ეკონომიკაში არსებული სერიოზული პრობლემების მიუხედავად რუსეთს დღესდღეობით ისეთი სარაკეტო-ბირთვული პოტენციალი გააჩნია, რომ შეუძლია მთლიანად ნატოს რამდენჯერმე გარანტირებულად განადგურება. ამიტომ ჩრდილოატლანტიკური კავშირის მხრიდან რუსეთის მიმართ მსხვილმასშტაბიანი ომის გაჩაღება მოსალოდნელი არ არის.

მაშინ რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ქმედითი დახმარებისგან თავის შეკავება, ხოლო ჩვენს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების მხრიდან ზემოთ აღნიშნული არაკეთილმოსურნე ქმედებების მიზეზები უნდა ვეძებოთ არა რუსეთის თავდაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებების გატარების, არამედ ძველი თეთრ-წითელი იმპერიული მისწრაფებებიდან გამომდინარე გავლენის სფეროების შენარჩუნების სიბრტყეში. აქ შეგვეძლო რესტავრაციის პერიოდის ბურბონთა მეფობის შესახებ ნაპოლეონის ცნობილი გამონათქვამის ანალოგიურად ჩვენც დიდი სინანულით გვეთქვა, რომ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში უკანასკნელ ათწლეულში დატრიალებული მოვლენების მიუხედავად რუსეთის საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა და ქვეყნის პოლიტიკის მწარმოებელმა წრეებმა ვერც ვერაფერი დაივიწყეს და ვერც ვერაფერი ისწავლესო, მაგრამ ამ ბოლო დღეებში ომალოში მომხდარ სამწუხარო ინციდენტთან დაკავშირებით, რომელსაც ახალგაზრდა ქართველის დასახიჩრება მოჰყვა, ასეთ მოკლე ვადებში რუსეთის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან შეცდომის აღიარებისა და ბოდიშის მოხდის ფაქტი მეტად დამაიმედებელია ჩვენთვის, რომ მომავალში ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა შესაძლოა უფრო სწორი და ჯანსაღი მიმართულებით წარიმართოს.

ახლა ისევ თურქეთს და მის მფარველ-მოკავშირეთა მმართველი წრეების სავარაუდო მიზნებს დავუბრუნდეთ. თუ კი თურქეთის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვნად გაძლიერების მიუხედავად საწყის ეტაპზე მაინც მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების შესაძლებლობას გამოვრიცხავთ, მაშინ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მამები აღმოსავლეთისკენ საკუთარი გავლენის გაფართოებას უნდა ვარაუდობდნენ მინიმალური წინააღმდეგობის მიმართულებით: საქართველო-აზერბაიჯანი-ცენტრალური აზია და როგორც ზემოთ ვთქვით, ამ მინიმალური წინააღმდეგობის მიმართულებით დასავლურ-თურქული სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გავრცელებას წინ უძღოდა თურქეთის სახმელეთო ჯარების ბრიგადულ სისტემაზე გადაყვანა, რამაც აამაღლა მისი ეფექტურობა მთაგორიანი რელიეფის პირობებში სამოქმედოდ, ჯავშანდაცულობის, მობილურობისა და ცეცხლის ძალის ამაღლება, ქვეითი საბრძოლო ბატალიონების ხვედრითი წილის შემცირება და შესაბამისად, ჯავშანსატანკო და მექანიზებული ქვეითი ბატალიონების გაზრდა.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ მინიმალური წინააღმდეგობის მიმართულებითაც დასავლეთი გარკვეულ სერიოზულ წინააღმდეგობას მაინც მოელის, და საჭიროდ მიიჩნევს „ახალი მსოფლიო წესრიგის" არმიმღები ქვეყნების დაშინებას (ძალის დემონსტრირება) ან იძულებას (ძალის გამოყენება). მაინც ვინ უნდა იგულისხმებოდეს ნატოს მესვეურთა თვალში სავარაუდო ჭირვეულ ობიექტებად. დავიწყოთ ჯერ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებით. აქ ტაჯიკეთის გარდა ყველგან უმეტესად თურქეთის ეთნიკურად მონათესავე ერები და ხალხები ცხოვრობენ და ჩვენი აზრით თურქეთისადმი წინააღმდეგობა ნაკლები უნდა ყოფილიყო. მაგრამ როგორც ამ სფეროში ჩრდილოელმა ერთ-ერთმა ქართველმა სპეციალისტმა გვითხრა, 90-იანი წლების პირველ ნახევარში იქ მართლაც პროთურქული განწყობილებები სჭარბობდა და მაშინ განხორციელდა რუსული კირილიცის საფუძველზე შედგენილი ანბანის თურქული დამწერლობით შეცვლა. მაგრამ შემდეგში თავად თურქებთან ურთიერთობაში წამოჭრილი პრობლემების გამო, აგრეთვე ირანთან არსებული საუკუნოებრივი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა კავშირების შედეგად ისევ პროირანულმა განწყობილებებმა გადააჭარბეს. ასეთ პირობებში არ არის გამორიცხული, რომ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში დასავლურ-თურქული გავლენის გავრცელებისას ნატოს მესვეურნი ვარაუდობდნენ შეიარაღებული ძალების გამოყენებასაც. მაგრამ არა გვგონია, რომ საქმე მცირე კონფლიქტებითა და ნატოს იოლი გამარ-

*გაგრძელება. მეცხრე გვერდზე*

მეექვსე გვერდიდან

# სრულიად საქართველოს მეანაბრეები

ტებთან.

სამაგიეროდ, ძალიან მოკლე დროში ნანა ლომთაძესა და მოსამართლე მამუკა ჭოხონელიძეს (მინდია უგრეხელიძის მოწაფე — ასე უწოდებს თავის თავს) შორის მოხდა გარიგება. ფარულად მოხსნეს ყადაღა ბანკის შენობაზე, მალაზიაზე და გაყიდეს. სინამდვილეში კი არ გაყიდეს, არამედ გააფორმეს თავის სანდო ადამიანებზე.

აღშფოთებული მეანაბრეები მიუცვივდნენ მოსამართლე მამუკა ჭოხონელიძეს, რომელმაც ყადაღა დაადო ახლა უკვე „გაყიდულ" სხვის ქონებას.

პასუხისგებაში უნდა მიეცეს და სანიმუშოდ დაისაჯოს მოსამართლე მამუკა ჭოხონელიძე, რომელიც ქუთაისში ჩადიოდა, ფარულად ხვდებოდა ნანა ლომთაძეს და თავიანთ სასარგებლოდ აგვარებდნენ მეანაბრეებთან შექმნილ პრობლემებს. სამართალი რომ იყოს, სწორედ მ. ჭოხონელიძემ უნდა გადაუხადოს მეანაბრეებს ის თანხა, რომელიც თითქოს ნ. ლომთაძემ გაყიდული ქონების ახალი მეპატრონისაგან აიღო.

პასუხისგებაში უნდა მიეცეს კონსტანტინე ტრაპაიძეც, რომელიც „ოქროს საწმისის" ავტორია და ერთ-ერთი დამფუძნებელი. იგი ისეთივე პასუხისმგებელია ჩვენს წინაშე, როგორც ლომთაძეები. მას სოლიდური ქონება აქვს ვაშინგტონში და საერთოდ საზღვარგარეთ.

გასულ წელს, ჩვენთან, ქუთაისში, ჩამოვიდა პრეზიდენტი, შეხვდა ძველ მეგობრებს, მათ შორის ვიყავით ჩვენც, მეანაბრეები. დაგვპირდა, რომ შექმნიდა სახელმწიფო კომისიას და შეისწავლიდა ჩვენს მდგომარეობას, მაგრამ მოგვატყუა.

მძიმე და ტრაგიკულია მეანაბრეთა ცხოვრება, ბევრი მათგანი ტრავმირებულია ფიზიკურად, მორალურად. არიან დამბლადაცემული, ყბამოქცეული და ფსიქიურად დაავადებული ადამიანები.

თავიანთი ხულიგნური, ცინიკური და ამორალური გამოხტომებით განსაკუთრებით გამოირჩინეს თავი ლომთაძეების დაქირავებულმა დამქაშებმა: მძღოლმა ნუგზარ ბელთაძემ, მეტსახელად უტრუხუნემ, ლაშა ლომთაძემ და ლაშა კიკვიძემ. დღეს ნანა ლომთაძე უტრუხუნეს მითითებებით მოქმედებს.

სოციალურად და ეკონომიკურად უაღრესად მძიმე მდგომარეობაში არიან: ომის მონაწილე, I და II ჯგუფის მეანაბრე ინვალიდები, ლტოლვილები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, რომლებმაც უკანასკნელი დანაზოგები შეიტანეს „სპექტრი პენსიონერში", „ოქროს საწმისში", „ოქროს თასში", „აჩიში", „ქოლორში"...

უდედმამო ბავშვები, მარტოხელა, უმწეო ადამიანები, რომელთაც არავითარი საარსებო საშუალებები არ გააჩნიათ.

სააქციო საზოგადოება „სპექტრი პენსიონერის" მეანაბრეებმა დახმარება ვთხოვეთ პრეზიდენტს, გამოეყო საკუთარი ფონდიდან თანხა „სიკვდილის პირამდე მისული მძიმე ონკოლოგიური და ტუბერკულიოზით დაავადებული ომისა და შრომის ინვალიდებისათვის, მაგრამ მოწყალებას იგი ასე ადვილად და „უაზროდ" არ არიგებს. სამაგიეროდ, სწრაფად ღებულობს ისეთ ბრძანება-დადგენილებებს, რომლებიც იმდენად ზღუდავს სამართალმაძიებელ მეანაბრეებს, რომ რაიმეს მიღწევა შეუძლებელია. ამის კარგი მაგალითია ე.წ. ფულის ინდექსაცია, რომელიც ძალიან ჰგავს, როდესაც „დათა თუთაშხიაში" მამა და მარჩენალი სეთური ასინეთას ავრცელებინებს ჭორებს და ეუბნება: „ვერ გაიგე ხომ! ეს პირიქით, უკულმა, უკულმა!"

პრეზიდენტისადმი უნდობლობის საფუძველს იძლევა აგრეთვე № 617 და № 181 ბრძანებები, რომელთაც მოგვატყუეს მეანაბრეები. დაგვპირდნენ ვალების დაფარვას, მაგრამ მოგვთხოვეს შ.პ.ს და სააქციონერო საზოგადოებების შექმნა. როდესაც შეიქმნა ყოველივე ეს, მაშინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თქვენ ხართ დამოუკიდებელი იურიდიული პირები, კომერციული სტრუქტურები და თქვენ თავს თქვენ თვითონ უნდა მიხედოთო.

რუსეთის მთავრობის მიერ თანხების გადაუხდელობის გამო,



საქართველოს მთავრობამ 1992 წლის ბოლოს აკრძალა მეანაბრეებზე თანხების გაცემა. 1994წ. რუსეთმა ვალი საქართველოს გადაუხადა მყარ ვალუტაში და საქართველოს მთავრობამ ხალხის ვალი სცნო საქართველოს შიდა ვალად, მაგრამ მეანაბრეებს თანხები არ დაუბრუნა.

აშკარაა, ჩვენს ხელისუფლებას „დაავიწყდა", რომ იგი წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრეა. პირველ რიგში, იგი ვალდებული იყო 90-იან წლებში მოსახლეობის მასიური ძარცვა არ დაეშვა და მაყურებლის როლში არ გამოსულიყო. ამასთან, ცნობილია, რომ სოლიდური თანხები ბანკებიდან ვალის ამოღების საბაბით თვითონ სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიტაცეს. საგადასახადო სამსახურმა კი დიდძალი თანხები შეიტანა ბიუჯეტში. ამრიგად, ხელისუფლებამ ხელი შეუწყო „ბანკების დამფუძნებლებს ხალხის ძარცვაში. ამიტომ იგი ვალდებულია დაუბრუნოს მოსახლეობას, როგორც ძველი (საბჭოური), ისე ახალი თავისი კუთვნილი თანხები, იმ კურსით, როგორიც ეს სალაროში შეტანის დროს იყო. აქ საკამათო და სადავო არაფერია. ამ მოთხოვნის საფუძველს გვაძლევს აგრეთვე საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები (ებრაელთა ომამდელ ვალს დღეს იხდიან), ევროპის კონვეცია და საკუთარი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში შექმნილი უაღრესად მძიმე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა.

პრეზიდენტმა თავის ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ ევროპის ერთ-ერთ სახელმწიფოში, სადაც ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა, ხელისუფლებამ დაფარა მეანაბრეთა ყველა ვალი.

მეანაბრეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებისა და კუთვნილი თანხების ხელისუფლების მიერ უპირობოდ დაბრუნების მიზნით შექმნილია სრულიად საქართველოს მეანაბრეთა გაერთიანება. მიმდინარეობს, როგორც ძველი — საბჭოური, ისე ახალი მეანაბრე — აქციონერთა რეგისტრაცია.

ამრიგად, დასახული ამოცანის გადასაჭრელად დიდი ბრძოლა და მუშაობა დაგვჭირდება, რასაც უნდა მოყვეს:

1. ხელისუფლების მიერ 90-იან წლებში მიღებული ბრძანება-დადგენილებების გაუქმება;

2. ვაჟა ბერიძის „საქართველოს მეანაბრე-აქციონერთა საზოგადოებების ზედამხედველობის სამსახურის" გაუქმება;

3. პარლამენტის მიერ კანონის ან დებულების მიღება, სადაც მოცემული იქნება ვალის დაფარვის კონკრეტული გეგმა და ვადები;

4. ვალის დაფარვის დაწყება 2000 წლის იანვრიდან;

5. საქართველოში შემოსული სესხებისა და გრანტების ნაწილის ვალების დასაფარავად გამოყენება.

ძვირფასო მეანაბრეებო, გვერწმუნეთ, თუ გავერთიანდებით და ერთად დავდგებით, ნებისმიერ პრობლემას გადავჭრით. სხვანაირად ჩვენი მთავრობა და პრეზიდენტი არ მოგვართმევს ჩვენს კუთვნილ თანხებს.

**სრულიად საქართველოს მეანაბრეთა პოლიტიკური საბჭოს პრესცენტრი.**

**მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ №28 „ოქროს თასის" ოფისი**

**ირინა ზაალიშვილი**
**ლილი ჯაფარიძე**

მერვე გვერდიდან

# იცნობ მეზობელს, ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!

ჯვებებით შემოიფარგლოს, ვინაიდან აქ უთუოდ დაუპირისპირდება მას რუსეთის, ირანისა და ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები. და თუმცა შეიძლება ამ სახელმწიფოთა მხრიდან შეიარაღებულ კონფლიქტებში ოფიციალური მონაწილეობა ვერ მოხერხდეს, მაგრამ შეიარაღების მიწოდების, მოხალისეთა გაგზავნის და სხვა აუცილებელი ღონისძიების გატარება სავსებით რეალური იქნება. და თუ კი 1951-1953 წლების კორეის ომის მსგავსად ცენტრალური აზიის ტერიტორიაზეც გამოჩნდება რამდენიმე მილიონი კარგად შეიარაღებული ჩინელი მოხალისე, ასევე რუსები და ირანელები, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ომი სისხლისმღვრელ და გაჭიანურებულ სახეს მიიღებს. ომს კი თავისი მკაცრი კანონები აქვს და ამ კანონების მოქმედების არეში შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოც, როგორც საომარ მოქმედებათა თეატრზე წარმოებული საბრძოლო ოპერაციების ზურგის რაიონის ტერიტორია.

ანალოგიურ ვითარებაში ჩვენი ქვეყანა უკვე იმყოფებოდა XIX საუკუნის დასაწყისში, 30-იან წლებამდე, როდესაც ამიერკავკასიაში ირანის და თურქეთის სამფლობელოების (ერევნის, განჯის, შუშისა და სხვა სახანოები, ახალციხის საფაშო) დაპყრობის მოსურნე რუსული ჯარებისთვის სამხედრო ტვირთების გადასაზიდად და ჯარების პურით უზრუნველსაყოფად დაბეგრილი ქართველი გლეხობა წელში წყდებოდა არაადამიანური შრომის, გამწევი საქონლის დაკარგვის, ხორბლის ბაზრის ფასებში შესყიდვისა და შემდეგ ჯარებისათვის მკაცრად დადგენილ დაბალ ფასებში მიყიდვის, გაუთავებელი ეგზეკუციებისა და დამპყრობელთა მხრიდან ძალმომრეობისა და უსამართლობის შედეგად. ამას მოჰყვა მთიულეთისა (1804 წ) და კახეთის (1812 წ) ცნობილი აჯანყებები, რომელთა დამარცხებამ და რუსეთის მხრიდან საპასუხო რეპრესიებმა კიდევ უფრო დაამძიმეს აღმოსავლეთ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და ეს იყო სწორედ ომის იმ მკაცრი კანონების ცხოვრებაში რეალური მოქმედება. დღესდღეობით XIX საუკუნის რუსეთთან შედარებით უფრო მოწესრიგებული და ორგანიზებული დასავლური საზოგადოების ტრადიციებისა და კანონების პირობებში შესაძლოა ბევრი ზემოთ ნახსენები ფაქტორი შერბილდეს, მაგრამ ამას დაემატოს რუსული და ირანული მოიერიშე და ბომბდამშენი ავიაციის თავდასხმები, აგრეთვე ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების დარტყმები, როგორც ჩვეულებრივი, ისე ბირთვული აღკაზმულობითაც.

მაგრამ შესაძლოა საქმე ასე შორს არც წავიდეს (ტერიტორიული განფენილობის თვალსაზრისით) და ისევ ამიერკავკასიის ტერიტორიით შემოიფარგლოს. ანუ ცენტრალური აზიისკენ ვერგაჭრილი თურქეთი (იგულისხმება ნატოც) შეეცადოს უფრო მყარად ფეხის ჩვენში მოკიდებას. ამას გვაფიქრებინებს ისევ ჩვენი XIX საუკუნის გამოცდილება, როდესაც ინდოეთის ოკეანის სანაპიროებისკენ გაჭრის მოსურნე რუსეთი იძულებული გახდა ამიერკავკასიით დაკმაყოფილებულიყო და თავისი კოლონიური სისტემა აქ დაენერგა. ხოლო ეს იძულება გამოწვეული იყო იმ წინააღმდეგობით, რომელიც მაშინ რუსეთს შეხვდა ირანის, თურქეთისა და ინგლის-საფრანგეთის მხრიდან. უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქეთის მიერ ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური ათვისების მცდელობას მძაფრი წინააღმდეგობა შეხვდება რუსეთის მხრიდან. ამიტომ შესაძლოა ზემოთ ნახსენები საჰაერო-სახმელეთო საბრძოლო მოქმედებები გაიშალოს არა ცენტრალურ აზიაში, არამედ ამიერკავკასიაში.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უკანასკნელ წლებში რუსეთს სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში ნასწავლი ქართველი ოფიცრების მონაყოლით, რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ჩატარებულ სწავლებებში თამაშდება ასეთი სცენარიც — საქართველოს ტერიტორიების დაკავება დაიწყეს თურქულმა ჯარებმა, რის გამოც ქვეყნის ხელისუფლებამ დახმარებისთვის მიმართა რუსეთის ხელმძღვანელობას. ამ უკანასკნელმა მიიღო გადაწყვეტილება, დაეხმაროს საქართველოს და სათანადო განკარგულებებიც გასცა. ამის შედეგად რუსეთის სარდლობა იწყებს ვოლგისპირეთისა და ურალის სამხედრო ოლქებიდან ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქში ჯარებისა და სამხედრო ტექნიკის გადმოყვანას, საომარი დროის შტატებამდე დაკომპლექტებას და სამხედრო ოპერაციებში ჩასაბმელად მათ საქართველოში შემოყვანას.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთი გარემოება — რუსეთი დიდი და მდიდარი იმპერიული გამოცდილების მქონე სახელმწიფოა. ამიტომ მის შესაბამის სამოქალაქო და სამხედრო სპეციალისტებს, აგრეთვე, მმართველ წრეებს, აგრეთვე ნატოსა და თურქეთის მხრიდან საქართველოსადმი სიტყვიერი კეთილგანწყობისა და მეორეხარისხოვან სფეროებში დახმარების აღმოჩენის ილუზიის თუნდაც დღევანდელი ამორფული და ბუნდოვანი სიტუაციის გაანალიზებით (თავად რუსეთის მმართველი წრეებიც ზუსტად ასევე გვექცეოდნენ თუნდაც XVIII საუკუნეში) შეუძლიათ მოვლენათა შემდგომი განვითარების გათვლა და პროგნოზირება და შესაბამისი მოქმედებების დაგეგმვა როგორც სამართლიანობის აღდგენისა და აგრესორის უკუგდების, ისე შექმნილი სიტუაციის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენების ან წარმართვის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთქმული დიდ ცოდნას, პროფესიონალიზმს, სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს იმათგან, ვინც ცდილობს საქართველოს პოლიტიკის ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო კალაპოტში წარმართვას. სიფრთხილე ქართველ სამხედრო-პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ჯერჯერობით ჰყოფნის, თუმცა უკანასკნელ პერიოდში ნატოში ინტეგრირების აშკარად გამოხატული სურვილი, სწორედ იმ ორგანიზაციაში, რომლის წამყვანმა სახელმწიფოებმა უკანასკნელ ათწლეულში გააძლიერეს თურქული სამხედრო მანქანა და შეტევითი მოქმედებების გარკვეულ ფარგლებში ეფექტურად წარმოების უნარი შესძინეს მას და რომლის აღმოსავლეთისკენ გაფართოების ამბიციებმა შეიძლება ჩვენს ქვეყანას და მოსახლეობას ზემოთ აღწერილი ნგრევა, მსხვერპლი და დაზიანება მოუტანოს, სიფრთხილის ამ შემაკავებელ ფაქტორსაც მინიმუმამდე ამცირებს. რაც შეეხება ცოდნას, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში, განსაკუთრებით კი სამხედრო-ანალიტიკური მუშაობის თვალსაზრისით, ამის დიდი დეფიციტი იგრძნობა საქართველოში. ხოლო ცოდნის დეფიციტი თუნდაც სიფრთხილესთან შეჯამებით წინდახედულობასა და სწორ პროგნოზირებას ვერ მოგვიტანს.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სწორად გათვლისა და წარმართვის უზრუნველყოფის ინტერესებში, ცხადია, არ არის საკმარისი ზემოთ აღნიშნული კვლევითი ანალიტიკური სამუშაოების ორგანიზება მხოლოდ სამხედრო სფეროში. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ანალოგიური მუშაობის წარმართვა საგარეო საქმეთა, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის, ტერორიზმთან ბრძოლის, ეკონომიკის, ისტორიისა და სხვა დარგებში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ამ მუშაობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობის აუცილებლობა, ვინაიდან დიდი ცოდნა და გამოცდილება გააჩნია როგორც კაცობრიობის განვითარების ზოგადი კანონზომიერებების, ისე საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების (სამსახურის) სფეროში.

**ირაკლი ხართიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარსულის ფურცლები

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №32

**14 სექტემბერი**

დღეს შევიტყვეთ პოლინა მოსკოვიდან არ გაუშვიათ. ის გეპეუს ციხეშია მოთავსებული. ამბავი მოგვიტანა არკავფინამ.

**15 სექტემბერი**

1924 წელი. სუზდალის სამონასტრო საპყრობილე. საკანი №32

მეგონა ბევრჯერ მინახავს უბედურება, ბევრჯერ შევხვედრივარ პირისპირ განსაცდელს და მიგრძვნია შიში, შიში არა მარტო პირადი და საკუთარი სიცოცხლის დაკარგვისა... არა, ასეთი შიში ეხლა მაინც რად უნდა ვიგრძნო, სულ ერთია, ის ვერ დამიხსნის, ვერ ამაცდენს მოსალოდნელს, თუკი ის რალაც „განგებით“ მაინც მოდის ჩემთან და მიახლოვდება. მე ვამბობ საერთო შიშზე, საერთო უბედურებაზე... და განა ასეთი უბედურება არ გვინახავს ჩვენ უკანასკნელ წლებში? განა 1921 წლის თებერვალ-მარტი ეროვნული უბედურების დღეები არ იყო ჩვენთვის? და მე ვფიქრობდი, რომ ამით განვიცადე უდიდესი უბედურება, რომელიც კი ოდესმე შეუძლია იგრძნოს მოქალაქემ. ეს გრძნობა, ეს გლოვის და მწუხარების განცდები დაგვეუფლა ჩვენ ეს სამი წელია და თითქოს აღარ იყო შესაძლებელი გამოჩენილიყო რაიმე ისეთი ახალი მწუხარება, რომელსაც დაეჩრდილა ეს ჩვენი ისტორიული, ჩვენი საშვილიშვილო, ჩვენი დაუვიწყარი და მუდამ წარუშლელი ცრემლიანი და სისხლიანი ეროვნული ტრაგედია. მართლაც ტრაგედია!.. საშინელი ტრაგედია!.. კატასტროფული ტრაგედია, როგორიც საქართველოს არ განუცდია შაჰაბასის შემოსვლის ხანიდან და რაც თითქოს გაუმეორებელი უნდა ყოფილიყო მეოცე საუკუნეში, კულტურის და ცივილიზაციის საუკუნეში, სოციალიზმის და ერთა თავისუფლების საუკუნეში... მაგრამ ყოველ ეპოქას ხომ აქვს დაუზოგველად რისხვა ჩვენი პატარა, უბედური საქართველოსათვის, ხომ ყოველ საუკუნეს უხვი გესლი და შხამი აქვს ჩაგუბებული, რომ გადმოგვანთხიოს და ეს ეს არის ფეხზე წამომდგარი და წელში გასამართად მომზადებული ერი ისევ მოგვკეცოს და მოგვთელოს, თავი მოგვჭრას და დაგვასახიჩროს. შვიდი საუკუნეა არ ვიცით რა არის მშვიდობიანობა და თავისუფლება, შვიდი საუკუნეა ერი იგერიებს აღმოსავლეთის ბარბაროსებს და კავკასიონის ნაოჭებში შეხიზნული, გულს იმაგრებს, რომ დაჰკრავს საათი და მას გზა გაეხსნება კულტურისაკენ, ევროპისაკენ, ცივილიზაციისაკენ, რომ ერთ დღეს ჩვენც გვიწერია ემანსიპაცია და თავის დაღწევა აღმოსავლურ-აზიურ ველურობისაგან. ამ ევროპულმა ლტოლვამ, ამ ცივილიზაციისთვის ალგზნებამ მიიყვანა საქართველო რუსეთთან მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში, რომ ამ შორი გზით, ნახევრად დამახინჯებულად, მაგრამ მაინც გადაელახა მას ისლამის ზღუდეები და რუსეთის საშუალებით ევროპისკენ გზა გაეკაფა. იმ მომავალმა, იმ იმედმა, რომ ადრე თუ გვიან საქართველო საკუთარი ძალებით დაუკავშირდებოდა ევროპას, აგვატანინა რუსეთის მწარე და ტირანული უღელი, რუსეთის ნახევრად აზიური და ჩვენი ეროვნულად გამანადგურებელი ხელი... და თითქოს მოვესწარით კიდეც... ქართველი ხალხი დაუკავშირდა რუსის მუშას, რადგან რუსი მუშა ებრძოდა თავის მეფეს და ჩვენთვის კი ეს მეფე სამოქალაქო და ეროვნული ტირანიც იყო. ჩვენ გავიმარჯვეთ და ორმაგი თავისუფლება ვიგრძენით. თავისუფლება ეროვნული და თავისუფლება პოლიტიკური. ჩვენ გამოვედით ისტორიის შარაგზაზე, ნამდვილ გზატკეცილზე და მსოფლიო ერთა მწკრივში ამაყად ჩავდექით ჩვენი ეროვნული და სოციალისტური დროშით. საქართველო აღორძინდა და დამოუკიდებლობა აღადგინა მუშათა კლასის მებაირაღეობით, მან მოახდინა ეროვნული ძალების ჩამოყალიბება და საქართველო შეაკავშირა, როგორც თანამედროვე კულტურული, ევროპული ერი, ის ჩაუდგა მას სათავეში და ზეიმი იყო საქართველოში, ზეიმი ისტორიული და ნანატრი, იცინოდა ერი, იცინოდნენ ჩვენი მთები, ილიმებოდნენ წარსულის ნანგრევები... საქართველო... საქართველო... საქართველო... გაისმოდა კიდით კიდემდე და ყოველი ქართველი სიამაყეს გრძნობდა, თავისუფლების, საკუთარი თავის პატრონობის სიამაყეს... უბედურ, განაწამებ, ბედისგან დაჩაგრულ და ქვეყნისგან ყბად აღებულ კაცს სიზმარში თუ მოეჩვენება ბედნიერება და ნეტარება, სიმდიდრე და თავისუფლება. და ეს სიზმარიც თითქოს იმისთვის მოევლინება, რომ შემდეგ ცხადში კიდევ უფრო იგრძნოს თავისი დაჩაგრული, უბედური მდგომარეობა... ნუთუ ასეთი სიზმარი იყო თავისუფალი საქართველო, ნუთუ ის მოჩვენება იყო, რომ კიდევ უფრო გვეგრძნო ჩვენი მონობა და ამ გრძნობით ისევ მონებად დავრჩენილიყავით და უკანასკნელი იმედებიც დაგვმსხვრეოდა, თვით წითელი დროშის იდეაც ტალახში გასვრილიყო და იქ, სადაც მეგობარი გვეგულებოდა, მხოლოდ მოღალატე, საზიზღარი, სისხლიანი მოღალატე დაგვენახა?.. მოვიდა ჩვენი „მოკავშირე“ რუსის მუშა და გლეხი და რუსი მეფის ადგილი დაიკავა. ის თურმე თავის მეგობრისთვის იბრძოდა, დესპოტი გადმოაგდო ტახტიდან, რომ თვით გადესპოტებულიყო და ძველი მპყრობელობა თავისთვის შეენახა. ეს იყო თებერვალ-მარტის კატასტროფა... საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, სიზმარი მეორე დღეს საშინელი ტრაგედიით შეიცვალა... და განა შემეძლო მეფიქრა, რომ ეს ტრაგედია იყო მხოლოდ ფერმკრთალი ანარეკლი მომავალი უბედურებისა?.. მაშინ თურმე დაიწყო ტრაგედია, მაშინ თურმე მხოლოდ ფარდა აიწია და გათამაშდა პირველი მოქმედება იმ სისხლიანი დრამისა, რომელსაც თურმე დასასრული არ უჩანს, რადგან ასეთი ყოფილა საქართველოს ბედი, ასეთი ყოფილა მისი ისტორიული ხვედრი... დიახ, მეგონა, ბევრჯერ განმიცდია უბედურება, ბევრჯერ შევხვედრივარ მას პირისპირ, მაგრამ ვაი, რომ წარსული უბედურება თურმე მხოლოდ დასაწყისი, ფერმკრთალი დასაწყისი ყოფილა იმ საშინელი მომავლისა, რომელიც ნამდვილ ტრაგედიად გადაიქცეოდა და რუსეთის მეფეთა მფლობელობის უგლახეს დროებას მოგვანატრებდა... 15 დღეა, რაც ეს ტრაგედია თავის სისხლით გადაშლილია საქართველოში და მისი ღაღადისი მთელ მსოფლიოს ესმის... ომი, რომელიც რუსეთმა დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ 1921 წლის 11 თებერვალს, გაგრძელდა 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში კიდევ უფრო მეტი სისასტიკით, მეტი მსხვერპლით და საქართველოსთვის უფრო დიდი დამარცხებით. დღეს საქართველო მეორე დამარცხებას გლოვობს. ჯერ არც მოგვინახავს 1921 წლის გმირთა საფლავები, დედები უცდიან შვილებს, შვილები მამებს, ობლები მარჩენალს... რამდენი დავკარგეთ შემდეგ, რამდენს დაეძებს ახლობელი და მაძებარს ვერც უკითხავს თავისი საყვარელი და მეგობარი. იდუმალად ჩაწვა ერის გულში ნაღველი და ბოლმა ახრჩობს ცრემლმორეულ ჭირისუფლებს, რომელთაც მოთქმა არ შეუძლიათ, რადგან ნებადართული მხოლოდ სიცილი და ტირანიის ქება-დიდებაა. ჰო, სიცილი თქვა ვამბობ... მაგრამ არა ჩვენებური სიცილი, არა ქართული სიცილი, არა ნამდვილი სიცილი, ასეთი მხიარული სიცილი აღარც შეუძლია ეხლა საქართველოს არა, ხალხს აქვს ნება დართული მხოლოდ „ვაშა“ უძახოს ტირანიას და სახეზე ამ ტირანიისადმი კმაყოფილება და სიყვარული გამოხატოს. ოთხი წლის მსხვერპლი და ამ მსხვერპლზე ახალი საფლავები, მოუნახავი საფლავები, მოთქმა და ცრემლები, იდუმალი ცრემლები, წყევლა და ზიზღი გულის სიღრმეში და „ვაშა“ და „გამარჯვება“ შესახედავად, გარეგნულად შესამჩნევად. ვაი და ვიში, ზარი და საფლავები... ორი ათას ვერსზე მოშორებული სამშობლოდან ვხედავ ამ საფლავებს, მესმის გოდება ერისა, გულს მწვდება დედის მოთქმა და მინდა ვიტირო. მინდა ჩემი ცრემლებიც ერის ცრემლებთან დაილვაროს, მაგრამ რად... რად არა მაქვს ცრემლები, რად გამიშრა თვალები, და რად შევსცქერი ასე ამ საფლავებს, რად ვერ ვგრძნობ, რომ შიგ ჩემი მეგობრები, ჩემი ძმები, ჩემი ახლობლები ჩაუწყვიათ და დასცინიან, მოურიდებლად დასცინიან მათ... ალბათ, ჯერ არ მინახავს უბედურება, ჯერ არ მიგრძვნია ტრაგედია სრული და უფსკერო... ეხლა კი ვდგევარ მის წინაშე და მინდა დავიტირო დაკარგული მეგობრები, მაგრამ კაეშანის სიღრმემ ჩასძირა ჩემი გრძნობა და მე გამშრალი, უსიტყვო, თავბრუდახვეული და გონებადაკარგული ვდგევარ რუსეთის საპყრობილეში და გავსცქერი სარკმელს. ჯერ ვერ მოვიკრიფე ღონე, ხელები ჩამოშვებული მაქვს, რალაც უძლურებას ვგრძნობ და თუ დამიბრუნდა განცდების სიცოცხლე, თუ ვიგრძენი სრულად რა დავკარგე და ვინ დავკარგე, მაშინ... მაშინ უნდა კბილებით დავუწყო ღრღნა საპყრობილის რკინის მოაჯირს, უნდა შევაკვდე მას, რადგან სიკვდილს დავეძებ, სიკვდილი მინდა დღეს. რა საშინელებაა ათას მკვდარში ორი-სამი დარჩე ცოცხალი და შეყურებდე იმათ გასისხლულ სახეებს, ვინც გიყვარდა და ვისაც შეფიცე, საფლავამდი შეფიცე... მაგრამ, მაგრამ... განა უფრო საშინელი არ არის, რომ აქ ჩაგდებენ მიწაში, აქ დაიკარგები შენ, აქ დაგატყვევებს სამუდამოდ რუსული მიწა, მტარვალი და ბარბაროსი რუსეთის მიწა!.. ჰო, ეს ყველაზე საშინელია, ეს ყველა სასჯელზე უფრო დიდი სასჯელია ქართველისათვის... განგებავ, ჩემო განგებავ, ერთადერთი ჩემი ვედრება, ჩემი სათხოვარია ეს სასჯელი ამაშორე მე, მუდმივი ტყვეობიდან დამიხსენი მე, რუსული მიწის სამარეს გადამარჩინე მე... საქართველოში სიკვდილი საქართველოსთვის სიცოცხლეს უდრის...



*მარცხნიდან პირველ რიგში: მესამე ნოე ხომერიკი, გრ. ლორთქიფანიძე, ნოე რამიშვილი, ნოე ჟორდანია*

დღეს „იზვესტიაში“ წავიკითხე ინტერვიუ უსეინოვთან საქართველოს ამბების შესახებ. ყველა დღემდე დაწერილიდან უსეინოვის ნათქვამი ოდნავ მაინც განირჩევა, საიდანაც გაკვრით მაინც შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა მოძრაობის სიდიადე და მისი მიზანი. ეს ინტერვიუ შესანიშნავი მასალაა საქართველოზე თვით რუსეთის წინააღმდეგ მიმართული. ასეთ დათვურ სამსახურს უსეინოვი ხშირად უწევს რუსეთს. ამ ორი თვის წინათ, მან გამოაქვეყნა საქართველოს მთავრობის საგარეო სამინისტროს დოკუმენტები და უნდა ითქვას, რომ იქ საქართველოს ქების და ღირსების მეტს ვერც ერთი მკითხველი ვერ ამოიკითხავს. ასე ძლიერია ფაქტები და სიმართლე. თვით მტერიც კი უძლურია უარყოს ნათელი კითხვები, თუკი ის შეეცდება ფაქტებით ხელმძღვანელობას. უსეინოვი ცდილობს ამას, უნდა ფაქტებით დაამარცხოს საქართველო, მაგრამ ეს ფაქტები ყოველ სიმახინჯეშიც კი საქართველოს სასარგებლოდ ლაპარაკობენ. რუსეთი უძლურია დამალოს შიშველი საერთაშორისო ომი, რუსეთ-საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დავა. ის დამპყრობია და საქართველო თავდამცველი. ეს არის ძირითადი და აბა, რა წვრილმანები შეიძლება მონახო ისეთი, რომ ეს მყვირალა, უდიდესი უსამართლობა მიჩქმალო და წაშალო, ხოლო რუსული იმპერიალიზმი ყოველი სიკეთის მატარებლად გამოიყვანო. ეს შეუძლია ამტკიცოს მშრალად მხოლოდ რუსეთმა. აბა, რომელი კახპა ამბობს თავის თავზე სიმართლეს და არ ამაყობს, რომ ის ყველაზე პატიოსანია?!

*გაგრძელება იქნება*

# ვინ არის დაინტერესებული „ჯეოსელის“ გაკოტრებით?..

სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც საქართველოში შენატრიან, არსებობს მხოლოდ დემოკრატიული, მიუკერძოებელი და ობიექტური მართლმსაჯულების პირობებში.

სასამართლო რეფორმის აუცილებელი შედეგი უნდა იყოს უჯიბეებო მანტიებით შემოსილი მოსამართლეები, რომლებიც დადებული ფიცის თანახმად ქრთამს არ აიღებენ და პირნათლად ემსახურებიან სიმართლეს.

უპირველესად უზენაესი სასამართლო უნდა იყოს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, რომელიც არავის მითითებებს არ შეასრულებს. თუმცა ხალხის ნდობის მოპოვებას საკმაო დრო სჭირდება, მანამდე კი საზოგადოების თვალში კვლავ ხელისუფლების ინტერესების გამომხატველ ორგანოდ რჩება.

ნებისმიერი უწყების თუ სახელმწიფო მოხელის მოღვაწეობის ამოსავალი წერტილი ისევ და ისევ ქართული ინტერესები უნდა იყოს, თუმცა „ვილაც-ვილაცეების“ პირადი ამბიციები უფრო ძლიერი აღმოჩნდება ხოლმე. ქვემოთ მოყვანილი ფაქტიც თქმულის ერთ-ერთი დადასტურებაა.

შ. პ. ს „ჯეოსელისა“ და თურქული კომპანია „გურტელე კომუნიკასიონის“ სკანდალური დაპირისპირება თითქმის 9 თვეა საზოგადოებრივი ინტერესის არედან არ ჩამოსულა. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის სრული შემადგენლობის საბოლოო გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, რის საფუძველზეც „ჯეოსელს“ 5 მლნ. 200 ათასი დოლარის გადახდა დაეკისრა. 4,5 მლნ. „გურტელის“ და 700 ათასი — შვედური „ერიქსონის“ სასარგებლოდ. გაუქმებულ იქნა ყადაღის შეჩერების დოკუმენტაცია და „ჯეოსელის“ ქონებას საბანკო ანგარიშებზე ფულად სახსრებს ყადაღა ადევს.

საქმის მოკლე ისტორია შემდეგია: თავდაპირველად „ჯეოსელის“ საქმეს მთაწმინდის რაიონის სასამართლო, ხოლო შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლო არკვევდა — გადაეხადა თუ არა ფირმა „გურტელისა“ და „ერიქსონი“-სათვის 5,5 მილიონამდე დოლარი მიწოდებული აპარატურის საფასურად.

მთაწმინდის რაიონის მოსამართლე ვახტანგ თალაკვაძის მიერ თურქული ფირმის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა. „ჯეოსელმა“ უზენაეს სასამართლოს მიმართა და თან ითხოვდა საქმის განხილვა ამავე უწყების ახალი ხელმძღვანელის, ლადო ჭანტურიას თანდასწრებითა და თავმჯდომარეობით წარმართულიყო, მაგრამ ბატონმა ლადომ საჭიროდ არ ჩათვალა მონაწილეობა მიეღო სასამართლო პროცესში (საეჭვოა, მისი ჩარევით საქმე საპირისპიროდ შეტრიალებულიყო).

„ჯეოსელის“ ადვოკატები თავიდანვე ეჭვობდნენ, რომ ამ კომპანიის გაკოტრებით „ვილაცაა“ დაინტერესებული და ამის დასტურად სარწმუნო დოკუმენტების ქონასაც ირწმუნებოდნენ. თანაც აღნიშნავდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმე მათთვის კატასტროფულ მიმართულებას მიიღებდა, ამ მასალებს გამოაქვეყნებდნენ. ვფიქრობთ, საამისო დრო დადგა.

„ჯეოსელის“ ადვოკატმა იოსებ ბარათაშვილმა მთაწმინდის რაიონის სასამართლო მთელი რიგ დარღვევებში დაადანაშაულა. თურქულ მხარეს არ წარმოუდგენია მოწმეები, რაზეც ადვოკატ ირაკლი ოქრუაშვილს უთქვამს: — „მე თვითონ მოწმეთა 2/3-ს წარმოვადგენო“.

— ეს ნოვაციაა, რაც მოსამართლე ვახტანგ თალაკვაძემ ყურად არ იღო — განაცხადა ბარათაშვილმა.

აგრეთვე, მოსამართლე დაადანაშაულეს პროცესუალურ დარღვევებშიც. ერთ-ერთ მაგალითად დასახელდა მსაჯულ მახარაძის პროცესზე არყოფნა. აქ უკვე „კომედიური“ სცენის მომსწრენი გავხდით. მოსარჩელე მხარემ და მოსამართლემ — ვალერი ხრუსტალმა წარმოადგინეს მახარიძის მიერ ხელმოწერილი ორი ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის განცხადება. ერთის მიხედვით მსაჯული ადასტურებდა ყოფნას 14 მაისს მთაწმინდის რაიონის სასამართლოში, ხოლო მეორე განცხადებით, პროცესს არ ესწრებოდა.

„ჯეოსელის“ ადვოკატმა შალვა შავგულიძემ მოითხოვა მოესმინათ მსაჯულ მახარაძისათვის, რათა განემარტა, საიდან გაჩნდა 2 საპირისპირო ხასიათის განცხადება. მოსამართლემ ეს საჭიროდ არ ცნო, რაც „ჯეოსელის“ მხარემ ხრუსტალს უხეშ დარღვევად ჩაუთვალა.

„ჯეოსელის“ წარმომადგენლები თვლიან, რომ თურქული მხარე შეგნებულად ცდილობდა ხელში ჩაეგდო კომპანიის მთელი ქონება თუ არა, საკონტროლო პაკეტი მაინც.

— გასაგებია, მათ სურთ შემოვიდნენ ქართულ ბაზარზე, მაგრამ გასაკვირია ზოგიერთი ქართველის ასეთი თავგამოდებული დაინტერესება „გურტელის“ გამარჯვებით — აღნიშნა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

„გურტელის“ ადვოკატმა ირაკლი ოქრუაშვილმა წაყენებულ ბრალდებას შემდეგი პასუხი გასცა:

— ჩვენ ქართულ მხარეს მათდა სასარგებლოდ შევთავაზეთ 10 მლნ. დოლარის ინვესტიცია, თუმცა მათ ეს არ ინდომეს. ამიტომ ამ პროცესის ასეთი ფორმულირება ჩემთვის მიუღებელია.

ზემოთ აღნიშნულმა თურქულმა ფირმამ სწორედ პარტნიორობიდან საკონტროლო პაკეტი ჩაიგდო ხელთ აზერბაიჯანში ფიჭური კავშირგაბმულობა, ასევე ყაზახეთში, უკრაინასა და მოლდოვეთში. საქართველოში კი საქმე გაურთულდა, თუმცა თავისას მიაღწიეს.

მობილურ სატელეფონო კავშირს, კომპანია „ჯეოსელს“ არ გააჩნია სასამართლოს მიერ დაწესებული თანხები ფულადი სახით. როგორც ირაკლი ოქრუაშვილისგან გახდა ცნობილი, მათ საბანკო ანგარიშზე მხოლოდ 2 მლნ. ლარი ჰქონიათ. მაგრამ თუ „ჯეოსელმა“ დამატებითი თანხის გადახდის შემთხვევაში თანხები ვერ მოიზიდა, ერთადერთი საშუალება რჩება ის, რომ „ჯეოსელის“ ქონება უნდა გაიყიდოს.

ნიჭიერ ქართველს, მაღალი ფინანსური ანაზღაურების მოლოდინით გულგაწბილებულ ადვოკატს, უპირველესად, ქართული ინტერესები უნდა დაენახათ.

**ირმა ურგეხაშვილი**

# სუფთა ხელები



მოგეხსენებათ — სიტყვა „პარტია" ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს მთელის ნაწილს. ამიტომ იგი თავისთავად გულისხმობს სხვა ნაწილების არსებობასაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაწილი გაუტოლდება მთელს და აღარ იქნება ნაწილი. ასეთი პარტიული სისტემის მოწმენი და მისი შედეგისაც, ჩვენ ერთხელ უკვე ვიყავით, ე.ი. პარტიამ შეიძლება იარსებოს მხოლოდ სხვა პარტიებთან ერთად, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ქვეყანაში პარტიათა რიცხვის განუწყვეტლივ და უსასრულოდ ზრდის საჭიროებას ან მით უმეტეს, აუცილებლობას. მთელის უსასრულოდ დანაწევრება ან როგორც პოლიტოლოგები უწოდებენ — მისი ატომიზირება თვით ამ ნაწილს აუბრალოებს და ფუნქციას უკარგავს. საჭიროა ზომიერება, ზედმეტი არაფერი ვარგა: ზედმეტად თავისუფალ სახელმწიფოში მუდმივი დაპირისპირება და ბრძოლაა, ინდივიდი იძულებული ხდება თავისი პარტიის ისეთივე მონა იყოს, როგორც დესპოტის. ზომაზე მეტი თავისუფლება, მათ შორის პარტიათა თავისუფლება მიგვიყვანს დამოუკიდებლობის დაკარგვამდე და თავისუფლების უარყოფამდე საერთოდ" — წერდა ფრანგი განმანათლებელი მონტესკიე.

პოლიტოლოგები პარტიას განიხილავენ, როგორც „სახელმწიფოს — სახელმწიფოში". მათ შორის პირველობისათვის განუწყვეტელი ბრძოლაა. ამ ბრძოლის ფინალი კი საყოველთაო, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებია, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ თუ არჩევნებში მონაწილეობს 4-5 სუბიექტზე მეტი ამოსარჩევი, მაშინ ამომრჩეველი იბნევა და მიზანი: — თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებისა მიუღწეველი ხდება. — „ეს იმას ჰგავს — იტყოდა ძველი ბერძენი ბრძენი არისტოტელე, რომ კაცს სახაზავის გამოყენება გინდოდეს და წინასწარ გალუნო ის".

ყველაფერი ეს იმდენად ნათელია, რომ ჩვენში უკვე კარგა ხანია ყველა — პოლიტიკურიც და არაპოლიტიკურიც, პარტიათა ინტეგრაციის საჭიროებაზე ლაპარაკობს, რეალურად კი პარტიათა რაოდენობა საქართველოში განუწყვეტლივ იზრდება. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ერთგვარი იმედით ელოდება ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური ძალის ან პოლიტიკური ალიანსის გამოჩენას, რომლის ძირითადი დევიზი იქნება სიმართლე და სუფთა ხელები.

„სუფთა ხელებს" შეიძლება მრავალი ინტერპრეტაცია მიეცეს, რუსული „ბელარუჩკა" ერთობ უარყოფით ასოციაციასაც იწვევს და საერთოდ, დღეს ქართველ პოლიტიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა იმ პოზიციაზეა, რომ „პოლიტიკა-ჭუჭყიანი საქმეა". და მათ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ელექტორატის დიდი ნაწილი პრაქტიკული ქმედებებით დაარწმუნეს, მაგრამ ხალხი ბრძენია და მათი მუდმივად გამაიმუნება შეუძლებელია. ყველა კარგად ხვდება, რომ ჭუჭყიანი პოლიტიკა — „ჭუჭყიანი" პოლიტიკოსების საქმეა, „სუფთა" პოლიტიკოსი კი სუფთა პოლიტიკას წარმართავს. ამ სიტყვების დასტურად საჭიროა რამოდენიმე მომენტის გახსენება:

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი მონსტრი ზესახელმწიფო, — საბჭოთა კავშირი დაანგრია რეიგანმა, გორბაჩოვმა და ა.შ. არც რეიგანს, არც ამერიკას და მითუმეტეს, გორბაჩოვს ან სხვა ვინმეს არ შეეძლო და არც დაუნგრევია უდიდესი და უძლიერესი იმპერია. ამერიკამ, ინგლისმა და მთელმა ე.წ. დასავლეთმა საბჭოთა კავშირის დანგრევა ვერ შესძლო მაშინაც კი, როცა იგი მხოლოდ იქმნებოდა და ფეხზე ძლივს იდგა. რატომ? — იმიტომ, რომ მაშინ საბჭოთა ქვეყნის ხალხსა და მის ხელმძღვანელობას ერთი საერთო მიზანი ჰქონდა — სოციალური ბოროტების მიზეზის, როგორც მაშინ ეძახდნენ — კერძო საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლა. ამჯერად, ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს მათი პრინციპების სამართლიანობა — უსამართლობის განსჯა ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ საერთო მიზნისათვის ხელისუფლება ხალხთან ერთად საკმაოდ გულწრფელად იბრძოდა. მათ არავითარი პირადი ქონება არ დაუგროვებიათ და თანამდებობის დაკარგვასთან ერთად კარგავდნენ ყოველგვარ პრივილეგიებს, თუ ასეთი საერთოდ გააჩნდათ.

პირიქით, ე.წ. „პარტიული მინიმუმის" პრინციპის მოქმედების პერიოდში (იყო ასეთიც) პარტიულ-დირექტორისა და უპარტიო-დირექტორის ხელფასს შორის საგრძნობი განსხვავება იყო უკანასკნელის სასარგებლოდ, იგულისხმებოდა, რომ პარტიული ვალდებული იყო იდეისათვის მეტი მსხვერპლი გაეღო და მეტი მომჭირნეობა გამოეჩინა.

კიდევ ვიმეორებ, მე არ ვეხები კომუნიზმის ან სოციალიზმის სამართლიანობა-უსამართლობის საკითხს. იგი იყო, როგორც ახლაა აღიარებული, აბსურდული, უტოპიური, არასამართლიანი. მით უფრო საკვირველი და განსაცვიფრებელია, რომ იოსებ ჯუღაშვილმა ასეთი რეჟიმი არათუ ერთ ქვეყანაში შეინარჩუნა, არამედ მსოფლიოში გაავრცო და შექმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, მას პატივს სცემდნენ და ყურს უგდებდნენ მთელ პლანეტაზე. რითი სჯობდა ის თავის შემცვლელებსა და მემკვიდრეებს? — სუფთა ხელებით, დიახ, დიახ, — სუფთა ხელებით.

მიუხედავად სიმკაცრისა, მიუხედავად დაღვრილი სისხლისა, მას სუფთა ხელები ჰქონდა — რა სისუფთავეზეც არის ლაპარაკი, ვფიქრობ, გასაგებია.

სტალინი და მისი თანამებრძოლნი პოლიტიკას კი არ თამაშობდნენ, ხელისუფლებისათვის იმ სიკეთეთა დაუფლებისათვის კი არ იბრძოდნენ, რასაც ის საერთოდ იძლევა, არამედ გულწრფელად ცდილობდნენ ხალხისა და ქვეყნისათვის. აი, მათი წარმატებების საიდუმლო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო კამპანიების ფრონტებზე. აღსანიშნავია, რომ ყველა დროის უდიდესი იმპერიის შემქმნელსა და სწორუპოვარ დიქტატორს თავის სიცოცხლეში არასოდეს არ ჰქონია საკუთარი სახლი და სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეებს ვერავითარი ქონება ვერ დაუტოვა.

საბჭოთა და საერთოდ, ყველა არსებული იმპერია კი დაანგრია შინაგანმა წინააღმდეგობებმა. ჩვენს შემთხვევაში ეს ძალა იყო კორუფცია, დიახ, კორუფცია, როცა ხელმძღვანელობამ დაივიწყა თავისი ბრძოლის მთავარი მიზანი, როდესაც მათ თავისი მოღვაწეობის მიზნად საკუთარი კეთილდღეობა აქციეს — სისტემაც დაინგრა და ქვეყანაც.

ისტორია იცნობს ბევრ ასეთ მაგალითს: — გალებმა დაიპყრეს რომი, აუღებელი დარჩა მხოლოდ კაპიტოლიუმი, სადაც იმყოფებოდა სენატი — რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო. ზურგში განადგურებული არმიის მაგივრად, ახალი არმია შეიკრიბა, აირჩიეს მთავარსარდალიც, მაგრამ რესპუბლიკის კანონების მიხედვით, მას არ ჰქონდა ამ თანამდებობის დაკავების უფლება სენატის თანხმობის გარეშე. ერთმა მებრძოლმა თავი გასწირა და მტრისგან ალყაშემორტყმულ კაპიტოლიუმში შეაღწია, რათა მიეღო სენატისგან დამტკიცებული ქაღალდი — რის შემდეგაც მთავარსარდალმა დაიწყო ბრძოლა და გაიმარჯვა. ფორმალობაა? — რომმა მთელი მაშინდელი მსოფლიო დაიპყრო, როგორ ფიქრობთ, ყოჩაღი ჯარისკაცების ან ჭკვიანი მხედართმთავრების წყალობით? ასეთები ხომ მოწინააღმდეგეებსაც ჰყავდათ? აქ მთავარი იყო დისციპლინა და კანონის უზენაესობა.

ახლა გადავხედოთ ჩვენს ახლო ისტორიას. დღეს ბევრი ლაპარაკია 1991-92 წლების მოვლენების პოლიტიკურ შეფასებაზე. ვფიქრობ, მოვლენების გასწრებად არ ჩამეთვლება, თუ ამ თემას მოწმისა და მონაწილის უფლებით ოდნავ შევეხები. ყველას გვახსოვს ბერძენი სოკრატეს გახმაურებული იგავი: — მელა რომ ტილებმა დააუძლურეს და ხევში ჩავარდა. მასთან მივიდა ზღარბი და დახმარება შესთავაზა: ტილებს ამოგაცლიო, რაზედაც მელამ უპასუხა: — „არა! ეგენი დიდი ხანია, რაც სისხლს მწოვენ, გამაძღრები არიან ჩემი სისხლით და დიდად აღარ მაწუხებენ, თუ მაგათ მომაშორებ, სხვები შემესევიან, მშივრები იქნებიან და რაც სისხლი დამრჩა, იმასაც მთლად ამომწოვენო". — დაახლოებით ასეთი საშიშროება იგრძნო საქართველოს მოსახლეობამ 90-იანი წლების დასაწყისში, როცა პრეფექტებმა რაიონების მართვა რაიკომის მდივნების მეთოდებით გააგრძელეს.

ისინი კი ნამდვილად უფრო მშივრები იყვნენ წინამორბედებზე. გაიხსენეთ, რაზე კამათობდნენ ე.წ. ბუნკერში მაშინდელი ფინანსთა მინისტრი

გაგრძელება მე-13 გვერდზე

# ენერგეტიკა იძირება! იძირება საქართველო!

მიმდინარეობს ენერგოობიექტების, კერძოდ, თბილსრესის, მუნიციპალური კომპანიების და ჰიდროსადგურების ყიდვა-გაყიდვა. როგორც ქონების მართვის სამინისტროს მიერ მოწყობილ ფორმალურ აუქციონზე დამსწრეთაგან შევიტყეთ, თბილსრესის გასაყიდი ფასი არ აღემატება 13 მილიონ დოლარს, რაც ამ სადგურის მიერ ერთ თვეში გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულების ნახევარს შეადგენს. ანუ ეს ნიშნავს თბილსრესის უფასოდ მიცემას. ასეთი დაბალი ფასი მისაღებია იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდგომში წარმოებული ენერგიის 50%-ის უფასოდ მიწოდებას. ასევე გახდა ცნობილი, რომ უცხოელმა მყიდველებმა მოითხოვეს გასაყიდი ჰიდროსადგურებიდან გამომუშავებული თითოეული კვტ სთ-ის სატარიფო ღირებულების გაზრდა 4-4,5 ცენტამდე, ანუ საერთო ღირებულება 1 კვტ სთ-ისა გაიზრდება 14-15 თეთრამდე, რაც, ბუნებრივია, მძიმე ხარკად დააწვება როგორც მოსახლეობას, ასევე მეწარმეებს, ანუ საქართველოში გამომუშავებული ელ. ენერგიის გადამხდელი ვერც მოსახლეობა იქნება და ვერც მეწარმეები. სწორედ ეს შედეგები იყო მიუღებელი ქართველი ენერგეტიკოსებისათვის, რომლებიც წინდაწინ აფრთხილებდნენ საზოგადოებას ყოველივე ამაზე, მაგრამ, სამწუხაროდ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ხმა არ აიმაღლა მის წინააღმდეგ მოწყობილ ესოდენ მნიშვნელოვან მოვლენაზე. რაც შეეხება პრეზიდენტს, პარლამენტს და შესაბამის სამინისტროებს, თავიანთი ბრძანებულებებით მიიღეს აშკარად დანაშაულებრივი გადაწყვეტილება, რაც ქართველი ერის წინააღმდეგ არის მიმართული. ენერგეტიკის ასეთი ფორმით გასხვისება საქართველოს ეკონომიკის დანგრევაა. და თუ არა ზემოთჩამოთვლილი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების პირადი დაინტერესება, სხვა მიზეზი რა შეიძლება იყოს? მაგრამ უბედურება მარტო ეგ არ არის. უბედურება უფრო ისაა, რომ ასეთივე ფორმით მოხდა ან ხდება საზღვაო ფლოტის, ავიაციის, რკინიგზის და ა. შ. დარგების გასხვისება. ავტორი ყველგან ერთი და იგივე ჰყავს, ფორმაც ანალოგიურია, ანუ ჯერ დარგს გააუფასურებენ, ჩაუგდებენ ხელში ვაიპატრიოტებს და შემდგომ მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებით მიიღებენ ქვეყნისათვის ყველაზე უარეს გადაწყვეტილებას.

არჩევნები ახლოვდება, პოლიტიკური პარტიები დიდ მზადებაში არიან, მაგრამ გაურკვეველია მათი დამოკიდებულება — ნუთუ მათი ინტერესი მარტო პარლამენტში მოსვლაა? ან რა აზრი აქვს ასეთ მოსვლას, თუ მათ ხელში არ იქნება ეკონომიკის მართვის მექანიზმი. ისინი ხომ ისევ უცხოური ვალების აღებმიცემობით დაკავდებიან. მათ ხომ საყრდენი ეცლებათ ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა. ნუთუ ჰგონიათ, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იოლად შეცვლიან საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ვფიქრობთ, მწარედ სცდებიან. ამიტომ, დროა თითოეულმა გადამწყვეტი ზომები მიიღოს. საკმარისი არაა მარტო ცარიელი მიმართვების გაკეთება. დღევანდელი ხელისუფლება იმდენად უპასუხისმგებლოა, რომ ასეთ მიმართვებს არაფრად აგდებს.



დროა თითოეულმა პარტიამ თავისი პოზიცია მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ამ საკითხთან დაკავშირებით. ახლა გამოჩნდება ბოლოს და ბოლოს ვინ ვინ არის, რითაც ამომრჩეველი იოლად მიხვდება, თუ ვის უნდა მისცეს ხმა.

ჩვენ კი, საქართველოს ბედკრული მოსახლეობა, უნდა მივხვდეთ, ჩვენი მშველელი რომ არავინ არის, ყველა ჯოხი ჩვენზე ტყდება. ჩვენ ან უნდა დავემორჩილოთ და წავიდეთ მონობისაკენ, ანდა, მიუხედავად შიმშილისა, უუფლებობისა, უნდა მოვიკრიბოთ ძალა და დავიწყოთ ბრძოლა ყველა საშუალებით, რაც კი მიღებულია ღმერთისა და ადამიანისაგან. ჩვენ სხვა არჩევანი არ დაგვიტოვეს. შეუძლებელი არაფერია. ქართველ ერს ამაზე უარესი მდგომარეობისათვისაც გაუძლია და გადაურჩენია ქვეყანა. თუმცა, დღეს უფრო გაძნელდა, იმიტომაც, რომ გვებრძვის უხილავი ე. წ. „მეხუთე კოლონა". მით უფრო მეტი სიფხიზლე და შემართება გვმართებს. ჩვენ შევძლებთ ჯერ თავის გადარჩენას და მერე თანამედროვე ცხოვრების დონეზე გასვლას, მხოლოდ საჭიროა თითოეულისაგან მეტი აქტიურობა, მეტი მოქმედება და მეტი პასუხისმგებლობა.

ორი ათასი წელი სრულდება, არც ეს მოვლენაა შემთხვევითი. მსოფლიოში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ჩვენ კი, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანას, მეტი მოვალეობა გვაკისრია და არა გვაქვს უფლება შეცდომები დავუშვათ. ჩვენნაირი მცირე ერები იოლად იღუპებიან — ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენ თუ სწორად ვიმოქმედებთ, დიდი შანსი გვაქვს ჯერ გადარჩენის, შემდგომ განვითარებისა. უნდა მივხვდეთ, რომ დღეს ჩვენ მოქცეული ვართ ბოროტი ძალების ბრჭყალებში. იოლად არაფერს დაგვითმობენ. ეს ძალები იმართებიან საზღვარგარეთიდან. მათ კავკასიის ათვისება აქვთ განზრახული, ოღონდ კავკასიელების გარეშე. ყოველივე ამის შესრულებას ცდილობენ ადგილობრივი კადრების გამოყენებით, რომლებიც ჯერ კორუფციაში ჩაითრიეს და მერე აკეთებინებენ იმას, რასაც უკარნახებენ. მათ სხვა გზა არა აქვთ. ასე რომ, ბევრი ჩვენი თანამემამულეც გადასარჩენია. თვითონ და მათი ოჯახის წევრები დიდ ცოდვაში არიან, ეს მათ სიკეთეს არ მოუტანს.

მივმართავთ ყველა სალად მოაზროვნეს, პარტიას, საზოგადოებას, პიროვნებას — გამოეხმაუროს აღნიშნულ საკითხს, ვიმსჯელოთ, მივიდეთ სწორ დასკვნამდე და რეალურად დავიწყოთ მოქმედება. დანით გასაჭრელი ნაჯახით არ უნდა გავჭრათ და რაც უფრო დავაყოვნებთ, მით უფრო ძნელი გახდება სიკეთისაკენ შემობრუნება.

**მ. ფირცხელანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარშალ ჟუკოვის პიროვნული ზიგზაგები

# ჟუკოვი ბერძნების ოჯახიდან უშვილებიათ ...

1974 წლის 19 ივნისს დიადი ქვეყნის დიდი შვილი მარშალი გიორგი კონსტანტინეს ძე ჟუკოვი გარდაიცვალა. სახელგანთქმული მხედართმთავრის ნაბოლარა ქალიშვილი მარია ამაოდ ეხვეწებოდა ა. გრეჩკოსა და ლ. ბრეჟნევს, მიეცათ ნება, რათა მამა რვა თვის წინ გარდაცვლილი დედის, გალინა ალექსანდრეს ასულის გვერდით, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაეკრძალათ. საბჭოთა კავშირის ლიდერს 16 წლის ობოლის თხოვნამ გული აუჩქროლა. „თვალცრემლიანმა და ყელში ბურთმობჯენილმა" ძლივს ამოილუღლუღა — „პოსოვეტუიუს ს ტოვარიშჩამი"-ო. ამხანაგებმა ითათბირეს და ... „ჩვენი დროის სუვოროვი და კუტუზოვი" ფერფლად აქციეს, კრემლის კედელში შეასვენეს. „რუსი გოლიათი" პარტიის, სამშობლოს, ხალხის საკუთრება იყო, კრემლის კედელი კი „განსაკუთრებით რჩეულთა" მუდმივი საგამოფენო სტენდი.

მალოიაროსლავეცის მახლობლად მდებარე სოფელ სტრელკოვკაში საშუალო ტანის, მკვრივად ჩასხმული ეგორკა თანატოლების „ატამანი" იყო მუდამ. გულადი და სამართლიანი ჭაბუკი თანასოფლელთა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას განათლებული ახალგაზრდის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი, რადგან სოფლის ეკლესიასთან არსებული სკოლის დამთავრების შემდეგ ქალაქის ოთხწლიანი სასწავლებელიც წარმატებით დაასრულა. ვოლგისპირას დაბადებულსა და გაზრდილ რუს ჭაბუკს რატომღაც „გრეკს" უწოდებდნენ. საკვირველი ის იყოს, რომ ეგორკა ზედმეტ სახელზე უარყოფითად არ რეაგირებდა, პირიქით, იმშვენებდა კიდეც.

1965 წელს ჟურნალისტთან საუბრისას გამოჩენილმა რუსმა სარდალმა გიორგი კონსტანტინეს ძე ჟუკოვმა დაუფარავად აღიარა, რომ სოფელ სტრელკოვკაში მცხოვრებმა უშვილო ქვრივმა ანუშკა ჟუკოვამ ბერძნების ერთ-ერთი გაჭირვებული ოჯახიდან ორიოდე თვის ბიჭუნა იშვილა, კონსტანტინე ჟუკოვად გაზარდა.

16 წლის გ. ჟუკოვმა ცხოვრებაში გზის გასაკვლევად მოსკოვს მიაშურა, ქურქების მკერავთან შეგირდად დადგა. მკვირცხლ ჭაბუკს ეს „პროფესია" მალე მობეზრდა და ბავშვობიდან ცხენზე უზომოდ შეყვარებული კავალერისტთა რიგებში მოხალისედ ჩაეწერა, შორეულ აღმოსავლეთში, ხალხინ-გოლში ამოყო თავი. მ, ტუხაჩევსკის, ი. უბორევიჩის, ი. იაკირის, ა. ეგოროვის, ვ. ბლიუხერისა და სხვათაგან სამხედრო საიდუმლოებას ჩასწვდა, მეომრის ნიჭი გამოიჩინა. მოსკოვს გენერალის ჩინით დაუბრუნდა.

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირის მთავარსარდლის მოადგილის პოსტით, მარშალის სამხრეებით, 67 საბჭოთა და უცხოური ორდენებით, მედლებით, ჯვრებითა და ვარსკვლავებით მკერდდამშვენებულმა დაასრულა, ფაშისტური ურდოსაგან ევროპის განმათავისუფლებლის ტიტული მოიპოვა.

1965 წელს საბჭოთა კავშირში ახლადჩამოყალიბებულმა ახალი ამბების სააგენტომ პარიზის გამომცემლობა „ოპერა მუნდი"-დან ტელექსი მიიღო. გამომცემლობა საბჭოთა კავშირის გამოჩენილ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებზე ოცტომეულის დაბეჭდვას აპირებდა. ფრანგი გამომცემლები რუს კოლეგებს თხოვნით მიმართავდნენ, რათა გ. კ. ჟუკოვის შესახებ მასალების შეგროვებაში დახმარებოდნენ. სააგენტომ ეს მისია ჟურნალისტ ანნა მირკინას მიანდო.

1957 წლის სკკპ ცკ-ის ოქტომბრის პლენუმმა გ. ჟუკოვი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გაანთავისუფლა, დამსახურებულ პენსიაზე გაუშვა. „მეორე მსოფლიო ომის მომგები" მარშალი ყველამ ერთბაშად მიივიწყა, პრესა მის მიმართ დამუნჯდა, ნაცნობები მასზე ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

„ნ. ხრუშჩოვს ჩემი კონკურენციის ეშინოდა. მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარების მთავარსარდალი დუაიტ ეიზენჰაუერი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს. ნიკიტა სერგის ძეს ეგონა სახელწიფოს მეთაურის პოსტს შევეცილებოდი. ამიტომ თავიდან მომიშორა. მანამდე იყო მომენტი, როდესაც გაუჭირდა და არმიით მის გვერდით დავდექი. ეეჰ, შევცდი. 1953 წლის 26 ივნისს ნ. ხრუშჩოვის თხოვნით ლ. პ. ბერია კრემლში დავაპატიმრე და ლეფორტოვოს გარნიზონის ჰაუპტვახტში ჩავსვი. იქიდან სანდო ოფიცრებისაგან შემდგარი გაძლიერებული ბადრაგით მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ეზოში მდებარე ბუნკერში გადავიყვანე. ოთხივე მხრიდან ტანკები დავუყენე. ადრე ლ. ბერიას ჩემი დაჭერა უნდოდა, მაგრამ ი. სტალინმა დამიცვა — „ჟუკოვს არ მოგცემ. მე ვიცნობ მას. მოღალატე არ არის"-ო.

იბერიელმა კოლხი მოიმდურა და ელადელი დაიცვა, მან კი ...

ჟურნალისტი ა. მირკინა ერთი თვის მანძილზე გ. ჟუკოვის მისამართს მოსკოვში ამაოდ ეძებდა. თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში მისი მისამართი „არ იცოდნენ". ცნობათა ბიუროების თანამშრომელთა სახეები „არ შემიძლიას" და შეშფოთებას გამოხატავდნენ. მეორე თვის ათი დღეც მიიწურა. ერთ-ერთმა კოლეგამ გაბედა და ა. მირკინას საიდუმლო გაანდო — „მარშალის ქალიშვილი ელლა, პატნიცკზე, საკავშირო რადიოკომიტეტში მუშაობს"-ო.

რადიოჟურნალისტი პრესის წარმომადგენელს უნდობლად შეხვდა. 40 წუთის მანძილზე გამომძიებლის შესაშური თვისება გამოამჟღავნა. ბოლოს კოლეგები დაზავდნენ.

ორი კვირის შემდეგ, როგორც იქნა, ელლას სატელეფონო ზარის ხმა გაისმა. მეორე დილით 10 საათსა და 30 წუთზე ანნას სახლის სადარბაზოს წინ „ზის-110" იდგა. მანქანა რუბლევკის გზატკეცილით მოსკოვის სიახლოვეს მდებარე აგარაკების კომპლექს სასნოვკისაკენ გაქანდა.



მარშალი სტუმარს სახლის ზღურბლთან შეეგება, შინ შეიპატიჟა: „1942 წელს მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლების წარმატებით დასრულების შემდეგ ი. ბ. სტალინი შემეკითხა:

— ამხანაგო ჟუკოვ, თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— სანადიროდ, სათევზაოდ დავდივარ.

— აგარაკი გაქვთ?

— არა, ამხანაგო სტალინ. არა მაქვს.

— მდაა. ეს ცუდია ...

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან უცნობი პირები მოვიდნენ და მოსკოვის სიახლოვეს აგარაკის ამორჩევა შემომთავაზეს. მე ეს მომეწონა. ბაღი სავსეა ხილის ხეებით. მოსკვა-რეკაც ახლოსაა. სახლი ი. სტალინმა მუდმივი სარგებლობის უფლებით მომცა, მაჩუქა. შეხედეთ, ავეჯს ისევე როგორც ორგანიზაციებში, საინვენტარიზაციო ნომრები აკრავს. დარწმუნებული ვარ, როგორც კი მოვკვდები, ჩამომართმევენ. ოჯახის წევრებს იმ დღესვე გაასახლებენ."

გ. ჟუკოვი არ შემცდარა. მისი დაკრძალვის დღეს მის ქალიშვილ მარიას და სიდედრ კლავდია ევგენის ასულს განუცხადეს, რომ აგარაკი რაც შეიძლება მალე უნდა გაეთავისუფლებინათ.

მასზე წიგნის გამოცემამ გ. ჟუკოვი აღაფრთოვანა, თუმც წინადადება ჭოჭმანით მიიღო. მას კარგად ესმოდა, რომ მისი საქვეყნოდ განდიდება ნ. ხრუშჩოვსა და კომპარტიის მთავარ იდეოლოგს, პოლიტბიუროს წევრ მ. სუსლოვს გაალიზიანებდა, გადარევდა. მოხუც ადამიანს დასაკარგავი არაფერი ჰქონდა. სამხედრო სტარტეგიებში გამობრძმედილმა გადაწყვიტა პოლიტიკოსებს შეჭიდებოდა, ბედი ისტორიულ მწერლობაში ეცადა.

„მოგონებები და ფიქრები"-ს თავდაპირველ ვარიანტში დილეტანტის უშუალობით იგონებდა: „ი. სტალინი რთული, წინააღმდეგობებით სავსე, მაგრამ ჭკვიანი და ძლიერი პიროვნება იყო. მართალია ომის დასაწყისში სტრატეგიულ საკითხებში ცუდად ერკვეოდა, მაგრამ ნათელმა გონებამ, აზროვნების ლოგიკამ, საერთო ცოდნამ მას კარგი სამსახური გაუწია. მალე ძლიერ მთავარსარდლად აქცია. ი. სტალინი ზერელობას, დაახლოებით გაანგარიშებებს ვერ იტანდა. მომავალი ოპერაციების საკითხებს, გეგმებს ყოველმხრივ სწავლობდა. თავისთან სამხედრო სპეციალისტებს იწვევდა, უსმენდა. ამბობენ, შეკამათებას, შეპასუხებას ვერ იტანდაო. ტყუილია. ჩვენს აზრს იზიარებდა, გვეთანხმებოდა, წადით, თქვენი შეხედულებისამებრ იმოქმედეთ — და იქვე დასძენდა, — პასუხს საკუთარი თავით აგებთო. მისი სიფრთხილე თავდაზღვევის, ზედმეტი დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით იყო გამოწვეული".

როგორც კი პირველ ანაბეჭდებს პოლიტბიურო გაეცნო და „მწერალს" თავიანთი „მოსაზრებები" გაუზიარეს, გ. ჟუკოვმა უკან დაიხია — „ი. სტალინის მოღვაწეობა ორი მხრით უნდა განისაზღვროს. პირველი — მისი როლი როგორც უმაღლესი მთავარსარდლისა და მეორე — მისი წინააღმდეგობრივი, ფიცხი, სასტიკი ხასიათის შედეგები".

დიდ მარშალს დიდი მიზნები ამოძრავებდა. მასზე „მოარული ხმები", რომ ის თავის ხელქვეითებს მკაცრად, სასტიკად ეპყრობოდა, „ზემოდან მომდინარეობით" უნდა შეერბილებინა. როგორც ყველა სამხედრო, ისიც „ბრძანების აღმსრულებელი" იყო მხოლოდ (!).

წიგნისათვის არქივებიდან მასალების მოძიებამ, სურათების შერჩევა-გადაბეჭდვამ, მარშალის მოგონებების ჩანაწერების კორექტურამ 9 წელს გასტანა. ამასობაში ნ. ხრუშჩოვის სავარძელში ლ. ბრეჟნევი ჩაბრძანდა. ახალმა გენსეკმა „მწერალს" ახალი პრეტენზიები წაუყენა — წიგნში მე რატომ არა ვარ მოხსენიებულიო(!).

მარშალმა, საბჭოთა კავშირის ოთხგზის გმირმა, პრინციპულმა, შეუდრეკელმა გიორგი კონსტანტინეს ძემ, ადრე, გამომცემლობის მუშაკებისაგან შეთავაზებულ წინადადებაზე „სტალინგრადის ბრძოლა", ახალი დროებიდან გამომდინარე, „ბრძოლა ვოლგაზე"-თი შეეცვალა, მტკიცე უარი განაცხადა — „ომის დროს მე მასეთ ქალაქს არ ვიცნობდი"-ო. ამჟამად კი ყოფილ „კოლეგას", დიდ სტრატეგს სწრაფად დაუზავდა, ხათრი ვერ გაუტეხა.

ხელნაწერი ახალი, ისტორიული „ფაქტებით" შეივსო — „მე-18 არმიაში გენერალ კ. ლესელიძესთან კონსულტაციების ჩასატარებლად მისულმა მარშალმა ენერგიული ოფიცერი, პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ბრეჟნევი მოიკითხა. მასთან გასაუბრება, მისი აზრის მოსმენა მოისურვა. მუდამ მოუცლელი პოლკოვნიკი ადგილზე არ დახვდა. „მცირე მიწაზე" იმყოფებოდა, სადაც მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა."

1971 წლის მარტში სკკპ XXIV ყრილობა იხსნებოდა. გ. ჟუკოვი დელეგატად მოსკოვის ოლქმა აირჩია. საზოგადოებისაგან, კოლეგებისაგან მივიწყებულს შუბლი გაეხსნა, გახალისდა. ახალი მუნდირი შეაკერინა. ზედ საგულდაგულოდ გაკრიალებული ორდენები და მედლები დააბნია. დელეგატი მშვიდე ცაზე იყო, ახალ მიზნებს ისახავდა, მაგრამ ...

მძღოლი ხელცარიელი დაბრუნდა, სტუმრებისათვის განკუთვნილი საშვი მარშალის მეუღლეს არ გამოუწერეს. გალინა ალექსანდრეს ასულმა გენსეკს ბინაში დაურეკა:

— ნუთუ მარშალი ყრილობაზე აპირებს მოსვლას?

— დიახ, ის ხომ დელეგატად აირჩიეს.

— ვიცი, მაგრამ მისთვის ეს მძიმე დატვირთვაა. ოთხი საათის განმავლობაში ადექ, დაჯექ, ტაში დაუკარი. მე არ ვურჩევ. მან ხომ სულ ახლახანს მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა.

— გიორგი კონსტანტინეს ძე ფიქრობს, რომ ყრილობაზე მისვლა, ხალხში გამოჩენა რეაბილიტაციაა მისთვის.

— რადგან დელეგატად აირჩიეს, უკვე რეაბილიტირებულია — განმარტა პირველმა და ყურმილი დაკიდა."

„ვილაცის" წყალობით მარშალის სახლს მისი ყოფილი მკურნალი ექიმები, სამხედროები, სხვადასხვა დარგის მოხელეები მიაწყდნენ. ყოველი მათგანი გიორგი კონსტანტინეს ძეს ურჩევდა, ჯანმრთელობას გაფრთხილებოდა.

დიდმა სარდალმა მწვავე დარტყმა იგემა. მას ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა. ფარ-ხმალი დაყარა.

**გია ტორიაშვილი**

# საპარლამენტო არჩევნების ბედს უმუშევრები გადაწყვეტენ

საქართველოს ბედ-იღბალი სასწორზეა შეგდებული. მას, მრავალგზის ნატანჯს, ძნელბედობის ჟამი უდგას დღესაც. ქვეყანა, ხალხი შველას ითხოვს. მისი დაგლეჯილი სხეული თითოეული ქართველისაგან კვლავ შეერთებასა და მკურნალობას მოითხოვს. აღარ არის ის დრო, რომ ვიფიქროთ და მით უმეტეს ვიძახოთ: „ეს რა ჩემი საქმეაო!" მთავარი პოლიტიკური გამოცდა კარზეა მომდგარი, ამიტომაც ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს იმისთვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ, ჯერ საპარლამენტო, ხოლო მომავალ წელს კი საპრეზიდენტო არჩევნებში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება გააკეთოს და სასიცოცხლოდ აუცილებელი რეალური გზა გამოძებნოს.

ჩვენი საუბრის თემა საპარლამენტო საარჩევნო კამპანიაა და მის ფართო სპექტრში ამ ეტაპზე შემჩნეულ შუქ-ჩრდილებში გარკვევა-გათვითცნობიერება.

შეიძლება დღეს იმის თქმა, თუ როგორი ახალი პარლამენტი ენდომება ხალხს, მოსახლეობას? ვფიქრობთ, შეიძლება. მართალია, ძნელია, ზედმიწევნით განჭვრიტო როგორი იქნება მომავალი პარლამენტი, მაგრამ ის კი აშკარაა და უდავო, რომ როგორიც ამჟამად გვყავს, ასეთი პარლამენტი იოტისოდენადაც არ ენდომება მოცარიელებულ, უმუშევარ, აგონიაში ჩავარდნილ ხალხს. არსებული პარლამენტი, ან მისი მსგავსი რომ უნდოდეს ხალხს, მაშინ არც იქნებოდა ასეთი წინასაარჩევნო აჟიოტაჟი, ცენტრში და ადგილებზე ხელმძღვანელი პარტიული თუ სახელმწიფო მუშაკების, თავად პარლამენტის წევრების, საზოგადოებისათვის ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანების, ბიზნესმენების აზრების, შეფასების, მისწრაფებების, სურვილების ასეთი მრავალფეროვნება, შეიძლება ითქვას, სიმძაფრე და ზოგჯერ აშკარა დაპირისპირებაც კი. რომ უნდოდეს ხალხს არსებული პარლამენტის შენარჩუნება კვლავ, ან მისი მსგავსის არჩევა, მაშინ ბუნებრივია საზოგადოებაში, სახელმწიფოში ასეთი გაქანების და სიმწვავის პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-კონცეპტუალური დუღილის პროცესიც არ იქნებოდა. სწორედ ეს პროცესი და მისით გამოწვეული სიმძაფრე, პირდაპირობა, განსაზღვრავს და მიანიშნებს მოსახლეობის უმრავლესობის იმ დიდ სურვილზე, რომ მან ნამდვილად სხვაგვარი, სავსებით განსხვავებული პარლამენტი იხილოს ნოემბრის თვეში. ეს იქნება ის საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც თავის აღმასრულებელ სტრუქტურებთან ერთად ძლიერ ახლოს იდგება მოსახლეობასთან, შეიძლება ითქვას, თავად ხალხის ცხოვრების შუაგულში, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით დღევანდელ პარლამენტზე.

ბოლო საპარლამენტო პერიოდში ქვეყანაში არსებული ყველა პარამეტრით აშკარაა, რომ პარლამენტის ძირითადმა კორპუსმა ხალხის, მოსახლეობის ნდობა და იმედები ვერანაირად ვერ გაამართლა. მათგან კი სატელევიზიო-საგაზეთო ინტერვიუებში, ან საზოგადოებასთან ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე თავის მართლების არგუმენტები ერთობ უსუსური და უნიათოა დღევანდელობის ფონზე. ამიტომაც მათ გული არ უნდა დაწყდეთ იმაზე, თუკი ისინი „სამოთხის გასაღებს" დაკარგავენ და დროულად გამოძებნიან სხვა „სამოღვაწეო ასპარეზს". უკეთეს შემთხვევაში, ისინი თუკი პატრიოტებად სთვლიან თავს, შეუძლიათ სამშობლოს რიგით ჯარისკაცებად დაუდგნენ ისე, როგორც თვით გაჭირვებული, მაგრამ საკმაოდ განათლებული, სამშობლოს ბედით დამწუხრებული ის ქართველები, რომლებიც შეჭირვების ჟამსაც კი „არ სცვლიან თავის სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედ".

მოსახლეობის ჯანსაღ ფენას კარგად ესმის, რომ პარლამენტის სახეს მისი თითოეული, ცალკე აღებული დეპუტატი განსაზღვრავს და ქმნის. ვინ და როგორი უნდა იყოს ეს ხალხი? უპირველესად ამომრჩეველმა, ხალხმა, კონკრეტულ შემთხვევაში საარჩევნო ოლქის ხმოსანმა მოქალაქემ ზედმიწევნით, ღრმად თუ არა საკმაოდ კარგად უნდა იცოდეს ამ კაცის ვინაობა, მისი ბიოგრაფიის ნიუანსები, მისი ქართული კაცური ბუნება. თუ არაქართველია, მაშინ მისი დამოკიდებულება, პატივისცემა, გულისხმიერება ჩვენი ქვეყნის, მისი სარწმუნოების, მიწის, ხალხისა და ენისადმი. გადაკეთებული გვარებით, რჯულგამოცვლილნი და მოჩვენებითი, ეროვნებაშეცვლილი პირები, როგორი განათლებულნიც და შეუცვლელნიც არ უნდა იყვნენ, არ უნდა მოხვდნენ პარლამენტში, რადგან ყველაზე საშიში ჩვენი ერისთვის სწორედ გვარ და რჯულ გამოცვლილნი არიან და არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, ასპარეზზე დღეს ფართოდ, შეიძლება ითქვას, მასობრივად გამოჩნდნენ ე. წ. „ახალი ქართველები", რომლებიც ფულით გატენილი ტომსიკებით აღწევენ „საქმიან წარმატებებს", რომლებიც ბიზნესის სფეროში პირველობას აღარ სჯერდებიან და ახლა საზოგადო მოღვაწის სახელის დაუფლების დაუოკებელი ჟინი შეჰყრიათ. სხვათა შორის პარლამენტის 1995 წლის არჩევნებში ეს ხალხი ან საერთაოდ არ, ან ნაკლებად ჩანდა. ეტყობა ძალ-ღონეს იკრებდა პოლიტიკური ნახტომისათვის. ეს უკვე ახალი მოვლენაა ქართული საზოგადოე-

გაგრძელება მე-13 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 გვერდიდან

# სუფთა ხელები

და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

გაიხსენეთ, დაინახეს რა, რომ ეროვნული ხელისუფლების პირობებში საკუთარ ამბიციათა დაკმაყოფილების უკეთესი შანსი შეექმნათ, ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერები ერთხმად აცხადებდნენ, რომ არასოდეს ეჯერათ კომუნიზმისა და პარტიაში მხოლოდ იმიტომ შევიდნენ, რომ ოჯახი ერჩინათ... და დადგა გრძელი რიგი ჰელსინკის კავშირის მისალებში, ამ კავშირში შესვლის მსურველებისა, ზოგმა მოასწრო იქ გაწევრიანება, ზოგმა ვერა, იგივე ხალხი 1992 წლის 6 იანვარსვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში განთავსებულ მხედრიონის თავმჯდომარის კაბინეტთან იდგა რიგში, რათა თანადგომა დაედასტურებინა და სამსახური შეეთავაზებინა — „ოჯახის სარჩენად". იმ მომენტში ასე იყო საჭირო, ჩათვალა იმ ხალხმა.

ეროვნულ მოძრაობას მთელმა საქართველომ დაუჭირა მხარი, მაგრამ პირველი ენთუზიაზმი და იმედები ძალიან მალე გაუცრუვდათ და სრულიად გულგრილად, პასიურად ადევნებდნენ თვალს თბილისის ცენტრში ორი დაპირისპირებული დაჯგუფების ურთიერთანგარიშსწორებას. ეს არ იყო სამოქალაქო ომი და, რა თქმა უნდა, არც სახალხო აჯანყება, ეს იყო ომი სახელისუფლებო სკამებისათვის.

დღეს, დღეს რა ხდება? — უარესი! დღეს ის ხალხი კვლავ ჩვენი ქვეყნის სათავეშია. არც კომუნისტი, არც ფაშისტი, არც სხვა ნებისმიერი იდეის მიმდევარი და მქადაგებელი ისე საშიში არ არის, როგორც ფარისეველი. ყველასთან შეიძლება დიალოგიც, დარწმუნებაც და გადარწმუნებაც, მაგრამ რა უნდა მოუხერხო ფარისეველს, კაცს, რომელიც დროისა და გარემოების მიხედვით ხან კომუნისტია, ხან დემოკრატი, ხან ათეისტი, ხან მორწმუნე? და სინამდვილეში, არავითარი იდეის არ სჯერა, გარდა საკუთარი კეთილდღეობისა.

საფრანგეთის რევოლუციის ერთ ისტორიკოსს მოჰყავს ასეთი ეპიზოდი: — მოხუცი ტალეირანი თავის შვილიშვილთან ერთად ზის თავის დიდ სასახლეში, გარედან კი ისმის სროლის ხმები, ხელისუფლებას ოპოზიციონერები უტევენ — ზუსტად ის სურათია, რაც იყო თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს. უცებ გაისმის ზარბაზნის ხმა — „აი, ზალპიც მისცეს, — ეტყობა ჩვენები იმარჯვებენ!" — წარმოსთქვა ტალეირანმა. — „რომლები არიან ჩვენები, ბაბუ?" — შეეკითხა შვილიშვილი — „ჩუმად, შე მამაძაღლო, როგორ ბედავ ასეთი შეკითხვის დასმას? — დაუყვირა ტალეირანმა.

დიახ, ეს არის ფარისევლის, მედროვის კლასიკური მაგალითი! სამწუხაროდ, ჩვენში ასეთი ძალიან ბევრი აღმოჩნდა, მექრთამეები და მედროვეები კი მხოლოდ დამანგრევლები და დამაქცევრები არიან.

უსუფთაო ხელებით არა მხოლოდ ქირურგიულ, არამედ არანაირ ოპერაციას წარმატება არ უწერია.

ვინ დაანგრია და გააჩანაგა ჩვენი ქვეყანა, ვინ გაძარცვა ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა და ა.შ.? — დირექტორებმა, საკუთარმა ხელმძღვანელობამ, ვისი ძირითადი საზრუნავიც ფულის შოვნა იყო. იგრძნეს თუ არა ამ მიზნის უმტკივნეულოდ, დაუსჯელად მიღწევის შესაძლებლობა, გააკეთეს კიდეც. ის ქარხანა, ფაბრიკა თუ ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელობამაც ეს არ იკადრა, კიდეც დარჩება და დღესაც მწყობრშია.

აგერ უკვე მორიგ არჩევნებზეა ლაპარაკი, ხალხს საშუალება ეძლევა თავად აირჩიოს ხელისუფლება, მაგრამ ხალხმა დაკარგა ყველასი და ყველაფრის იმედი, იგი ყველამ მოატყუა და ახლა ფიქრობს, რომ მისი ხმა არაფერს წარმოადგენს და მხოლოდ ფული წყვეტს ყველაფერს — გააყალბებენ! მისი ხმა რომ წყვეტდეს კიდეც რაიმეს, მას არ შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ ეს პარტია სხვა პარტიას სჯობია, იგი დარწმუნებულია და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ თვით პარტიათა დასახელებებიც მხოლოდ აბრევიატურაა და მეტი არაფერი. და რომ დემოკრატიული დასახელებების პარტიებში ხშირად მეტი დიქტატორული სტრუქტურებია, ვიდრე მონარქისტულ ან ნაციონალისტურ და ა.შ. პარტიებში და რომ თითოეული მათგანის მიზანი ერთია — „ოჯახის რჩენის" პრივილეგირებული უფლება, რის საშუალებასაც სახელისუფლებო სკამი იძლევა. აბა, ერთი სცადეთ და გაარკვიეთ, ვინ-ვინ არის! მავანთ თავი მემარჯვენეებად მოაქვთ, როცა ეს მომგებიანია, ამავე დროს, მემარცხენეებთან იბლოკებიან და ნამდვილ მემარჯვენეებს უპირისპირდებიან. ხალხი ამას კარგად ხედავს.



აი, ახლახანს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები — საკრებულოები აირჩიეს, საკრებულოებში რამოდენიმე სხვადასხვა მიმართულებისა და იდეოლოგიის პარტია მოხვდა და რაზე მოუვიდათ დავა და შეხლა-შემოხლა? — პრინციპებზე? — არა, სკამებზე, კაბინეტებზე და შემოსავლიან თანამდებობებზე, ე.ი. ყველას მიზანი ერთი ყოფილა.

როცა ცხოველების ჯოგი ბალახობს, ბელგა ფხიზლობს და სდარაჯობს. ბელგამაც რომ ნებისმიერი მათგანივით არხეინად ჭამა დაიწყოს, ყველასათვის გასაგებია, რით დამთავრდება იმ ჯოგისა და მათი ბელადისათვის ასეთი საქციელი. ადამიანებს რაღა მოგვდის?

როდესაც კაცს უკიდურესი პესიმიზმი და უიმედობა შეიპყრობს, ძნელი აღარ არის მისი მომავლის წინასწარმეტყველება, როდესაც ერს — ქვეყანას შეიპყრობს უიმედობა, არც ამ შემთხვევაშია ძნელი ასეთის მომავლის განჭვრეტა, ამიტომ სანამ ჯერ კიდევ დროა, საჭიროა განგაშის ზარების ჩამოკვრა, საჭიროა ხმამაღლა შეძახება.

— „შეუძლებელია ხელისუფლების წევრი იყო და სუფთა იყო, როცა მათთან თამაშობ, ის თამაში უნდა ითამაშო, რასაც ყველა... სხვა შემთხვევაში მათთან არ გათამაშებენ — ამბობს უიმედო პესიმისტი, ჩვენ კი ვიცით ხალხი, ადამიანები, ცოტანი, მაგრამ რეალური, რომელთაც გაუძლეს ცდუნებას და არ ითამაშეს ჭუჭყიანი თამაში. მათ ფულის, ქონების, თანამდებობის მოხვეჭას არჩიეს პატიოსანი კაცის სახელი — აი, ნამდვილი სალიდერო ხალხი. დონკიხოტებია? — შეიძლება, თუმცა მექრთამეს, ყაჩაღსა და კორუმპირებულს დონკიხოტიც სჯობია, მაგრამ ამავე დროს ჩვენ სერვანტესზე უკეთესი დამრიგებელი გვყავს, რომელიც გვასწავლის, რომ — „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა".

კორუფცია — ჭუჭყია და სიბინძურე, რომელმაც მოიცვა მთელი ჩვენი ცხოვრება, ამ ფონზე განა ერთობ თვალსაჩინო არ არის, რომ რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ბატონი რეზო შავიშვილი მთავრობის სხდომებზე ისე გამოიყურება, როგორც დენდი ბოსელში. ის, რა თქმა უნდა, უმცირესობაშია, მაგრამ მადლობა ღმერთს, მარტო არ არის და სწორედ ეს იძლევა ჩვენი ოპტიმისტური მომავლის რეალურ გარანტიას.

სუფთა ხელებით — ყველაფრის აშენება შეიძლება.

სუფთა ხელები — ეს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ერთადერთი ხსნაა.

სუფთა ხელებს — გავუწოდოთ ხელი!

**იგორ პატარიძე**

# საპარლამენტო არჩევნების ბედს უმუშევრები გადაწყვეტენ

მე-12 გვერდიდან

ბრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდგომ და შემდგომ არჩევნებში ხალხის ეს ნაკადი სულ უფრო და უფრო იმძლავრებს, ხელისუფლების დაუფლების სურვილს უფრო დაურიდებლად და მძაფრად გამოავლენს.

მთავარია ვიკითხოთ, — რა გაუკეთებიათ მათ ხალხისთვის, ან ქვეყნისათვის. წინასაარჩევნო მოკლე დროში ერთჯერადი, თავმოსატყუებელი რაღაც საქველმოქმედო, თუ ჰუმანიტარული აქციები დიდი ვერაფერი ბედენაა, ეს ხომ ხალხის თვალებში ნაცრის შეყრაა.

შენ, მითხარი ხალხის არჩეულო დღევანდელო პარლამენტარო, თუ რაიონის გამგებელო, ან პარლამენტზე დაქვემდებარებულო სხვა თანამდებობის პირო: რა სარგებელი მოუტანე ქვეყანას, მოყვასს, გაჭირვებულ-გალატაკებულ, შეგინებულ-გალანძღულ შენს თანამოძმეს ამ 3-5-7 წლის წინ, ან მის შემდგომ, რა საფანელით ცდილობ ხალხის წინაშე წარდგომას? მოდი, აქედან დავიწყოთ პიროვნების კაცურკაცური ღირსებების ათვლა და არა ამ გაგანია ზაფხულში ვინ რით გამოიჩინა თავი, რა არის რომ ორ-სამ თვეში წინა საარჩევნო პერიოდში ამომრჩეველს შეახსენოს თავი, რათა ამომრჩეველთა უმეტესობამ ოლქში ამ კაცს მიანიჭოს უპირატესობა. რა გამოვა მერე? რა კაცი დაჯდება თავმოქონილი ამომრჩევლის ხელდასხმით პარლამენტში? რა შემადგენლობის პარლამენტს მივიღებთ და რა სახეს მიიღებს თავად იგი? რა თქმა უნდა ეს იქნება კვლავ ფარისევლების, პოპულისტების, დემაგოგების, ძალათი ფილანტროპების პარლამენტი, რომელიც ბევრით არაფრით არ იქნება განსხვავებული ამავე პრინციპებით არჩეული წინამორბედი პარლამენტისგან. ასე რომ ახალი კრებული სანიმუშო კი არა სანუგეშო ვერაფრით ვერ იქნება კაცისთვის. სწორედ ამაზე იტყვიან: „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო".

ყველა მაჟორიტარ კანდიდატს, მითუმეტეს პარტიულ ბლოკებიდან წარმოდგენილებს, რეალურად უნდა მოეკითხოთ ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის ისეთი მეტად მტკივნეული და სისხლხორცეული საკითხისადმი, როგორიცაა უმუშევრობა. იგი სწირავს, აბეჩავებს და ათახსირებს ჩვენს საზოგადოებას, სახეს უკარგავს ადამიანებს, საარსებო კაპიკების საძიებლად რყვნის მორალს, მამაკაცთა, განსაკუთრებით სუსტი ნებისყოფის მქონე დიდ ნაწილს ალოთებს, ამკვიდრებს უიმედობას, პესიმიზმს, უბიძგებს სხვადასხვა კრიმინალური მოქმედებებისაკენ.

დეპუტატობის კანდიდატს უნდა მოეკითხოს აქვს თუ არა უკვე წინასწარ რაღაც პროგრამის ან პროექტის მსგავსი უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე. კანდიდატის დეპუტატად არჩევის შემდეგ ყოველ ექვს თვეში, ან წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ქვეყნდებოდეს ნებისმიერი დეპუტატის ანგარიში მოსახლეობის შრომითი დასაქმების სფეროში მისი წვლილის შესახებ, ახალი სამუშაო ადგილების გამოძებნა-გახსნის შესახებ. ზოგს ეს შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ ამაოდ. დეპუტატი რომ ხალხის მსახურია და ამ მსახურებაში პირველ რიგში თავად მისი ამომრჩევლების შრომითი მაქსიმალურად დასაქმების მიღწევაა. ეს იქნება მისი ნამდვილი ზრუნვა ხალხზე პირდაპირი გაგებით. სამწუხაროდ დღევანდელი პარლამენტის დეპუტატებს მოსახლეობის შრომითი დასაქმების საკითხი მართლაც „დიდ ტვირთად" აწევთ ეს ოთხი წელია. არა და რას ირჯებოდნენ. განა მმართველი პარტია და მისგან წამოყენებული პარლამენტარები არ ჰპირდებოდნენ ხალხს მილიონ სამუშაო ადგილს? ეს ხომ ყველაფერი ფუჭი იყო და მეტი არაფერი? ხალხს, მოსახლეობას დღეს ნამდვილად აღარ სურს, რომ კვლავაც ისეთი დეპუტატები აირჩიონ, რომლებიც უმუშევრობის საკითხს ამჟამინდელი პარლამენტის წევრების საზომით მიუდგებიან კვლავაც, მით უმეტეს საერთოდ დაივიწყებენ ამ მწვავე სოციალური პრობლემების არსებობას ქვეყანაში. არადა არიან როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში და რაიონებში მოზრდილი ოჯახები 5-7 კაცის შემადგენლობით, რომელთაგანაც ყველა უმუშევარია და უმუშევრები არიან არა იმიტომ, რომ ზარმაცები არიან, ან პროფესიები არ გააჩნიათ, სულაც არა, უბრალოდ ხელისუფლების უპასუხისმგებლო პოლიტიკის გამო მოისპო სამუშაოები. ხელისუფლების, სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა და ამოცანაა მოსახლეობის შრომითი დასაქმება, სისტემატიური ხასიათის მიცემა ახალ-ახალი სამუშაოების შესაქმნელად. აკეთებს კი დღევანდელი ხელისუფლება — გნებავთ ცენტრში, გნებავთ რეგიონებში ამას? სულაც არა, ან ძალიან შეუმჩნევლად, რაც ზღვაში წვეთია და იმასაც ალბათ ახლობლებზე, უმუშევრობასთან და მისგან გამომდინარე უარყოფით შედეგებთან მიმართებაში გაკვირვებასა და სამართლიან აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქვეყანას, ხალხს, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ძველ და ახალ რეჟიმებში ყოველმხრივ ნაცადი, დიდი დიპლომატი და მსოფლიო მნიშვნელობის მქონე პოლიტიკოსი ხელმძღვანელობს, უმუშევრობა, შიმშილი, სილატაკე და უსასოობა უღებს ბოლოს. რას შეიძლება შევადაროთ ეს მდგომარეობა? სადაა ლოგიკა; ხელმძღვანელი ასეთი — ხალხი ისეთი, გუნდის მწვრთნელი ასეთი აღიარებული ხელმძღვანელი — თავად გუნდი კი ულიმლამო, უნიათო, კლასის დამრიგებელი თითით საჩვენებელი — თავად კლასი კი წყალწაღებული, გემის კაპიტანი „ძველი მგელი", ხოლო თავად გემი ჯართში ჩასაბარებელი და ა. შ. როდესაც ასეთი ლიდერის ხელში წლების მანძილზე შექმნილი ჯადოსნური წრიდან გამოსვლას ვერ ახერხებს ქვეყანა, რომელიც უფრო იბურდება და იხვანჯება, მაშინ მოსახლეობამ, ამომრჩეველმა სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს და ახალ თავკაცზე იფიქროს. ამის დროც მალე მოვა, — მომავალი წლის აპრილში და როგორც იტყვიან ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია.

ერთ ტენდენციას მინდა გავუსვა კიდევ ხაზი, რომელიც წინა არჩევნებში საკმაოდ გამოიკვეთა. გულდასაწყვეტია ის გარემოება, როცა არჩევნების მზადებისას ხელისუფლებას და მმართველ პარტიას სხვა ეროვნების წარმომადგენლების იმედი უფრო აქვთ, ვიდრე თავისი ერის შვილთა თანადგომისა. ნუთუ ქართველ კაცს გონება ისე დაუჩლუნგდა და თვალთ დაუბრმავდა, რომ ვერ არჩევდეს კარგსა და ცუდს, ნუთუ შეფასების უნარმა ისე უღალატა, რომ მომქმედი მმართველი პარტიის ხელმძღვანელების მიმართ სწორ და შესაფერის ნიშანს ვერ სვამდეს და ამის გამო ქართული მიწისა და ერის წინამძღოლთა არჩევის ბედი ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა დროს დამკვიდრებულ უცხოტომელებს მიანდოს? რატომ უნდა ჰქონდეს ქვეყნის მმართველ პარტიას და თუნდაც ჩვენს პრეზიდენტს სხვა ეროვნების იმედი და არა ქართველი მისივე ჯიშისა და გენისა? ეს ისე ხომ არ გამოდის, რომ ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის ხელმძღვანელების თვალში სხვა ეროვნების შვილებს უფრო მეტი ფასი და აღიარება აქვთ, ვიდრე ქართველებს?

აქვე აღვნიშნავ, რომ ძნელი დასაჯერებელია ის, თუ სხვა ერის წარმომადგენლებს საქართველოსთვის უფრო მეტი სიკეთისა და ნაყოფის მოტანა შეუძლიათ, ვიდრე თავად ქართველებს. საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნებას შეუძლია სწორი არჩევნის გაკეთებით მხარში დაუდგეს მის კეთილ და გულუხვ მასპინძლებს, — ქართველ ხალხს და ერთიანი გონივრული მოქმედებით აალორძინონ ქვეყანა. მათ თვალი უნდა გადაავლონ და სათანადო დასკვნები გააკეთონ იმის შესახებ, თუ რა მოუტანა ქვეყანას ახლო წარსულმა, პირუთვნელად განსაჯონ, სალად შეაფასონ მათი საარჩევნო უბნებიდან არჩეული პარლამენტის ქართველი, თუ არაქართველი დეპუტატების ოთხწლიანი საქმიანობა, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი კვლავაც აპირებს მაჟორიტარულ ოლქებში კენჭისყრას და საჭიროა ამ ადამიანების „ლვაწლს" სწორი დიაგნოზი დაუსვან.

**ნაზი ოქროპირიძე**

# ინტერვიუ თავდაცვის მინისტრთან

## სიზმარში ჩაიწერა ნიკოლოზ იოსებიძემ

**— ბატონო დავით! — დიდი ხანია მინდოდა თქვენთან შეხვედრა, მაგრამ ისე შემაშინეს, საჯარისო ნაწილებში ტილი და მუნია მოდებულიო, მართალი გითხრათ, ძლივს გავბედე მოსვლა.**

— ჯერ ერთი, რომ ტილების რაოდენობა საკმაოდ შევამცირეთ, ერთ კაცზე საშუალოდ 7 ტილი მოდის და რაც მთავარია მას აქვს სტრატეგიული დანიშნულება. ჯარისკაცები მთელი ღამე იფხანენ და ფხიზლად არიან სამშობლოს სადარაჯოზე. თანაც, მოგეხსენებათ, ტილი წნევას არეგულირებს.

**— თქვენ პროფესიით ფილოსოფოსი ბრძანდებით, საოცარია, სად მიიღეთ იმდენი სამხედრო გამოცდილება, რომ მთელი ქვეყნის თავდაცვას ხელმძღვანელობთ.**

— მახარაშვილის არ იყოს: „მოი ატეც ვაევალ, ივო ატეც ვაევალ, ივო, ივო, ივო ატეც ტოჟე ვაევალ“ და მე რა გამონაკლისი მნახეთ?!

**— როგორც ფილოსოფოსს, უარყოფის კანონი, ჩემზედ კარგად მოგეხსენებათ, შეიარაღება რომ მოგიძველდათ, იმაზე თუ გიფიქრიათ?! — რუსების დატოვებული ტექნიკა, დაახლოებით პეტრე I-ის დროინდელია და როგორც ამბობენ: „თუნდ მუგუზალი დაადე, მაინც არ გავარდებაო“.**

— სისულელეა, მაგ შეიარაღებით არ დაანგრიეს თბილისი კიტოვანმა და ყარყარაშვილმა? ამას წინათ, საწვრთნელი სროლების დროს, ჩვენი ჰაუბიცა გამოვცადეთ, სარეცხ „ლახანკას“ ვესროლეთ და დედა უტირა, ისე დაგლიჯა, წყალი რომ ჩავასხით, სამ ადგილზე გაუვიდა. რაც შეეხება საზენიტო არტილერიას, საუკეთესოა, ეგ არის, რომ მფრინავს საფეთქელში უნდა გაარტყა.

**— ამბობენ, რომ ჩეხეთიდან შემოტანილმა ავტომატებმა არ ივარგესო, მართალია?!**

— თქვენ მაგის დარდი ნუ გაქვთ, გიორგი სააკაძეს არც ავტომატი ჰქონდა და არც ტყვიამფრქვევი, მაგრამ, შიშის ზარს სცემდა მტერს, განსაკუთრებით შინაურს.

**— ახალი ტექნიკის შემოტანას თუ აპირებთ საზღვარგარეთიდან?!**

— სამხედრო საიდუმლოებაა, მაგრამ, როგორც ქართველ კაცს, გაგიმხელთ, შევქმენით სპეცდანიშნულების დივიზია, სახელწოდებით: „ივანე კოტორაშვილი“, რომლისთვისაც შეკვეთილი გვაქვს 60000 კომბალი. ახლა იქმნება მშვილდოსანთა პოლკი: „რობინ ჰუდი“. ესეც — სპეცდანიშნულების პოლკია, როგორც იტყვიან, ყარაულის უხმაუროდ „მოსაყუჩებლად“. მათთვისაც შემოგვაქვს მშვილდ-ისრები.

**— მართლია, რომ ამბობენ ჯარისკაცებს საჭმელი არ ჰყოფნითო?!**

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, სალდათებს გოგლი-მოგლით და კარაქიანი პურით დავდევთ, ისე მოვაბეზრეთ თავი, რომ ნახევარი ჯარი სახლებში გაიქცა. ნიგვზიანს არ ჭამენ, ხორცს ჩვენ არ ვაჭმევთ, როგორც ცნობილია, ხორცი აბერებს ადამიანს და ჯარისკაცი თუ დაბერდა, რაღად გინდა მერე?!

# სატირისა და იუმორის გვერდი



## რუბრიკის მასპინძელია ნიკოლოზ იოსებიძე

**— ტანსაცმელ-ფეხსაცმლის საქმე როგორა აქვთ?! — ამბობენ, რომ ყველაფერი შემოაცვდათ და დახეულ-დაფლეთილები აცვიათო.**

— ეგ, არაფერი, მასაების ტომი, ფეხშიშველები და ნახევრადტიტვლები დარბიან, მაგრამ, მსოფლიოში ცნობილი მეომრები არიან.

**— ბატონო დავით! სურვილი მაქვს დავესწრო საწვრთნელ ვარჯიშებს, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით.**




— როგორ გეკადრებათ, ბატონო! გენერლის ბრძანებით, ჯარისკაცებმა ის სამ ადგილზე გახვრეტილი „ლახანკა“ 50 მეტრის დაშორებით დადეს, ფსკერით ჩვენსკენ და პირდაპირ დამიზნებით ესროლეს. მართალია, ვერ მოარტყეს, მაგრამ ხმის ეფექტი ისეთი დიდი იყო, რომ გამელვიძა. გამელვიძა შეშინებულს, არა ზარბაზნის ხმის, არამედ ჩვენი ჯარის მდგომარეობის და უპერსპექტივობის გამო.

## ალტერნატივა

მტერს ნუ მიიღებ მოყვრულად,
რადგანაც მტერი მტერია,
ყბას ნუ მიუშვერ ბრიყვულად,
ვით საღვთო წიგნში სწერია.
ვინც მტერს თავს დააჩაგვრინებს
ლაჩარია და შტერია,
მასე რომ ექნათ ქართველებს,
არ შეგვრჩებოდა კერია.
ცხოვრების მგლური კანონი,
ცოტა მეც მესმის ჩემს წილად,
მტრის დასახვედრად მღვდლებსაც და
ბერებსაც ხმლები ეჭირათ.
ნუ მოიქცევი ლაჩრულად,
როგორც სჩვევიათ კაცუნებს,
ვინმემ თუ გაგილაწუნოს,
შენ ორი გაულაწუნე!

## განვედ სატანა!

ცაზე არ მოჩანს ნასახი ღრუბლის,
ტოტი არ იძვრის, არცა ფოთოლი,
წვიმას ფასი აქვს ნატრული სტუმრის,
ვარდს შეხმობია ნორჩი [illegible]
ბული ტრიალებს გარეთ და შინა,
არ შეიძლება მეტის ატანა,
ჩვენში სატანამ დაიდო ბინა,
განვედ სატანა!
განვედ სატანა!

## მტრისთვის ნანატრი დღეები დადგა!

ხალხო! — ერთმანეთს ვჭირდებით,
რადგან,
კაცი კაცისთვის ბჭე და მხარია,
მტრისთვის ნანატრი დღეები დადგა,
ძმას ძმასთან ყოფნა არ უხარია.
გასჭრა მტრის ხერხმა და სიძულვილმა
ქართველი კაცის სულში ითოვა,
გაგვასავათა სალათას ძილმა,
რაც მტერმა ასე დაგვათითოვა.
სუფევს ღალატი, მტრობა და შური,
არ გვაპატიებს უფალი ამდენს,
ძმისთვის მოვღალოთ მკლავი და
მუხლი,
თორემ, ხვალ, მტერი, ცხვირში ძმარს
გვადენს!

## განდაგანა

საქართველოს საქმეები
უკან მიდის თანდათანა,
მთავრობამ და პარლამენტმა,
ხალხზე ხელი დაიბანა.
ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე,
გაუმართავთ არიფანა,
თუკი რამე კარგი გვქონდა,
გაიტანეს განდაგანა.
ვილუპებით თანდათანა!
პრეზიდენტმა, სამშვიდობოდ,
რუსის ჯარი მოიყვანა,
რუსი ისევ „ვერხით“ არის,
როგორც ქურდი გოიმთანა.
ზოგიერთმა ლაილაით
ენა-პირი მოიფხანა,
მუქარით და მუშტის ქნევით,
რუსი ველარ გაიყვანა.
რუსმა ფესვი ღრმად გაიდგა,
სამოთხიდან წავა განა?
გასართობად ბომბებს გვაყრის
ხშირად არა, ხანდახანა.
ჰეი, ბიჭო, განდაგანა,
ვილუპებით თანდათანა.
ქმარმა, ცოლი, ნარკოტიკზე
გასაცვლელად წაიყვანა,
ჩვენმა ქალმა „ერთი რამეც“
გასაყიდად გაიტანა.
დედაკაცმა ბავშვი შობა,
არ შობილა იმისთანა,
მისი წონა ფული დაჯდა
ბავშვის გარეთ გამოყვანა.

**შოფრებს სისხლი გამშრალი აქვთ**
**საქართველოს „გაი“-ს განა,**
**„დამნაშავის“ დასაჭერად,**
**განგებ მოსახვევში დგანან.**
წინაპარმა ხე რომ დარგო —
და ხრიოკი გაამწვანა,
ნაძირალამ ძირში მოჭრა,
საზღვარგარეთ გაიტანა.

**პარლამენტის არჩევნები**
**ახლოვდება თანდათანა.**
**ისევ მოქკავშირი გავა,**
**როგორც ედუარდმა ბრძანა.**
პრეზიდენტი ვერ გახდება,
ვერც ჯუმბერი, ვერც ასლანა,
შევარდნაძეს სავარძელი
დაჰყვა დედის მუცლიდანა.
**ჰეი, ბიჭო, განდაგანა,**
**ვილუპებით თანდათანა.**

# ექიმი კაცის პოეტური აღმაფრენა

## ღამე იპკლივის ძირას

ძღვნად მ. წიკლაურს

შემოგვეცალნენ ვაჟები ირგვლივ,
ვერ მოვასწარით ბევრი სათქმელი,
თითო მოჰგავდა მხარ-ბეჭით იკვლივს
დღეს კი მიწა სჭამთ ყოვლის ჩამთქმელი.
ვსხედვართ ბუხართან ორივე უბრად,
გვტანჯავს წარსულიც და მომავალიც,
არვინ გაგვიშლის ჩვენ ორს დღეს სუფრას,
რადგან დავმარხეთ რძალიც მრავალი.
განდეგილივით ცხოვრობ მარტოკა,
როგორც ბოგანო, ვინმე ეული,
დარდი შენ ფიქრებს ისე გათოკავს
ვით ნანადირევს გველი წყეული!
შემოგვიჩნდება, ძმაო, ამაღამ,
ჩვენ წინაპართა გრძელი ხატება...
აქ შორი-ახლო მგელი ლავლავებს
და ვგრძნობთ ქვეყნიურ ცოდვის მატებას.
ძველი სილაღე ამ დრომ მონისლა,
ჩვენი ცხოვრების აურ-ზაურით,
გზა მორჩილისა და გზა მონისა
შენთვის უცხოა და უცნაური!
არ გიძებნია ჟამი განცხრომის,
დაჩიავებას ვერ ურიგდები,
დრო არ დაგიდგა ჯავრის ჩაცხრობის,
რადგან არ ცხოვრობ მტრის ყურის გდებით!
რაღად ველოდოთ უკეთეს მერმისს,
თუ თვითონ ღმერთმაც არ გვიპატივა,
ვიცი, რომ შენ ფიქრს მოახვევ ვერვის,
სხვას ვერ გაუყოფ სულის სატკივარს!
მერე რა?! მოხდეს კვლავ უარესი
განა ამ ყოფამ ისე დაგვშრიტა,
საბრძოლად გვიწვევს კვლავ თუ არესი,
მტერს შევხვდეთ ჩვენი დროშის გაშლითა!
და აჰა, ეს ღამეც მთლად მიილია
ღიმი დააჩნდა ზეცას დილადა...
მხოლოდ მტრის ურვა და ტკივილია
რომ ვერ დაგვძლიეს მთაზე მყვირალთა!
ჩვენ არ გვივლია გზები უწესო,
არა ვყოფილვართ ქვე გამხედვრები
და დღეს მონებად ვინ გაგვამწესოს
მოუთოკავი კვიცთა მხედრები?!

## მეგობრის ხსოვნას

ძღვნად გ. ზ.-ს

ობლობაში გაიზარდე, ბალღო,
ძნელი იყო შენი სვე და ბედი;
გაყინულ ფეხს ბუხრის პირას ალღობ
სკოლის მერხთან, — ასე გამახსენდი.
არ დაგინდო ამ ბუნებამ მზის ქვეშ,
ვის ეგრძელა ეგ სიცოცხლე მოკლე?!
სულ სხვა იყავ, არა ჰგავდი რიქშებს,
მონურ სულის არვინ დაიმოყვრე!
ვერ აეწყო შენი ყოფნა სოფლად,
სადაც კაცმაც აღარ გიპატივა,
ჩაიქნიე თავზე ხელი სულ მთლად,
გადაწყვიტე საქმე კვლავ მარტივად.
ვინ გიგონებს დღეს უდროოდ წასულს?
გაცრეცილა შენი სახე, ბიჭო!
ვერ გაექეც ზიზღს სიკვდილად ნასროლს,
ხალასო და უპატრონო ნიჭო!

**ნიკოლოზ ბიჩინაშვილი**








**„საქართველოს" სტუმარია ქართული ფილმის პოპულარული მსახიობი გურამ ლორთქიფანიძე („ლორთქია").**

**უპურმარილოდ უმასპინძლა მურმან მერკვილიშვილმა**

***ბატონი გურამი ვერის კოლორიტია. ის იმ ბედნიერ მსახიობთა რიცხვს მიეკუთვნება, სიცილს და სიამოვნებას რომ ჰგვრის მაყურებელს.***

***რომეო და მეფე ლირი არ უთამაშია, მაგრამ მისი როლები (თანამედროვე გაგებით) არანაკლებ შრომატევადია, თუმცა, ეკრანზე ამ დაძაბულობას ვერ იგრძნობთ. იგი ლაღი თბილისელი და საძმაკაცოს ხელისგულზე სატარებელი მსახიობი და პიროვნებაა.***

***თუ როგორია მისი შინაგანი კრედო, ქვემოთ მოგახსენებთ.***

## კერპის სიყვარული, ანუ — „შარი"

— ცოტა ადრე იყო, ბ-ნო მურმან, ასეთი შემთხვევა:

უბანში ცხოვრობდა ერთი ალალი, უღალატო ვაჟკაცი, რომელსაც მოფერებით კუკუნას ვეძახდით. სამართლიანი კაცი იყო კუკუნა, ვაგლახად სუსტს და გაჭირვებულს არავის დააჩაგვრინებდა. ნამუსის კაცი გახლდათ და ჯანიც მოსდევდა. საუკეთესო დამრტყმელის სახელი ჰქონდა გავარდნილი მოზრდილი რადიუსებით.

ერთხელ, უბნელი ქალის შეურცხყოფისთვის ისე სცემა ერთი სხვა უბნელი ტუტუცი, რომ კაცი 2 დღეს გონზე ვერ მოიყვანეს.

რა თქმა უნდა, უჩივლეს.

დაიჭირეს კუკუნა.

მე, როგორც უნებლიე მოწმე, დამიბარეს დაკითხვაზე. კუკუნა ჩემი კერპი იყო და გადავწყვიტე, როგორმე დავხმარებოდი. ყოველ შემთხვევაში, ცუდი არაფერი არ უნდა დამცდენოდა დაკითხვის დროს.

გამომძიებელმა კალე ჯღარკავამ კუკუნა გამოიყვანა.

— იცნობ? — მეკითხება.

— რა თქმა უნდა, ბატონო-მეთქი.

— კაცი ხომ ამ მუტრუკმა გალახაო?

— რომელმა ბატონო? — ავხედე კედელზე ჩამოკონწიალებულ ლენინის სურათს.

გამომძიებელმა თვალი ჩემს თვალს მიადევნა.

— ლენინზე არ გეკითხები. მაგი მსოფლიოო პროლეტარიატის ბელადია და არაფრით კაცს არ გალახავდა ვერაზეო — „ამიხსნა". — ამან თუ გალახა კაცი?

— ბატონო, მაგას კაცი კი არა, კაცების მეტი რა გაულახავს-მეთქი?

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ ... მიპასუხე, რომ გეკითხები, ლონგინოზ წურწუმია ამან გალახა, თუ არაო?

— არა, ბატონო, არაფერი ვიცი, მაგის შესახებ-მეთქი.

— ააა, არაფერი იცი? ე. ი. გინდა თქვა, რომ კუკუნას ის კაცი არ გაულახავს?

— არა ბატონო-მეთქი.

— ოო, — მოწკურა იმ მამაძაღლმა გამომძიებელმა თვალები და იქედნურად: რის გამლახავია ეს უბედური, არც მე მჯერა კაცო. რას ჰგავს (კუკუნაზე ამბობს), რა დამრტყმელი ეს საცოდავია? ვინაა ამის გასალახავი, ძლივს უდგას სული, რას მოერეოდა ლონგინოზსო.

— რაო?! კუკუნა არაა დამრტყმელი და უმწეოა მაგი? იმ თქვენს ლონგინოზს მოერია კი არა, იმდენი ურტყა, ძლივს წაართვეს ხელიდან-მეთქი.

ასე დავღუპე კაცი, ჩემი სიამაყით და მისდამი დიდი სიმპატიით.

დათვური სამსახური გავუწიე ... იმ წუთშივე გაუშვეს ... 3 თვიანში.

... მაგრამ პრესტიჟი ხომ გადავარჩინე?!

ესაა მთავარი.

## იმ დღეს

სასტუმრო „საქართველო" კი იცით. იმ სასტუმროს წინ ვცხოვრობ, გზის მეორე მხარეზე. მეორე სართულია და „საქართველოს" რესტორნის ფანჯრებს პირდაპირ უყურებს და „ესიყვარულება" ჩემი ბინის ფანჯრები და აივანი.

ეს ამბავი ახალგაზრდა რომ ვიყავი, მაშინ მოხდა.

**მოხუცი არც ახლა ბრძანდებით, ბატონო გურამ, გარეგნობაზე არ გეტყობათ და სიტყვა-პასუხზე.**

— მაგი მართალია, ერთი უზუსტობა მომივიდა, მაშინ „უახალგაზრდავესი" ვიყავი და კარგი მოქეიფეც. ჰოდა, ერთი ცხელი ზაფხულის საღამოა. გვარიანად მთვრალი მომიყვანეს თანამეინახეებმა მანქანით ჩემი სახლის შესასვლელთან, გადმომსვეს მანქანიდან და წავიდნენ.

კი გადმომსვეს, მაგრამ ისე ვარ, ფეხის გადადგმა მიჭირს. ვდგევარ ერთ ადგილზე გაყინული და ვასლოკინებ დიდი ამბით დრო და დრო.

ჩემს ბინასთან ქურთების ბირჟა იყო. ერთი ქურთი, რომელსაც ვეძმაკაცები, მომიახლოვდა (მეკურტნეა).

— ვაა, გურიკოჯან ... გურიკოჯან, ეს რამტოლა წვიმები მოხსმები?!

— მმმ! — ვუპასუხე „მკვირცხლად".

— ვა, შენ რა გითხარ ... მოდი ზურგზე „მამეკურტნე" და სახლში ბეზ კაპეიკა აგიტანებ!

— მმმმ-უუპ! — დავასლოკინე ისევ.

— ჯანმრთელობა, რა ... ჰა, „მამეკურტნე".

„დამიჯდა ჭკუაში", შემოვხვიე ხელები კისერზე. მომიგდო კრავივით ზურგზე და ხვნეშით აათავა კიბეები. ერთი ხელით ძლივს დარეკა ზარი ჩემს კარებზე. კარი დედაჩემმა გაალო.

— ართავაზ, ეგ რა არი? — ეკითხება გაკვირვებული.

— ესა? — ტუფლებზე დაიხედა მან.

— არა, რომ მოგაქვს.

ართავაზას ისეთი ხველებანარევი სიცილი აუტყდა, კინაღამ „გადმომაკურტნა" ზურგიდან.

— ვაა, დედიჯან ... ეს შენი შული არი, გურამჩიკა, მე მოგიტანე-რა ...

— ეგ ჩემს შვილს არ ჰგავს, დილით რომ გავუშვი, ჰალსტუხი ეკეთა კისერზე, ახლა წელზე აქვს შემოკრული,

— ვაა, გებნები, რა დედიჯან, შენი შულია, ჩემს სათენკას, ლამზირას, მიშას, გრიშას, ტოლიას და კოლიას ვფიცავარრაა!

— შემოიტანე — გასცა „ვიზა" დედაჩემმა. ბოყინ-სლოკინით დავვარდი ჩემს ტახტზე.

მერე, მეორე დღეს მითხრეს სახლში: თურმე რესტორანში (სასტუმრო „საქართველო") დიდი ბანკეტია. გამომლევიძებია კარგა შებინდებულზე. პირდაპირ ტრუსიკ-მაიკით გავსულვარ აივანზე და ვუყურებ რესტორანში მოქეიფე ხალხს.

— არ დაგილევია, არა! — ისმის თურმე ბანკეტის თამადის როყიო ხმა რესტორნიდან.

— რა არ დამილევია ... აგერ, მოწმე, — გადავხვიე თურმე ხელი ჩემს მეუღლეს ... თვითონ ხარ „მაშენკი", შენიიი!

... მეორე დღეს: თავი მისკდება, ჩავედი კიბეებზე, ართავაზა ჩვეულებრივ „პოსტზეა".

— ვაა, გურამჯან, უჟე ცოცხალი ხარ?

— მაიცა, რა.

— რა მაიცა ... 3 მანეთი მამე, მთვრალი პიანინოზე უფრო „ტიჟოლნი" ხარ.

გამახსენდა ყველაფერი. ჩავუდე 3 მანეთი და წავედი.



... ეჰ, ვინ იცის, იმ ყურუმსალისთვის რამდენი სამი მანეთი მიმიცია, მერე სამი ლარიც და სანამ სამ დოლარს მომთხოვს, გადამეტებულ სმას უნდა შევეშვა.

**— ბატონო გურამ, იქნებ რაიმე კურიოზი გაიხსენოთ ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა". იქ ხომ თქვენ შეუდარებელი იყავით?**

— „არაჩვეულებრივ გამოფენას" ქუთაისში ვიღებდით. პარტნიორობა აწ განსვენებულ დოდო აბაშიძესთან ჩემთვის უდიდესი პატივი გახლდათ.

ჩავედით ქუთაისში. მოვაწყეთ ყველაფერი გადაღებისათვის, მაგრამ გადაღებას ვინ გაცლის ქუთაისში?

**— რატომ, ბატონო გურამ, ქუთაისში ძალიან უყვართ ხელოვნება და კინო, მითუმეტეს — კომედია.**

— რომ უყვართ და რომ გიჟდებიან, ზუსტად იმას გიამბობთ. დოდო აბაშიძის ქუჩაში გამოჩენა (ქუთაისში მაინც) დღესასწაული იყო. მთელი კვირა გადაგვიყოლეს, აბა, რესტორნებში, აბა, ბუნებაში. გადაგვერია გადამღები რეჟისორი. ერთი კვირა გადის — ერთი კადრიც არ გადაგვიღია.

ბოლოს და ბოლოს, ვინამუსეთ.

გადაღება რიონზე მიმდინარეობს, რომ „ვპურმარილობთ" მე და დოდო, ჩაირთო განათება, გატკაცუნდა „დუბლი". ჩაირთო მოტორი ... დაიწყო გადაღება და ... ამ დროს ხიდიდან (სავსე რომ იყო სეირის მაყურებელი დიდ-პატარით) ისმის:

— ბიჭო, დოდო!!! მალე მორჩები მა გლახაობას? (გლახაობა — გადაღებაა).

მოდგომიან ხიდს გალსტუკიან-„როლინგიანი" ტალიკ-ტალიკი „ძმები".

— ასე, 2 საათში — ასძახა ალალად დოდომ ძმაკაცებს (გაფუჭდა კადრი).

— გადამრევთ!!! გადამრევთ მე თქვენ! — იტაცა ხელი რეჟისორმა თავზე, მაგრამ დარჩენილი თმა დაზოგა. — ახლიდან, ჩქარა!

ტკაც „დუბლი"... დაიწყო ...

— ახლიდან ... ისევ ... გადის დრო. ის ტალიკ-ტალიკები საათს თვალს არ აშორებენ. ყველას დოდოსთან ქეიფი უნდა ...

— დოდო, ბიჭო, გევიდა ვორი საათი — ჩამოსძახეს დოდოს.

— მაცადეთ, კაცო, — კინაღამ მართლა გაბრაზდა აბაშიძე — ფილმს ვიღებთ, კბილს კი არა, თქვე კაი ხალხო.

წინდახედულმა ოპერატორმა კამერა დროზე გამორთო.

— მაცალეთ, კაცო, 1 საათი კიდო — გამოუწია დოდომ ყელი ამფსონებს. „ტიპები" გაქრნენ ... ამოვისუნთქეთ.

10 წუთში ამ მშვიდმა რიონმა თვალსადახელსშუა დაიწყო მომატება.

ავხედე ცას. ნამცეცი ღრუბელი არ ჩანს, წვიმაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. არადა, წყალი თვალდათვალ მატულობს. 5 წუთში ფეხებიც დაგვისველა ლოდზე მჯდომთ, კიტრი და პამიდორიც გამოგვტაცა და საგანგებოდ დაჭრილი ყველიც გააქანა ფოთის მიმართულებით.

— ვიღუპებით! — იყვირა გადამღებმა. იწივლეს ქალებმაც, რომლებიც გულისფანცქალით ელოდნენ კადრის, ეპიზოდის გადაღებას.

ასე არ უნდაო, გაგიჟდა რიონი. გავხედეთ მაღლითა მხარეს და მოთხლაშუნებს „ტორნადოსავით" ამღვრეული.

— გვიშველეთ! — იწივლეს ქალებმა და ნაპირს მოასკდნენ. მოასკდნენ კაია, კალაპოტი მატულობს.

ქალებმა წივილს უმატეს, წყალმა — შხუილს.

ვიკადრეთ და გავკარით მხარული მე და საწყალმა დოდომ. ძლივს გავაღწიეთ ნაპირამდე და საჩქაროდ შევუყევით ხმელეთს აღმართზე ჩარლი ჩაპლინის სიჩქარით.

მდინარემ ქუხილს უმატა ...

— მეორედ მოსვლაა ეს, მეორედ მოსვლა — პირჯვარი გადაიწერა რეჟისორის თანაშემწემ, რომელიც სულ ამტკიცებდა: „ბიბლია ვიცი, წარღვნა იმერეთიდან იწყებაო".

გამვლელ-გამომვლელი მოქალაქე ქუთათურებიც გაოგნებულნი მოგროვილიყვნენ ხიდზე და გაოცებულ-გადარეულები აკვირდებოდნენ ამ საოცარ მოვლენას.

ვილას ახსოვს, თუ ძმა ხარ, ჩემო მურმან, გადაღება? „აირია მონასტერი". აწყდებიან რეჟისორ-მსახიობები ერთმანეთს. შაშიაშვილი არ მოსულა (ქართული მაშინ), თუ არა, ყველა გაჩნდა.

... 10 წუთში მდინარე ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა.

— დედა, რა იყო ეს?! — იკითხა სასოწარკვეთილმა რეჟისორმა.

— ხა, ხა, ხა — მოისმა ხიდიდან „დემონ-ფანტომასის"-მაგვარი ხარხარი. ავიხედეთ: ის „ტალიკ-ტალიკი" ბიჭები გადმომდგარან ხიდზე და იჭაჭებიან ... კვდებიან სიცილით.

— რა იყო, კაცო, რამ გადარია ეს რიონი ამ სიცხეში — ეკითხებიან ერთმანეთს და აჭარხლებულებს მუცლები ხელებით უჭირავთ.

— თქვენ შეგაჩვენათ ღმერთმა, როგორც მე გადამრიეთ, ზუსტად ისე — „დალოცა" დოდომ იქაური ამფსონები და თვითონაც ახარხარდა. მიხვდა ყველაფერს ჩვენი „ყოჩი".

თურმე, ჩვენი „უყურადღებობით" ნაწყენ ქუთაისლებს, რომ ითმინეს და ითმინეს, რა გაუკეთებიათ იცი, მურმან?

— ვიცი, ქუთაისელი, ანუ წყალტუბოელი ვარ.

— რა, აბა, რა?

— **რა და, ავიდოდნენ წყალსაცავში და გააშვებინებდნენ დაგროვებულ წყალს.**

— ოოო, შენც მაგარი ხარ ... ესაა, ბიჭო, თქვენებური მასპინძლობა?

— **სამაგიეროდ, არ დაივიწყებთ, რომ ქუთაისში იყავით.**

— რა დაგვავიწყებს? — რესტორანში „გაგვაშრეს" მთელი კინოგადამღებთა კოლექტივი. ისე, მართლა არ დამავიწყდება, თუმცა რა დამავიწყებს ... აგერ გიყვები და კიდევ ბევრჯერ „ადიდებულიყვეს — რიონი" ...

## კი, თუ მასეა!

მგზავრობის დროს ხაშურს რომ გავცდებით, იმერეთისკენ მიმავალი მგზავრები, სურამში ერთმანეთზე მიწყობილი სასადილოებია — იცი შენ!

მანქანით (მეგობრის) მივემგზავრებოდით ბათუმში.

დილაადრიანად გამოსულებს, ბუნებრივია, მოგვშივდა. გავაჩერეთ მანქანა ერთ-ერთ „ზაბეგალოვკასთან".

— მე ვიქაჩები — გავაფრთხილე ძმაკაცები თავიდანვე.

ჩიტის რძე არ აკლია სუფრას.

— ვაა, ჯემალი (?), შენ შემოგევლე ... მოდით, კაცო, მოდით — შემოგვეგება „მიკრორესტორნის" მეპატრონე.

არ შევიმჩნიე — ვიღაცაში შევეშალე, რა მოხდა?!

კარგად ვჭამეთ, თითო ბოთლიც დავაყოლეთ და მეორმეორეც მოვითხოვეთ.

— ჯემალ — შენ შემოგ...

— მე გურამი ვარ — ველარ მოვითმინე.

— იყავი მერე გურამი, შენ შემოგევლე, ჩემო ჯემალ, შენ ულვაშებს შემოვევლე.

— არ ვარ ჯემალ ...

— კარგი ახლა, მწვადები მოდის ცვრიანი, იმას არ მოაქვსსს ზიანი! — წაიმღერა — მთვრალია.

— გაანებე, კაცო, იძახოს ჯემალი — მიჩქმიტა მეგობარმა.

ორი საათი გაგრძელდა სმაქეიფი. მანქანას დავუბრუნდით.

— ფულს ვინ გადაიხდის? — გამოგვეკიდა მეპატრონე.

— ეს იხდის — ანიშნა მძღოლმა ჩემზე.

— ჯემალი, 55 მანეთია თქვენზე.

საბუთი ამოვიღე, ვაჩვენე ...

— გგგურამ ლორრთქიფანიძე ... კაი, მეიტა ფული.

— ფულს ჯემალი გადაგიხდის-მეთქი და — „მოვხიეთ" ...

... არა, ხულიგნურად კი არა, მოსწრებულად, თორემ რა ძალა ადგა, ათასჯერ უთხრეს, არაა ჯემალიო.

მისი ბრალია.

# სკანვორდი




# დოყლაპიობის შედეგი
# ალარც აფხაზეთი, ალარც სამაჩაბლო, ალარც აჭარა?!

მთელი მსოფლიო საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, ისტორიას, ადამიანის უფლებების დაცვის ვითარებას იკვლევს: აშშ-ს ყველა უნივერსიტეტში კავკასიათმცოდნეობის ცენტრია გახსნილი, ასეა ჰოლანდიაშიც, კავკასიაზე მრავალგვერდიანი ტექსტია „ნატოს", გაეროს, ეუთოს, აშშ-ს სტრატეგიული განვითარების ცენტრის, ავსტრალიის კანბერას უნივერსიტეტის, იაპონიის ჰოკაიდოს კუნძულის ჰოკუდაის უნივერსიტეტის სლავთმცოდნეობის ცენტრის საინტერნეტო ადგილში.

აშშ-ს სოროსის ფონდის ინტერნეტის ტექსტს თავში ახლავს საქართველოს ფერადი რუკა — დღევანდელი საქართველო აფხაზეთის, სამაჩაბლოს, აჭარის გარეშეა წარმოდგენილი. „ის", წართმეული საქართველო მწვანედაა შეფერილი, „ეს" — დარჩენილი საქართველო ყვითელია. ეს რა გასაკვირია, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ისიც ვერ გაურკვევია, საქართველო ევროპაშია თუ აზიაში. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDT) განყოფილების ინტერნეტით გამოქვეყნებულ ტექსტში საქართველო, არმენია, აზერბაიჯანი დასავლეთ აზიის განყოფილებაშია, ქვეჯგუფშია (Western Asia). ასევეა რამდენიმე სხვა საერთაშორისო საინტერნეტო განყოფილებაში. ძიების დროს საქართველო ევროპაში თუ არ აღმოჩნდა, აზიაში უნდა ეძიო. საქართველოს ინგლისურ ენაზე „გეორგია" ეწოდება. ჩვენდა საუბედუროდ, „გეორგია" დაარქვეს სამასი წლის წინ აშშ-ს ერთ-ერთ შტატს. თუმცა მას ქვეყანა ეწოდება (ქანთრი) ენციკლოპედიებში, მის მოსახლეობას კი გეორგიელები, გამოითქმის — ჯორჯიანზ. კომპიუტერს ეშლება ხოლმე და „საქართველო"-ს და ქართველების გამოძახებისას აშშ-ს გეორგიის ანუ ჯორჯიის შტატის უამრავი ტექსტი გამოაქვს. რადგან აშშ-ში ჯორჯიის შტატს სახელს არ შეუცვლიან — ინგლისის მეფის, გეორგის საპატივცემულოდ შეარქვეს და არა კავკასიელების ხათრით (ქართველები ჩასახლდნენ ბლომად და იმიტომ ეწოდება აშშ-ს შტატს ჯორჯიაო, ჩემი თვალით წავიკითხე ეს ტექნიკის ისტორიის ცნობილი ქართველი, ან გარდაცვლილი პროფესორის სტატიაში, ოციოდე წლის წინ!), ისევ ჩვენ უნდა შევიცვალოთ და ძველი სახელი დავიბრუნოთ. მაგრამ რომელი? ვთქვათ, კოლხი. კოლხები აბსუები ვართო (იქ აფხაზი წერია, მაგრამ აბსუას გულისხმობს, — წერია საქართველოში, ცხუმის გამომცემლობა „ალაშარაში" გამოქვეყნებულ ორასგვერდიან რუსულენოვან წიგნში, რომლის ავტორი პროფესორი მიხეილ გუმბა არის. ის 1991 წელს მოსკოვში ისტორიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ვნახე — ძალიან წყნარი, სათნო ქართველის გარეგნობის მქონე კაცია. ლაშა მეგრულად სხივოსანს ნიშნავს, ბრძანა პროფესორმა თეიმურაზ მიბჩუანმა ა. ნ. ივნისში ისტორიის ინსტიტუტში პროფესორ გერონტი გასვიანის წიგნის „აფხაზეთი — ძველი და ახალი აფხაზები" განხილვაზე. მეგრულიდან გადავიდაო აბსუათა ენაში სიტყვა „ლაშა" და გახდა „ალაშა". ბამბა ქართულიდან აბსუურში გადავიდა „აბამბა"-დ, ბელურა — აბელურ. ასე რომ, კოლხის სახელწოდება საზიაროდ გაგვიხადეს აბსუებთან საბჭოთა პროფესორებმა.

კიდევ უფრო საოცარია, რა სიბრძნე გამოაქვეყნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, შოტლანდიელი ვაჭრის, იაკობ მარის შვილმა ნიკომ: კავკასიაში ივერია, იბერია რომ იყო, ის ქართველების ქვეყანა კი არ იყო; ქართველებისა რომ ყოფილიყო, მაშინ მტკვარი კი არ ექნებოდა თბილისში მდინარეს სახელად, არამედ „წყალი". სიტყვა „წყალი" ტომობრივი სახელწოდებააო (ალბათ, წყალტუბოს დაუკავშირა). დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია წაიკითხოს რუსულად ეს წიგნი.

**ნათელა ფოფხაძე**




მთავარი რედაქტორი სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.